Forest Stewardship Council®

FSC® მოთხოვნები კონტროლირებადი მერქნის მიწოდებასთან დაკავშირებით

FSC-STD-40-005 V3-0 EN

FSC® კონტროლირებადი მერქნით მომარაგების მოთხოვნები

FSC-STD-40-005 V3-0 EN

ტყეთ სამეურვეო საბჭო (Forest Stewardship Council, FSC) არის დამოუკიდებელი, არა-კომერციული, არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია მსოფლიოს ტყეების გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შესაფერისი, სოციალურად სასარგებლო და ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი მართვის ხელშესაწყობად.

FSC-ის პოზიციის თანახმად, მსოფლიოს ტყეებმა უნდა დააკმაყოფილოს ახლანდელი თაობის სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური უფლებები და საჭიროებები მომავალი თაობების ანალოგიური უფლებებისა და საჭიროებების ხელყოფის გარეშე.

შინაარსი

A მიზანი
B სფერო
C ძალაში შესვლის თარიღი და მოქმედების ვადები
D გამოყენებული ლიტერატურა
E ტერნიმები და განმარტებები

ნაწილი I სათანადო სიფრთხილისა და გადამოწმების სისტემა (DDS)

1 სათანადო სიფრთხილისა და გადამოწმების სისტემის გამოყენება და წარმოება
2 მერქნის მასალასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება
3 რისკების შეფასება
4 რისკების შემცირება

ნაწილი II ხარისხის მართვის სისტემა

5 კომპეტენცია, დოკუმენტაცია და ჩანაწერები
6 საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია
7 დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა და საჩივრები

დანართი A რისკების შეფასება ორგანიზაციების მიერ
დანართი B მინიმალური მოთხოვნები დაინტერესებულ მხარეთა მიმართ
დანართი C მინიმალური მოთხოვნები ექსპერტთა კვალიფიკაციის მიმართ
დანართი D კონტროლირებადი მერქნის შეფასების პროცესის შეჯამება (მხოლოდ ინფორმაციისთვის)
დანართი E განვითარების წარმართვა და კონტროლის ღონისძიებების მაგალითები (მხოლოდ ინფორმაციისთვის)
დანართი F მონაწილეობა FSC-ის მერქნის ბოჭკოს ტესტირების პროგრამაში (მხოლოდ ინფორმაციისათვის)

დანართი G	რისკების საფუძვლიანი შეფასების შაბლონი (მხოლოდ ინფორმაციის მიზნით)
დანართი H	სტანდარტების 2-1 და 3-0 ვერსიებს შორის ცვლილებების მატრიცა (მხოლოდ ინფორმაციისთვის)

A მიზანი

ამ სტანდარტში ჩამოყალიბებულია მოთხოვნები სათანადო სიფრთხილისა და გადამოწმების კუთხით, რათა თავიდან იქნას აცილებული არასასურველი წარმომავლობის მქონე მერქნის შესყიდვა. სტანდარტი გამიზნულია ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ფლობენ FSC სერტიფიკატს გადამუშავების სხვადასხვა სტადიაზე მყოფი მერქნის პროდუქციაზე (შემდგომში - მერქნის მიწოდების ჯაჭვი - Chain of Custody, CoC certificate). FSC-ის მოთხოვნების თანახმად, დაუშვებელია გაურკვეველი წარმომავლობის მერქნის შერევა სერტიფიცირებულ პროდუქციასთან.

მერქნის გაურკვეველი წარმომავლობის შემთხვევაში, როგორც წესი, მაღალია იმის ალბათობა, რომ აღნიშნული მერქანი მოპოვებულ იქნა უკანონოდ ან ტყის რესურსებით არამდგრადი სარგებლობის შედეგად. დაშვებულია მხოლოდ კონტროლირებადი მერქნის შერევა სერტიფიცირებულ მერქანთან ან მერქნის პროდუქციასთან შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

FSC-ის მოთხოვნების თანახმად, მერქანი ითვლება კონტროლირებადად (და მაშასადამე ნებადართულია მისი შერევა სერტიფიცირებულ მერქანთან) თუ ის **არ** არის დამზადებული:

1) უკანონოდ;
2) ადამიანის უფლებებისა და ტრადიციების დარღვევით;
3) ტყეებში, სადაც სატყეო სამეურნეო ღონისძიებები (მათ შორის ჭრები) საფრთხეს უქმნის მაღალ კონსერვაციულ ღირებულებს;
4) იმ ბუნებრივ ტყეებში, რომლებიც პირწმინდა ჭრის (ან ტყის განადგურების სხვა მეთოდების გამოყენების) შედეგად გადავიდა სხვა კატეგორიაში (მაგ. პლანტაციები ან სასოფლო-სამეურნეო სავარგულები); და
5) იმ ტყეებში, სადაც დარგულია გენეტიკურად მოდიფიცირებული ხეები.

B სფერო

ეს სტანდარტი აწესებს მოთხოვნებს სათანადო სიფრთხილისა და გადამოწმების სისტემისთვის, რათა შეფასდეს და შემცირდეს FSC-ის მოთხოვნების დაკმაყოფილების გარეშე მერქნის მიწოდების რისკი.

აღნიშნული სტანდარტი მოითხოვს მიუღებელი (მათ შორის გაურკვეველი) წყაროებიდან მერქნის მიწოდების რისკების შეფასებას და მოიცავს შესაბამის კრიტერიუმებს. როცა ვლინდება სპეციფიური ან არასპეციფიური რისკი მერქნის წარმომავლობასთან დაკავშირებით (და, შესაბამისად, აღნიშნული მერქნის მიწოდება-გადამუშავების ჯაჭვში შერევის რისკი) რისკების შესამცირებლად ორგანიზაციამ უნდა გამოიყენოს კონტროლის მექანიზმები.

ეს სტანდარტი ეხება ორგანიზაციებს, რომლებიც ფლობენ FSC მერქნის მიწოდების ჯაჭვის სერტიფიკატს FSC-STD-40-004 (CoC) სტანდარტის მიხედვით, და რომლებსაც სურთ, რომ მათი სერტიფიცირებული პროდუქცია ასევე მოიცავდეს კონტროლირებად მერქანს (სერტიფიცირებულთან შერევის გზით, რათა გაიზარდოს პროდუქციის საერთო მოცულობა). ამ

ორგანიზაციებს შეუძლიათ გამოიყენონ ეს სტანდარტი არასერტიფიცირებული (FSC-ის ხაზით) პროვაიდერების (დამამზადებლების) შესამოწმებლად, რათა დადგინდეს, აღნიშნული პროვაიდერებისაგან შესაძენი მერქანი აკმაყოფილებს თუ არა კონტროლირებადი მერქნის მოთხოვნებს (იხილეთ ხუთი კატეგორია ზემოთ). ეს სტანდარტი არ შეეხება FSC-სერტიფიცირებულ ორგანიზაციებს, ამ უკანასკნელთაგან კონტროლირებადი მერქნის შეძენის კუთხით.

ამ სტანდარტის ყველა ასპექტი ითვლება ნორმატულად, მათ შორის მოქმედების სფერო, ძალაში შესვლის თარიღი, გამოყენებული ლიტერატურა, ტერმინები და განმარტებები, ცხრილები და დანართები, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ეს სტანდარტი ორგანიზაციამ არ უნდა გამოიყენოს FSC კონტროლირებადი მერქნის მისაღებად იმ მომწოდებელი ერთეულებისგან (ან ფილიალებისგან), რომლებსაც იგი ფლობს ან აკონტროლებს, თუ კონტროლირებადი მერქნის ხუთივე კატეგორიისთვის დაგეგმილი არ არის FSC ეროვნული რისკების შეფასება (რომელიც უნდა დამტკიცდეს FSC-ის მიერ 2017 წ. 31 დეკემბერამდე) იმ ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს მომწოდებელ ერთეულებს, ამ სტანდარტის გამოქვეყნების თარიღიდან. თუ მიმწოდებელი ერთეულების (მერქნის წყაროების) ტერიტორიაზე FSC ეროვნული რისკების შეფასება არ არის დაგეგმილი, ან არ იქნება დამტკიცებული 2017 წლის 31 დეკემბრამდე, შესაძლებელია ამ წყაროების დამოუკიდებლად სერტიფიცირება შემდეგი სტანდარტების მიხედვით: *FSC-STD-01-001 FSC ტყის მართვის პრინციპები და კრიტერიუმები, ან FSC-STD-30-010 ტყის მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები FSC კონტროლირებადი მერქნის სერტიფიცირებისათვის.*

C ძალაში შესვლისა და მოქმედების ვადები

დამტკიცების თარიღი:	2015 წ. 11 ნოემბერი
გამოქვეყნების თარიღი:	2015 წ. 18 დეკემბერი
ძალაში შესვლის თარიღი:	2016 წ. 1 ივლისი
მოქმედების ვადა:	სანამ არ ჩანაცვლდება ან გაუქმდება

D გამოყენებული ლიტერატურა

ეს დოკუმენტი ნორმატიულად (მთლიანად, ან ნაწილობრივ) ეყრდნობა ქვემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტებს, რომლებიც მნიშვნელოვანია მისი ფუნქციონირებისათვის. იმ წყაროებისათვის, რომელთა თარიღებიც არ არის მითითებული, გამოიყენება უახლესი ვერსია (ყველა შესწორების ჩათვლით).

FSC-PRO-60-002a FSC-ის რისკების შეფასების ეროვნული ჩარჩოები (დანართი A-ს შესრულებისთვის)

FSC-PRO-60-002b კონტროლირებადი მერქნის რისკების შეფასების დოკუმენტების FSC-ის მიერ დამტკიცებული ნუსხა

FSC-STD-40-004 მიწოდების ჯაჭვის სერტიფიკაცია

FSC-STD-50-001 მოთხოვნები სერტიფიკატის მფლობელების მიერ FSC სავაჭრო ნიშნების გამოყენების მიმართ

E ტერმინები და განმარტებები

ამ სტანდარტის მიზნებისთვის გამოიყენება ტერმინები და განმარტებები, რომლებიც მოცემულია დოკუმენტებში *FSC-STD-01001 FSC ტყის მართვის პრინციპები და კრიტერიუმები, FSC-STD-01-002 FSC ტერმინების ლექსიკონი, FSC-STD-40-004 მიწოდების ჯაჭვის სერტიფიკაცია, FSC-PRO-60-002a FSC რისკების შეფასების ეროვნული ჩარჩოები, და ასევე:*

შენიშვნა: ამ სტანდარტში გამოყენებულ ზოგიერთ ტერმინს განახლებული განმარტება აქვს, რომელიც განსხვავდება FSC-ის ადრე გამოქვეყნებულ ნორმატულ დოკუმენტებში მოცემული განმარტებებისგან.

თანა-პროდუქტი: პროდუქტი, რომელიც წარმოიქმნება სხვა (ძირითადი) პროდუქტის პირველადი წარმოების პროცესში, როდესაც საწყისი მასალა ერთი და იგივეა (მაგ. ნახერხი და ნაფოტები, რომლებიც წარმოიქმნება ფიცრების წარმოებისას). (წყარო: *FSC-STD-40-004 მიწოდების ჯაჭვის სერტიფიკაცია)*

საჩივარი: უკმაყოფილების გამოხატვა წერილობით, რომელსაც თან ახლავს ფაქტები, მესამე მხარის მიერ, ორგანიზაციის მიერ სტანდარტების დაცვასთან მიმართებაში. (წყარო: *FSC-STD-40-004 მიწოდების ჯაჭვის სერტიფიკაცია)*

შენიშვნა: ეს მოიცავს ორგანიზაციის მომწოდებლებთან და/ ან ქვე-მომწოდებლებთან მიმართებაში მომზადებულ საჩივრებს.

კონტროლის ღონისძიება (Control Measure, CM): ქმედება, რომელიც უნდა განახორციელოს ორგანიზაციამ, რათა შეამციროს მიუღებელი (მათ შორის გაურკვეველი) წყაროებისგან მასალის მოწოდების რისკი.

კონტროლირებადი მასალა: საწყისი მასალა, რომელიც მოწოდებულია FSC სერტიფიკატის (ან FSC-ს მიერ მინიჭებული სხვა სტატუსის) გარეშე, და რომელიც, შეფასების თანახმად, შეესაბამება FSC კონტროლირებადი მერქნის მოთხოვნებს შემდეგი სტანდარტის მიხედვით: *FSC-STD-40-005 V3-0 FSC კონტროლირებადი მერქნის მიწოდებასთან დაკავშირებული მოთხოვნები. (წყარო: FSC-STD-40-004 მიწოდების ჯაჭვის სერტიფიკაცია)*

სათანადო სიფრთხილისა და გადამოწმების სისტემა (Due Diligence System, DDS): ღონისძიებებისა და პროცედურების ერთობლიობა, მიუღებელი წყაროებისგან მასალის მიღების რისკის მინიმუმამდე დაყვანისთვის. DDS ჩვეულებრივ მოიცავს შემდეგ სამ ელემენტს: ინფორმაციის მოპოვება, რისკების შეფასება, რისკების შემცირება.

შენიშვნა: ზემოაღნიშნული წარმოადგენს სათანადო სიფრთხილისა და გადამოწმების სისტემის ადაპტირებას ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2010 წ. 20 ოქტომბრის რეგულაციის (EU) No 995/2010 მიხედვით, რომელშიც მოცემულია ევროკავშირის ბაზარზე ხე-ტყისა და ხე-ტყის მასალების შემომტანი ოპერატორების ვალდებულებები (ცნობილია როგორც EU ხე-ტყის რეგულაცია).

ტყის კატეგორიის სხვა კატეგორიაში გადაყვანა: ბუნებრივი ტყის საფარის განადგურება ადამიანის აქტივობის შედეგად შემდგომი აღდგენის გარეშე.

შენიშვნა: აღნიშნული ცვლილება შეიძლება მოხდეს მიწათსარგებლობის კატეგორიის შეცვლის შედეგად (მაგ. ბუნებრივი ტყის საფარის ხარჯზე პლანტაციების გაშენება, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მოწყობა, განაშენიანება, მრეწველობის ობიექტების მშენებლობა ან საბადოების მოპოვება) ან იქ, სადაც ტყე გაიკაფა სატყეო სამეურნეო ღონისძიებების ჩატარების შედეგად და არ მოხდა ტყის აღდგენა. მინიმალური პერიოდი ტყის გაკაფვასა და აღდგენას

შორის უნდა განისაზღვროს არსებული კანონმდებლობის, მოწინავე გამოცდილებისა და სხვა ფაქტორების საფუძველზე, რომელიც მიესადაგება შესაფასებელ ტერიტორიას.

(წყარო: *FSC-PRO-60-002a FSC რისკის შეფასების ეროვნული ჩარჩოები*)

FSC კონტროლირებადი მერქანი: მასალა ან პროდუქცია, რომელსაც ოფიციალურად მინიჭებული აქვს FSC კონტროლირებადი მერქნის სტატუსი.

FSC ტყის გლობალური რეესტრი: საჯაროდ ხელმისაწვდომი, ელექტრონული მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავს რისკის სტატუსებს მოცემული ტერიტორიებისათვის და შესაბამის მონაცემებს, რომლებიც რელევანტურია FSC კონტროლირებადი მერქნის მოთხოვნების შესრულებისთვის. URL: www.globalforestregistry.org

დაბალი რისკი: დასკვნა, რისკის შეფასების შედეგად, რომ არსებობს მხოლოდ უმნიშვნელო რისკი, რომ კონკრეტული გეოგრაფიული ადგილიდან მოწოდებული მასალა წარმოშობილია მიუღებელი წყაროებიდან (წყარო: *FSC-PRO-60-002a FSC რისკების შეფასების ეროვნული ჩარჩოები*)

შენიშვნა: FSC განმარტავს, რომ დაბალი რისკი იგივეა რაც უმნიშვნელო რისკი, EU ხე-ტყის რეგულაციის მიხედვით.

დაბალი რისკის ზონა: ზონა, სადაც რისკების შეფასების პროცესით დადგინდა მასალების მიწოდების დაბალი რისკი.

მასალა: ტყიდან წამოშობილი მასალა (მაგ. მერქანი და მერქნის პროდუქტები, ტყის არამერქნული პროდუქტები), ან მეორადი მერქანი, FSC სტატუსის გარეშე, რომელიც უნდა შეფასდეს ორგანიზაციის მიერ იმის დასადგენად, წარმოშობილია იგი თუ არა მისაღები წყაროებიდან.

დაუშვებელი წყარო [მასალა]: ნებისმიერი მასალა (მერქანი ან ტყის არამერქნული პროდუქტი), რომელიც არ არის შესაფერისი FSC პროდუქტების კონკრეტულ ჯგუფში შესატანად. (წყარო: „დასაშვები მასალის“ მოდიციფირებული განმარტება, *FSC-STD-40-004 მიწოდების ჯაჭვის სერტიფიცირება*)

ჩარჩო 1: განმარტებები

განსხვავება „მასალას“, „კონტროლირებად მასალას“ და „FSC კონტროლირებად მერქანს“ შორის შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

მასალა შეფასდება ორგანიზაციის მიერ ამ სტანდარტის შესაბამისად. მას შემდეგ, რაც დადასტურდება, რომ ეს მასალა შეესაბამება სტანდარტებს, ის შეიძლება გახდეს კონტროლირებადი მასალა ან FSC კონტროლირებადი მერქანი;

კონტროლირებადი მასალა არის მასალა, რომელიც დადასტურდა, რომ შეესაბამება ამ სტანდარტს და გამოიყენება ორგანიზაციის მიერ შიდა წარმოებისათვის როგორც ნედლეული (FSC სქემით სერტიფიცირებული პროდუქციის საწარმოებლად);

FSC კონტროლირებადი მერქანი არის მასალა, რომელიც დადასტურებულია, რომ შეესაბამება ამ სტანდარს, სტანდარტს *FSC-STD-40-004*, ან სტანდარტს *FSC-STD-30-010*, და შესყიდულია მომწოდებლისგან ამ სტატუსით (*FSC-STD-40-004 ფარგლებში*) ან კლასიფიცირებულია, როგორც ასეთი ამ სტანდარტის გამომყენებელი ორგანიზაციის მიერ, მეორე ორგანიზაციისთვის მისაყიდად (არ გამოიყენება შიდა წარმოებისთვის).

ორგანიზაცია: პირი ან ერთეული, რომელიც ფლობს FSC-ს სერტიფიკატს ან განაცხადი შეაქვს სერტიფიკაციაზე და აღნიშნულის გამო პასუხისმგებელია შესაბამისი მოთხოვნების შესრულების დემონსტრირებაზე (წყარო: *FSC-STD-01-001 FSC ტყის მართვის პრინციპები და კრიტერიუმები)*

წარმოშობა: ადგილი, სადაც მოხდა მერქნის მოპოვება.

შენიშვნა: წარმოშობის განსაზღვრისთვის გამოყენებული გეოგრაფიული მასშტაბები შეიძლება იცვლებოდეს (მაგ. პროვინცია ან სატყეო უბანი), და დამოკიდებულია კონკრეტული ტერიტორიის რისკის კატეგორიაზე და კონტროლის ღონისძიებებზე, თუ ასეთი ღონისძიებები საჭიროა.

ხარისხის მართვის სისტემა (Quality Management System, QMS): ხარისხის მართვის განსახორციელებლად საჭირო ორგანიზაციული სტრუქტურა, პოლიტიკა, პროცედურები, პროცესები და რესურსები.

რისკის შეფასება: მერქნის მიწოდების ჯაჭვში მიუღებელი წყაროებიდან მასალის მოწოდების რისკების შეფასება, მათ შორის წარმოშობასთან დაკავშირებული და შემდგომში ხე-ტყის სხვა პროდუქციაში შერევის რისკებისა.

არსებობს წარმოშობასთან მიმართებაში რისკების შეფასების რამდენიმე ტიპი (ნახ. 1):

რისკების ეროვნული შეფასება (National Risk Assessment, NRA): მოცემულ ქვეყანაში/ რეგიონში მიუღებელი წყაროებიდან მასალების მოწოდების რისკების შეფასება, რომელიც ხორციელდება შემდეგი დოკუმენტის შესაბამისად: *FSCPRO-60-002 კონტროლირებადი მერქნის რისკების ეროვნული შეფასების შემუშავება და დამტკიცება.* (წყარო: *FSC-PRO-06-002 კონტროლირებადი მერქნის რისკების ეროვნული შეფასებების შემუშავება და დამტკიცება)*

NRA-ბი, რომლებიც დამტკიცებულია *FSC-PRO-60-002 V2-0-ის საფუძველზე* ('ძველი NRA-ბი'), ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბამდე. თუ NRA არ დაექვემდებარება რევიზიას *FSC-PRO-60-002 V3-0*-ის მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბრამდე, შესაბამისი გეოგრაფიული ზონა ჩაითვლება როგორც ზონა NRA შეფასების გარეშე.

რისკების ცენტრალიზებული ეროვნული შეფასება (Centralized NRA, CNRA): რისკების ეროვნული შეფასება ან მისი ნაწილი, რომელიც შემუშავდება FSC-ის საერთაშორისო ცენტრის მიერ.

შენიშვნა: NRA და CNRA ერთად მოიხსენება, როგორც FSC რისკების შეფასება.

რისკების გამარტივებული შეფასება: ორგანიზაციის მიერ შეუფასებელ ზონებში მიუღებელი წყაროებიდან მოწოდების რისკების შეფასება დოკუმენტის: *FSC-STD-40-005 V3-0 „მოთხოვნები FSC-ის მიერ კონტროლირებადი მერქნის მოწოდების მიმართ"* დანართი A-ს მიხედვით. რისკების ეს შეფასება შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ იმ ქვეყნისთვის ან მისი ნაწილისთვის, სადაც დაგეგმილია FSC რისკების შეფასება კონტროლირებადი მერქნის ხუთივე კატეგორიისთვის, ამ სტანდარტის გამოქვეყნების დღიდან [1], და ამავდროულად დაგეგმილია ამ შეფასების დასრულება და FSC-ის მიერ დამტკიცება 2017 წ. 31 დეკემბრამდე. 2017 წ. 31 დეკემბრის შემდეგ რისკების გამარტივებული შეფასება აღარ გამოიყენება.

რისკების საფუძვლიანი (უფრო ფართო მასშტაბში) შეფასება (Extended Risk Assessment, ERA): ორგანიზაციის მიერ შეუფასებელ ზონებში მიუღებელი წყაროებიდან მერქნის მოწოდების რისკების შეფასება დოკუმენტების *FSC-PRO-60-002a FSC რისკების შეფასების ეროვნული ჩარჩოები* და სტანდარტი *FSC-STD-40-005 V3-0 „მოთხოვნები FSC-ის მიერ კონტროლირებადი მერქნის მოწოდების მიმართ"* მიხედვით.

[1] როგორც მოცემულია FSC-ის ვებ-გვერდზე (http://ic.fsc.org/centralized-national-risk-assessment.700.htm).

მიწოდების ჯაჭვში მიუღებელი მასალების შერევის რისკების შეფასების ჩატარება ხდება ორგანიზაციის მიერ საკუთარი მიწოდების ჯაჭვებისთვის.

1. <u>რისკის ეროვნული შეფასება (NRA) შემუშავებული *FSC-PRO 60-002 V3-0-ის მიხედვით.*</u>
   არსებობის შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნას ორგანიზაციის მიერ.

2. <u>რისკების ცენტრალიზებული ეროვნული შეფასება (CNRA)</u>
   გამოყენებულ უნდა იქნას, თუ ჩატარებულია კონტროლირებადი მერქნის ხუთივე კატეგორიისთვის, თუ არ არსებობს *FSC-PRO-60-002 V3-0*-ის მიხედვით ჩატარებული NRA, (*FSC-PRO-60-002 V2-0*-ის მიხედვით ჩატარებული NRA-ს ნაცვლად).

3. <u>რისკების ეროვნული შეფასება (NRA), შემუშავებული *FSC-PRO 60-002 V2-0*-ის მიხედვით.</u>
   გამოყენებულ უნდა იქნას იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს *FSC-PRO60-002 V3-0*-ის მიხედვით შემუშავებული NRA ან CNRA, თუმცა არ უნდა იქნას გამოყენებული 2017 წლის 31 დეკემბრის შემდეგ.

4. <u>რისკების გამარტივებული შეფასება</u>
   შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ NRA ან CNRA მომზადების პერიოდში, და არ უნდა იქნას გამოყენებული 2017 წლის 31 დეკემბრის შემდეგ.
   ან
   <u>რისკების საფუძვლიანი შეფასება</u>
   შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ შეუფასებელი რისკების ზონებისთვის, სადაც ხელმისაწვდომი არ არის FSC რისკების შეფასება.

ნახ. 1: რისკის შეფასების ტიპების იერარქია, რომელიც გამოიყენება ამ სტანდარტით სარგებლობისას. მერქნის წარმოშობის მოცემული ზონისთვის არჩეულ უნდა იქნას რისკების შეფასების ის ტიპი, რომელსაც ამ სქემაში ასახული გარემოებების გათვალისწინებით მინიჭებული აქვს ყველაზე მაღალი პრიორიტეტი (დაწყებული პირველიდან - რისკების ეროვნული შეფასება (NRA) შემუშავებული *FSC-PRO-60-002 V3-0-ის* მიხედვით). დამტკიცებული NRA-ების ნუსხა, ასევე ინფორმაცია ამ შეფასებების დროს გამოყენებული *FSC-PRO-60-002-ის* შესახებ, იხ. *FSC-PRO-60-02b FSC-ის მიერ დამტკიცებული კონტროლირებადი მერქნის რისკების შეფასებების ნუსხა.*

სპეციფიური რისკი: *FSC-PRO-60-002a FSC-ის რისკების ეროვნული შეფასების ჩარჩოების* მიხედვით ჩატარებული რისკების ეროვნული შეფასების შედეგად მიღებული დასკვნა, რომ არსებობს რისკი, რომელიც არ შეიძლება განისაზღვროს, როგორც დაბალი, რომ მიუღებელი წყაროებიდან წარმოშობილი ტყის პროდუქტები შეიძლება მოწოდებულ იქნას ან შემოვიდეს კონკრეტული გეოგრაფიული ტერიტორიიდან. ამ რისკების ბუნება და მასშტაბები უნდა დაზუსტდეს კონტროლის ეფექტიანი ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით. (წყარო: *FSC-PRO-60-002a FSC რისკების შეფასების ეროვნული ჩარჩოები)*

სპეციფიური რისკის ზონა (ტერიტორია): ტერიტორია, სადაც დოკუმენტში: *FSC-PRO-60-002a FSC რისკების შეფასების ეროვნული ჩარჩოები* - აღწერილი რისკების შეფასების პროცესის საშუალებით განისაზღვრა სპეციფიური რისკი. (წყარო: *FSC-PRO-60-002a FSC რისკების შეფასების ეროვნული ჩარჩოები)*

მომწოდებელი: პიროვნება, კომპანია ან სხვა იურიდიული ერთეული, რომელიც ორგანიზაციას აწოდებს მასალებს.

ქვე-მომწოდებელი: პიროვნება, კომპანია ან სხვა იურიდიული ერთეული, რომელიც მომწოდებელს, ან სხვა ქვე-მომწოდებელს აწოდებს მასალებს.

მოწოდების ზონა: გეოგრაფიული ერთეული, საიდანაც ხდება მასალების მოწოდება. არ არის აუცილებელი, რომ მოწოდების ტერიტორია ერთიანი (უწყვეტი) ტერიტორია იყოს; იგი შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე ტერიტორიული ერთეულისაგან, რომლებიც მდებარეობს სხვადასხვა პოლიტიკურ იურისდიქციაში, მათ შორის ქვეყნებში ან ტყის სხვადასხვა ტიპებში.

მოწოდების ერთეული: მკაფიოდ განსაზღვრული სატყეო ტერიტორია, რომლის მართვა ხდება ტყის მართვის ერთიანი მიზნების მისაღწევად. იგი მოიცავს ყველა ობიექტს ან ტერიტორიას, რომელიც მდებარეობს მოწოდების ერთეულში ან მიმდებარედ და იურიდიული კუთხით წარმოადგენს საკუთრებას ან ექვემდებარება მართვის კონტროლს, ან ექსპლუატაციას ტყის მმართველი ერთეულის მიერ ან მისი სახელით, მართვის მიზნების მისაღწევად.

შენიშვნა: სივრცობრივი დამოკიდებულება მოწოდების ზონასა და ერთეულს შორის ილუსტრირებულია ნახ. 2-ზე.

მიუღებელი წყაროები: მერქნის წყაროები, რომლებიც არ აკმაყოფილებს კონტროლირებადი მერქნის კატეგორიების მოთხოვნებს.

დაუზუსტებელი რისკები: *FSC-PRO60-002 V2-0-ის* მიხედვით ჩატარებული NRA-ს ან რისკების გამარტივებული შეფასების შედეგად მიღებული დასკვნა, რომ არსებობს რისკი, რომელიც ვერ განისაზღვრება, როგორც დაბალი, რომ ტყის პროდუქტები შეიძლება მოწოდებულ იქნას ან შევიდეს მიწოდების ჯაჭვში მიუღებელი წყაროებიდან, კონკრეტული გეოგრაფიული ზონიდან.

ტერიტორია სადაც არ ჩატარებულა რისკების შეფასება: ტერიტორია, რომელზეც არ გავრცელდა FSC რისკების შეფასება.

გამოხატვის ვერბალური ფორმები

[ადაპტირებულია დოკუმენტიდან: *ISO/IEC დირექტივები ნაწ. 2: საერთაშორისო სტანდარტების სტრუქტურისა და მუშა ვერსიის შემუშავების წესები*]

"უნდა": მიუთითებს მოთხოვნაზე, რომელიც მკაცრად უნდა შესრულდეს, რათა დაცულ იქნას სტანდარტთან შესაბამისობა.

"საჭიროა": მიუთითებს, სხვა შესაძლებლობებთან ერთად, რეკომენდირებულ, როგორც ყველაზე შესაფერის შესაძლებლობაზე, სხვების მითითების ან გამორიცხვის გარეშე, ან რომ მოქმედების კონკრეტულ მიმართულებას უპირატესობა ენიჭება, თუმცა არ არის აუცილებლად მოთხოვნილი. FSC-ის მიერ აკრედიტებული მასერტიფიცირებელი ორგანო შეიძლება სხვა გზით აკმაყოფილებდეს მოცემულ მოთხოვნებს, იმ პირობით, რომ შესაძლებელია ამის დემონსტრირება ან დასაბუთება.

"შესაძლოა": მიუთითებს ქმედების მიმართულებაზე, რომელიც ნებადართულია დოკუმენტის საზღვრებში.

"შეიძლება": გამოიყენება შესაძლებლობისა და უნარის გამომხატველი განაცხადებისთვის, იქნება ეს მატერიალური, ფიზიკური თუ კაუზალური.



ნახ. 2: სივრცობრივი დამოკიდებულების მაგალითი მოწოდების ზონას, FSC რისკების შეფასებით მინიჭებული ერთგვაროვანი რისკის კატეგორიის (კონტროლირებადი მერქნის მე-2 კატეგორიის, როგორც მაგალითის გამოყენებით) ზონასა და მომწოდებელ ერთეულს შორის.

ნაწილი I სათანადო სიფრთხილისა და გადამოწმების სისტემა

1. სათანადო სიფრთხილისა და გადამოწმების სისტემის გამოყენება და წარმოება

1.1 ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს, იყენებდეს და ინარჩუნებდეს სათანადო სიფრთხილისა და გადამოწმების (DDS) დოკუმენტირებულ სისტემას იმ მასალებისთვის, რომელთა მოწოდებაც ხდება FSC სტატუსის გარეშე და გამოყენებულ უნდა იქნას, როგორც კონტროლირებადი მასალა ან გაიყიდოს FSC კონტროლირებადი მერქნის სტატუსით.

შენიშვნა: ორგანიზაციამ შეიძლება არჩიოს, რომ შეიმუშავოს საკუთარი DDS, ან გამოიყენოს უკვე შემუშავებული DDS. მასერტიფიცირებელი ორგანო[2], რომელიც აფასებს ორგანიზაციის შესაბამისობას სტანდარტთან, ვერ იქნება მისაღები მხარე DDS-ის შესამუშავებლად.

1.2 ორგანიზაციამ საკუთარ DDS-ში უნდა შეიტანოს ამ სტანდარტის მიხედვით შეფასებული მასალის ყველა მომწოდებელი და ქვე-მომწოდებელი (იხ. ნახ. 3).

შენიშვნა: მომწოდებლებსა და ქვე-მომწოდებლებს არ მოეთხოვებათ ამ სტანდარტის შესრულება, და შესაბამისობის უზრუნველყოფა ორგანიზაციის პასუხისმგებლობაა. შესაბამისობის მიღწევის მიზნით ორგანიზაციამ შესაძლოა მოსთხოვოს მომწოდებლებს ამ სტანდარტის ნაწილ(ებ)ის გათვალისწინება.

1.3 ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს, რომ ორგანიზაციას, სასერტიფიკაციო ორგანოს და აკრედიტაციის საერთაშორისო სამსახურებს ხელი მიუწვდეთ ამ სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის მტკიცებულებაზე, მათ შორის მომწოდებლებისა და ქვე-მომწოდებლების და მომწოდებელი ერთეულების (საჭიროებისამებრ) დოკუმენტებზე, უბნებზე, ოფისებზე.



ნახ. 3: ორგანიზაციის მომწოდებლების და მიწოდების ჯაჭვის მაგალითი, საიდანაც ხდება მასალის მოწოდება.

1.4 ორგანიზაციამ არ უნდა გამოიყენოს საკუთარი DDS ტყის იმ რესურსებთან მიმართებაში, რომლსაც ფლობს ან მართავს იგი ან მისი რომელიმე ფილიალი.

1.5 ორგანიზაციამ უნდა გამოიყენოს მასალა როგორც კონტროლირებადი მასალა ან გაყიდოს იგი FSC კონტროლირებადი მერქნის სტატუსით [3] მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იგი შესაბამისობაშია ამ სტანდარტის მოთხოვნებთან, რაც დადასტურებულია DDS-ით.

შენიშვნა: ეს ერთდროულად მიესადაგება 3.5 და 4.14 მუხლებს.

---

[2] 'მასერტიფიცირებელი ორგანო' ასევე აღნიშნავს FSC-ის მიერ აკრედიტებულ ორგანოს, რომელიც აფასებს ორგანიზაციის სატყეო-სამეურნეო პრაქტიკის შესაბამისობას სტანდარტთან, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

[3] მიესადაგება გაყიდვების მოთხოვნები დოკუმენტიდან *FSC-STD-40-004 მიწოდების ჯაჭვის სერტიფიცირება.*



ნახ. 4. სათანადო სიფრთხილისა და გადამოწმების სისტემის ელემენტები

1.6 ორგანიზაციამ უნდა ჩაატაროს საკუთარი DDS-ის გადახედვა და, საჭიროების შემთხვევაში, რევიზია სულ ცოტა ყოველწლიურად, და ნებისმიერ დროს, როდესაც ხდება ისეთი ცვლილება, რომელიც მოქმედებს DDS-ის რელევანტურობაზე, ეფექტურობასა და ადექვატურობაზე.

შენიშვნა 1: DDS-ის რელევანტურობის, ეფექტურობისა და ადექვატურობის შემოწმების საშუალებები შესაძლოა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლება, საველე შემოწმებით და დოკუმენტების შემოწმებით, და ყველა საშუალება შეიძლება შესული იყოს შიდა აუდიტებში, როგორც მითითებულია 1.7-ში.

შენიშვნა 2: საველე შემოწმება შესაჭლოა ჩატარდეს მომწოდებელი ერთეულის დონეზე ან მომწოდებლის/ სუბ-მომწოდებლის ტერიტორიაზე. განხორციელების დროს/ შემთხვევაში, საველე შემოწმების სიხშირე და სფერო დამოკიდებული იქნება ორგანიზაციის მიერ საკუთარ DDS -ში იდენტიფიცირებულ რისკებზე.

შენიშვნა 3: კონტროლის ღონისძიებებად ასევე შესაძლოა გამოყენებულ იქნას კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან, საველე შემოწმება და დოკუმენტების შემოწმება. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება მე-4 თავის მოთხოვნები.

შენიშვნა 4: DDS-ის გადახედვა მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, რისკების გამოყენებული შეფასების ცვლილებების გადახედვით (იხ. თავი 3) და ორგანიზაციის კონტროლის ღონისძიებების გადახედვით (იხ. თავი 4).

1.7 ორგანიზაციამ უნდა ჩაატაროს საკუთარი DDS-ის შიდა აუდიტები სულ ცოტა წელიწადში ერთხელ, რათა უზრუნველყოს მისი კორექტულად განხორციელება.

1.8 ორგანიზაციამ უნდა მოახდინოს შიდა აუდიტების სფეროს, თარიღების და შიდა აუდიტებში მონაწილე პერსონალის დოკუმენტირება.

1.9 ორგანიზაციამ უნდა მოახდინოს შიდა აუდიტის დროს არაეფექტურად შეფასებული DDS-ის ყველა შემთხვევის დოკუმენტირება და უნდა უზრუნველყოს შესაბამისი პრობლემის მოგვარება და შესწორება მათი მიკვლევიდან 12 თვის განმავლობაში.

1.10 ორგანიზაციამ არ უნდა გამოიყენოს მასალა ისეთი მიწოდების ჯაჭვებიდან, რომელთა DDS-ის არაეფექტურობა იწვევს ან შესაძლოა გამოიწვიოს წარმოებაში არაშესაფერისი მასალების შეტანა.

2. მასალასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება

2.1 ორგანიზაციამ უნდა მოიპოვოს შემდეგი ინფორმაცია, მოახდინოს მისი დოკუმენტირება და აწარმოოს შემდეგი განახლებული ინფორმაცია 2.5-ში მითითებულ მასალებთან დაკავშირებით:

a) მომწოდებლების დასახელება და მისამართები;

b) მასალების აღწერა;

c) შესყიდული მასალების რაოდენობა - მოცულობა ან წონა;

d) სახეობები (სამეცნიერო და ჩვეულებრივი დასახელების ჩათვლით), სადაც სახეობების შესახებ ინფორმაცია აღნიშნავს პროდუქტის დახასიათებას და/ ან, საჭიროების შემთხვევაში, მოთხოვნილია ხე-ტყის მოქმედი კანონმდებლობით;

შენიშვნა: სავარაუდო სახეობების ნუსხა მისაღებია ქაღალდისთვის, შეწებებული ფიცრებისათვის და სხვა ტიპის პროდუქციიისათვის, რომელთა მისაღებად როგორც წესი გამოიყენება მერქნიანი მცენარეების მრავალი სახეობა.

e) შესყიდვის დოკუმენტაცია;

f) შესაბამისი რისკების შეფასება;

g) ქვეყანა, სადაც მოპოვებულ იქნა [მასალა], თუ მოითხოვს ხე-ტყის ლეგალურობის მოქმედი კანონმდებლობა;

h) წარმოშობის მტკიცებულება, 2.2-ის მიხედვით; და

i) ინფორმაცია მიწოდების ჯაჭვების შესახებ, 2.2-ის მიხედვით.

2.2 ორგანიზაციამ უნდა შეინახოს მასალების წარმოშობის მტკიცებულება რაც საშუალებას მისცემს, რომ (ექვემდებარება 2.5-ს):

a) განსაზღვროს ტერიტორია ერთგვაროვანი რისკებით, მერქნის ყოველი კატეგორიისთვის, შესაბამისი რისკების შეფასებაში; ან

b) დაამტკიცოს, რომ მასალა მოპოვებულ იქნა FSC-ის სერტიფიცირებული წყაროებიდან, ან ადრე კონტროლირებადი წყაროებიდან (სადაც მასალა გაიყიდა FSC კონტროლირებადი მერქნის სტატუსით), თუმცა ორგანიზაციას მიეწოდა FSC-ის სტატუსის გარეშე.

2.2.1 მომწოდებლის დეკლარაცია გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ როგორც ნაწილი წარმოშობის დამადასტურებელი მტკიცებულებისა. მხოლოდ მომწოდებლის დეკლარაცია, თუნდაც საკონტრაქტო ხელშეკრულებით მოცული, არ ითვლება მერქნის წარმოშობის საკმარის მტკიცებულებად.

2.3 ორგანიზაციას ხელი უნდა მიუწვდებოდეს ინფორმაციაზე მიწოდების ჯაჭვების შესახებ (მათ შორის ქვე-მომწოდებლებზე) იმ ფარგლებში, რომ შესაძლებელი იყოს შემდეგის დამტკიცება და დოკუმენტირება:

a) მასალის წარმოშობა;

b) წარმოშობასთან დაკავშირებული რისკები, და მიწოდების ჯაჭვში არა-შესაფერისი მასალების შერევასთან დაკავშირებული რისკები (მე-3 თავის მიხედვით); და

c) რისკების შემცირება (მე-4 თავის მიხედვით).

ჩარჩო 2: წარმოშობის დოკუმენტირება

შესაბამისი დოკუმენტაცია შესაძლოა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლება, კანონით მოთხოვნილი სატრანსპორტო დოკუმენტებით და კონკრეტული წარმოშობის ადგილიდან მერქნის შესყიდვის მტკიცებულებით, და ინვოისის გაგზავნა-მიღების შესაბამისი სისტემით, რომელიც გამოიყენება წარმოშობის ტერიტორიაზე (ტერიტორიებზე). წარმოშობის მტკიცებულება შესაძლოა გადამოწმდეს ორგანიზაციის მიერ მომწოდებლის ტერიტორიაზე, და/ან ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, შესაბამისი დოკუმენტაციის ასლების გამოყენებით.

მომწოდებელი ერთეულის წარმოშობის ადგილის შესახებ ინფორმაცია ყოველთვის არ არის საჭირო წარმოშობის დასამტკიცებლად, თუმცა საჭირო ხდება თუ კონტროლის ღონისძიება (მაგ. საველე გადამოწმება) რელევანტურია იმ მასშტაბისთვის.

2.4 ორგანიზაციამ უნდა დაავალდებულოს მომწოდებლები, რომ აცნობონ მას ნებისმიერი ისეთი ცვლილების შესახებ, რომელმაც შესაძლოა ზემოქმედება იქონიოს რისკების მინიჭებაზე ამ რისკების შემცირებაზე, როგორიცაა სახეობების, წარმოშობის და მიწოდების ჯაჭვის ცვლილება.

2.5 მერქნის შუალედური პროდუქტებისათვის, ორგანიზაციამ უნდა მოახდინოს წარმოშობის დოკუმენტირება 2.2-ის შესაბამისად, ან შუალედური პროდუქტების მომწოდებელთან კანონიერად ეფექტური და ქმედუნარიანი ხელშეკრულებით, რომელშიც მითითებული იქნება წარმოშობა.

2.5.1 მიწოდების წერილობითი ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს შემდეგს:

a) ინფორმაცია შუალედური პროდუქტების შესახებ, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, რომ რისკების შესაბამის შეფასებაში იდენტიფიცირებულ იქნას ტერიტორია ერთგვაროვანი რისკებით კონტროლირებადი მერქნის ხუთი კატეგორიისთვის (მაგ. პროვინცია და/ ან ტყის ტიპი/ საკუთრება);

b) კომენტარი, რომ იმ შემთხვევაში, თუ მასალა წარმოშობილია სპეციფიური რისკების მქორე ტერიტორიებიდან, მომწოდებელი დაეხმარება ორგანიზაციას კონტროლის ღონისძიებების გატარებისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვებაში.

2.5.2 მიწოდების ხელშეკრულების შემთხვევაში, ორგანიზაციამ უნდა გადაამოწმოს ინფორმაცია, რათა დაადასტუროს, რომ:

a) მოწოდებული სახეობები კომერციულად იქნა მოპოვებული მოწოდების დეკლარირებულ ტერიტორიაზე (და თან ახლავს CITES-ის სერტიფიკატი, საჭიროების შემთხვევაში);

b) მიწოდებული მასალების ტიპი და ხარისხი კომერციულად ხელმისაწვდომია მოწოდების დეკლარირებულ ტერიტორიაზე;

c) ორგანიზაციამდე (ამ მომწოდებლემდე, თუ მომწოდებელი შეისყიდის შუალედურ პროდუქტებს) მანძილი და სატრანსპორტო საშუალება შეესაბამება მოწოდების დეკლარირებულ ტერიტორიას და ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანია.

შენიშვნა: ორგანიზაცია პასუხისმგებელია იმაზე, რომ დაამტკიცოს ზემოთ აღნიშნული და სამართლიანად და ობიექტურად განსაჯოს მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის დამაჯერებლობა და სარწმუნოობა. საჭიროა ფრთხილი მიდგომის გამოყენება.

2.5.3 ორგანიზაციამ არ უნდა გამოიყენოს მასალა, როგორც კონტროლირებადი მასალა, ან გაყიდოს იგი FSC კონტროლირებადი მერქნის სტატუსით, თუ 2.5.2 a, b, ან c არ არის დადასტურებული.

2.6 გარეული ფაუნისა და ფლორის საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობებით ვაჭრობის შესახებ საერთაშორისო კონვენციის (CITES) 1-ლ, მე-2 ან მე-3 დანართებში ჩამოთვლილი სახეობებისგან წარმოშობილ პროდუქტებს, რომლებიც უნდა დაექვემდებაროს იმპორტს, ექსპორტს ან რე-ექსპორტს, თან უნდა ახლდეს შესაბამისი ძალაში მყოფი სერტიფიკატები.

3 რისკების შეფასება

3.1 ორგანიზაციამ უნდა გამოიყენოს FSC-ის შესაბამისი რისკების შეფასება, რათა დაადგინოს მასალების წარმოშობასთან დაკავშირებული რისკები კონტროლირებადი მერქნის ყოველი კატეგორიისთვის.

3.2 ორგანიზაციამ უნდა მოახდინოს საკუთარი DDS-ის ადაპტირება, თუ მოცემულ ტერიტორიაზე ჩატარდა FSC რისკების შეფასება FSC-ის მიერ ამ რისკების შეფასების დამტკიცების დღიდან 6 თვის განმავლობაში, თუ ვადის გაგრძელება არ არის დასაბუთებული და დამტკიცებული მასერტიფიცირებელი ორგანოს მიერ.

3.3 შეფასების გარეშე დარჩენილი ტერიტორიების რისკების შეფასება შესაძლებელი იქნება მხოლოდ შემდეგის მიხედვით:

a) ორგანიზაციამ შესაძლოა ჩაატაროს რისკების საკუთრი შეფასება ამ დოკუმენტის დანართი „A“-ს მოთხოვნების შესაბამისად; და

b) ორგანიზაციამ უნდა მოიპოვოს მერქნის მოწოდების ტერიტორიაზე და/ან მოწოდების ახალ გაფართოებულ ტერიტორიებზე მისი რისკების შეფასების დამტკიცება მასერტიფიცირებელი ორგანოს მიერ (FSC-ს ხაზით), სანამ გამოიყენებს რისკების მინიჭებას საკუთარ DDS-ში.

შენიშვნა: FSC-ის რისკების შეფასების გამოყენება არ მოითხოვება, თუ მასალა კლასიფიცირებულია 3.6-ის მიხედვით. რისკების მინიჭების სხვადასხვა წყაროების გამოყენების ილუსტრაციისთვის იხ. ნახ. 5, დანართი „A“.

3.4 ორგანიზაციამ უნდა მოახდინოს მერქნის ტრანსპორტირების, დამუშავების და დასაწყობების დროს მიწოდების ჯაჭვში მიუღებელი მასალების შერევის რისკების შეფასება და დოკუმენტირება.

3.5 ორგანიზაციამ შესაძლოა გამოიყენოს მასალა, როგორც კონტროლირებადი და/ან გაყიდოს იგი FSC-ის კონტროლირებადი მერქნის სტატუსით, თუ დადასტურდა დაბალი რისკი კონტროლირებადი მერქნის ხუთივე კატეგორიისთვის, და არ არსებობს მიწოდების ჯაჭვებში მიუღებელი მასალების შერევის რისკები.

3.6 ორგანიზაციამ შესაძლოა გამოიყენოს მასალა, როგორც კონტროლირებადი და/ან გაყიდოს იგი FSC-ის კონტროლირებდი მერქნის სტატუსით, თუ მას ადრე გააჩნდა FSC 100% ან FSC კონტროლირებადი მერქანი (მაგრამ მოწოდებული იყო FSC სტატუსის გარეშე), და არსებობს მტკიცებულება, რომ არ მომხდარა შერევა არა-FSC სერტიფიცირებულ მიწოდების ჯაჭვში[4].

[4] არა-FSC სერტიფიცირებული მიწოდების ჯაჭვი არის მიწოდების ჯაჭვი მის უფრო დაბალ რგოლებში მყოფ ორგანიზაციასა (ნედლეულის მიმწოდებლები, რომლებმაც გაყიდეს FSC-ის სერტიფიცირებული მასალა ან FSC

3.7 თუ დადგინდა სპეციფიური ან დაუზუსტებელი რისკები მიწოდების ჯაჭვში მიუღებელი მასალის შერევის კუთხით, ორგანიზაციამ უნდა შეასრულოს მე-4 თავის მოთხოვნები, სანამ შესაძლებელი გახდება მასალის, როგორ კონტროლირებადი მასალის გამოყენება ან მისი გაყიდვა FSC-ის კონტროლირებადი მერქნის სტატუსით.

კონტროლირებადი მერქანი) და ორგანიზაციას შორის, რომელიც იყენებს ამ სტანდარტს და ახორციელებს მასალების შეფასებას რისკების შეფასების კუთხით.

ჩარჩო 3: რაში მდგომარეობს რისკი?

რისკები განიხილება შემდეგი თვალსაზრისით:

a) წარმოშობა - მასთან დაკავშირებულია ისეთი მიუღებელი წყაროებიდან მოწოდების რისკი, სადაც ხორციელდება მართვის მიუღებელი პრაქტიკა. ამ რისკის შეფასება ხდება კონკრეტული გეოგრაფიული არეალისთვის, რისკების შეფასების მოქმედი მოთხოვნების შესაბამისად, და ტარდება NRA, CNRA ან ორგანიზაციის რისკების საკუთარი შეფასების ფარგლებში (იხ. რისკების შეფასების განმარტება - თავი E).

b) მიწოდების ჯაჭვი, საიდანაც ხდება მასალების მოწოდება - ეს რისკები მოიცავს იმის გათვალისწინებას, თუ რა ხდება მასალასთან მიმართებაში (რომელიც მოპოვებულ იქნა სპეციფიური რისკის ტერიტორიაზე, პუნქტ „ა“ შესაბამისად) მიწოდების ჯაჭვ(ებ)ში. ეს მოიცავს რისკს, რომ მასალას შეერევა მიუღებელი წარმოშობის მასალები, რაც არ იძლევა წარმოშობასთან დაკავშირებული რისკების დადასტურების შესაძლებლობას. ეს რისკი სპეციფიურია ორგანიზაციისთვის.

რისკების ეფექტიანად შემცირებისთვის ორივე თვალსაზრისი უნდა იქნას განხილული და უნდა გატარდეს რისკების შემცირების ღონისძიებები მიწოდების ჯაჭვის სათანადო დონეზე.

პრაქტიკული მოსაზრებით, და ორგანიზაციის თვალსაზრისით, რისკის შეფასება წარმოადგენს მიწოდების ჯაჭვზე სიღრმისეულ დაკვირვებას, რათა განისაზღვროს სიტუაციები, პროცესები და ა.შ., რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს მიწოდების ჯაჭვებში მოიღებელი წყაროების მოხვედრა. რისკების შეფასების შემდეგ ორგანიზაცია შეაფასებს, თუ რამდენად სავარაუდო და სერიოზულია რისკი მის ოპერაციებთან მიმართებაში (და შესაბამისი FSC რისკების შეფასებასთან მიმართებაში) და შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას, თუ კონტროლის რა ღონისძიებების განხორციელებაა საჭირო.

4 რისკების შემცირება

4.1 ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს და უნდა ახორციელებდეს კონტროლის ადეკვატურ ღონისძიებებს, რათა შეამციროს სპეციფიური ან დაუზუსტებელი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია წარმოშობასთან და/ ან მიწოდების ჯაჭვში მიუღებელი მასალების შერევის რისკი.

შენიშვნა: კონტროლის ღონისძიებების და მათი შემუშავების მითითებების მაგალითები - იხ. დანართი E.

ორგანიზაციის მიერ შემოღებული კონტროლის ღონისძიებები

4.2 კონტროლის ყოველი ღონისძიების შედეგი მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული.

4.3 თუ არსებობს იმის ალბათობა, რომ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები კონფლიქტში იყოს კონტროლის ადექვატურ ღონისძიებებთან, კონტროლის ღონისძიებები გამოყენებამდე, უნდა დამტკიცდეს მასერტიფიცირებელი ორგანოს მიერ.

შენიშვნა: კონფლიქტები ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები ხელს უშლის FSC მოთხოვნების შესრულებას. თუ კონტროლის ღონისძიებები

აღემატება მინიმალურ მოთხოვნებს კანონის შესრულებასთან მიმართებაში, ეს არ ითვლება კონფლიქტად.

4.4 კონტროლის ღონისძიებების დასაწესებლად გამოყენებულ უნდა იქნას კონტროლირებადი მერქნის მოქმედი დამტკიცებული დოკუმენტები, რომლებიც ჩამოთვლილია *FSC-PRO-60-002b-ში - კონტროლირებადი მერქნის დამტკიცებული დოკუმენტების ნუსხა* (მაგ. მაღალი კონსერვაციული ღირებულების შეფასების ჩარჩოები).

4.5 კონტროლის ღონისძიებებისთვის, სადაც რელევანტურია, შესაძლოა გამოყენებულ იქნას ინდიკატორები და ვერიფიკატორები FSC ტყის მართვის დამტკიცებულ ეროვნულ სტანდარტში, მასერტიფიცირებელი ორგანოს სტანდარტი, ან FSC ზოგადი საერთაშორისო ინდიკატორები.

4.6 თუ კონტროლის ღონისძიებებისთვის საჭიროა კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან, ისინი უნდა ჩატარდეს დანართი „B“-ს მოთხოვნების შესაბამისად.

4.7 ორგანისაციამ შესაძლოა ჩაატაროს კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან დანართი „B“-ს შესაბამისად, რათა გადაამოწმოს კონტროლის ღონისძიებების ადექვატურობა.

4.8 თუ კონტროლირებადი მერქნის მე-2 და მე-3 კატეგორიებს მინიჭებული აქვს დაუზუსტებელი რისკი, ორგანიზაციამ უნდა ჩაატაროს კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან, როგორც საკონტროლო ღონისძიებების ნაწილი.

შენიშვნა: დაუზუსტებელი რისკების უბნები შეიძლება განისაზღვროს *FSC-PRO-60-002 V2-0* (‘ძველი NRA-ები) მიხედვით დამტკიცებული NRA-ებით, ან ორგანიზაციის მიერ ჩატარებული რისკების გამარტივებული შეფასებით (იხ. დანართი „A“).

4.9 კონტროლირებადი მერქნის მე-2 და მე-3 კატეგორიებისთვის ორგანიზაციამ უნდა გამოიყენოს სულ მცირე ერთი ექსპერტის დასკვნა, რათა დაასაბუთოს კონტროლის ღონისძიებების ადექვატურობა, თუ ისინი, შესაბამისი NRA-ით, არ არის გათვალისწინებული, როგორც სავალდებულო, რათა თავიდან იქნას აცილებული სპეციფიური რისკის მქონე ტერიტორიაზე მოპოვებული მასალები. ექსპერტი უნდა აკმაყოფილებდეს „C“ დანართში მითითებულ მოთხოვნებს.

შენიშვნა: კონტროლის ღონისძიებების ადექვატურობის დასასაბუთებლად ორგანიზაციას ასევე შეუძლია ექსპერტების (რომლებიც აკმაყოფილებენ „C“ დანართში მითითებულ მოთხოვნებს) მიერ შემუშავებული საჯაროდ ხელმისაწვდომი მასალების გამოყენება.

4.10 იმ ტერიტორიიდან წარმოშობილი მასალისთვის, რომელიც არ არის მოცული *FSC-PRO-60-002 V3-0*-ის მიხედვით დამტკიცებული NRA-ით, და თუ არსებობს ტრადიციულ და ადამიანის უფლებებთან[5] დაკავშირებული სპეციფიური ან დაუზუსტებელი რისკი.

a) მასალა არ უნდა იყოს წარმოშობილი ისეთი ტერიტორიებიდან, სადაც არსებობს მკვიდრი ხალხებისა და ტრადიციული ხალხების უფლებების ფართოდ გავრცელებული დარღვევის არსებითი მტკიცებულება;

b) მასალა არ უნდა იყოს წარმოშობილი ისეთი ტერიტორიებიდან, სადაც არსებობს მნიშვნელოვანი მასშტაბების კონფლიქტი მკვიდრი ხალხებისა და/ ან ტრადიციული ხალხების უფლებებთან მიმართებაში, თუ კონფლიქტში მყოფი მხარეების მიერ კონფლიქტის მოსაგვარებლად არ არის მიღებული ზომები, რომლებსაც მკვიდრი

[5] ეს მოიცავს *FSC-PRO-60002a*-ს მიხედვით რისკების შეფასებებში 2.3 ინდიკატორის შედეგებს (FSC რისკების შეფასება ან რისკების საფუძვლიანი შეფასება), ან 2.4 და 2.5 ინდიკატორების შედეგებს *FSC-PRO-60-002 V2-0*-ის მიხედვით შემუშავებულ NRA-ებში, ან რისკების გამარტივებულ შეფასებაში.

ხალხები და/ ან ტრადიციული ხალხები აღიარებენ სამართლიანად და თანასწორად, ან თუ მასალის მოწოდებასთან დაკავშირებულ მართვის ღონისძიებებთან მიმართებაში თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობა (Free Prior and Informed Consent, FPIC) არაა მიცემული მკვიდრი ხალხების და/ ან ტრადიციული ხალხების მიერ; და

c) ორგანიზაციამ უნდა მოიპოვოს ერთი ან მეტი ექსპერტის დასკვნა, და იკითხოს შესაბამისი FSC ქსელის პარტნიორ(ებ)ის მოსაზრება FPIC-დან დაკავშირებულ მოთხოვნებთან მიმართებაში, როდესაც ახორციელებს 4.10.1 b)-ს. ექსპერტები უნდა აკმაყოფილებდნენ „C“ დანართში მითითებულ მოთხოვნებს.

4.11 ისეთი ტერიტორიიდან წარმოშობილი მასალისთვის, რომელიც არ მოიცვა *FSC-PRO-60-002 V3*-0-ის მიხედვით დამტკიცებულმა NRA-მ, ან სადაც არსებობს მაღალ კონსერვაციულ ღირებულებებთან (High Conservation Values, HCVs) 2-6 დაკავშირებული სპეციფიური ან დაუზუსტებელი რისკები:

a) HCV 2 (ლანდშაფტის დონის ეკოსისტემები და მოზაიკები):

მასალა არ უნდა იყოს მიღებული ხელუხლებელ ტყის მასივებში[6] (Intact Forest Landscapes, IFLs) ხე-ტყის კომერციული დამზადებიდან, და არ უნდა იყოს წარმოშობილი იმ ტერიტორიებიდან, სადაც მართვის ღონისძიებები ხელს უწყობს ან ზრდის IFL-ების ფრაგმენტაციას.

b) HCV 3 (ეკოსისტემები და ჰაბიტატები):

მასალა არ უნდა იყოს წარმოშობილი იმ ტერიტორიებიდან, სადაც არსებობს HCV 3-ები, თუ არ არის გატარებული კონკრეტული ზომები, რომელთა მიზანია ეკოსისტემისთვის დამახასიათებელი HCV-ის დაცვა (მაგ. ხე-ტყის დამზადება იშვიათი, საფრთხის ქვეშ მყოფი ან რისკის ქვეშ მყოფ ეკოსისტემებში ისეა დაგეგმილი, რომ ხელს უწყობს ამ ეკოსისტემების მასშტაბების და ღირებულებების დაცვას).

c) HCV 4 (კრიტიკული ეკოსისტემების სერვისები):

მასალა არ უნდა იყოს წარმოშობილი იდენტიფიცირებული ან რუკაზე დატანილი წყალგამყოფებიდან[7]რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას სასმელი წყლით ამარაგებს, თუ არ გამოიყენება ტყის მართვის საუკეთესო პრაქტიკა, მათ შორის მდინარეების გასწვრივ ბუფერები, შეზღუდვები ტექნიკასთან დაკავშირებით, გზების მშენებლობა და დაცვა დაბინძურებისგან.

შენიშვნა: საუკეთესო პრაქტიკის შეფასება შესაძლებელია საუკეთესო პრაქტიკის კოდექსის ან სხვა, ზოგადი რეგულაციის შესრულების საფუძველზე.

d) HCV 5-6 (მოსახლეობის საჭიროებები - კულტურული ღირებულებები):

მასალა არ უნდა იყოს წარმოშობილი ისეთი ტერიტორიებიდან, სადაც არსებობს HCV 5-6-ები, თუ არ არსებობს მტკიცებულება, რომ ტყის მართვაში აქტიურადაა ჩართული ადგილობრივი მოსახლეობა და მკვიდრი ხალხები, და მოთხოვნები სრულდება.

---

[6] განისაზღვრება http://intactforests.org მიხედვით ან http://www.globalforestwatch.org/map/3/15.00/27.00/ALL/grayscale/none/607 2013 წლისთვის, ან FSC რისკების შეფასებით.

[7] წყალგამყოფების მასშტაბები (ზომა) უნდა განისაზღვროს იმ ტერიტორიებით, სადაც ცხოვრობს შესაბამისი ადგილობრივი მოსახლეობა.

NRA-ში მოცემული კონტროლის ღონისძიებები

4.12 ორგანიზაციამ უნდა განახორციელოს კონტროლის ღონისძიებები, რომლებიც NRA-ში გათვალისწინებულია, როგორც სავალდებულო, 4.13-ის თანახმად.

4.13 ორგანიზაციამ შესაძლოა ჩაანაცვლოს NRA-ში მოცემული სავალდებულო კონტროლის ღონისძიებები უფრო ეფექტიანი კონტროლის ღონისძიებებით, თუ კმაყოფილდება შემდეგი პირობები:

a) ორგანიზაცია ახდენს დემონსტრირებას, რომ NRA-ში მოცემული კონტროლის ღონისძიებები არ არის ადექვატური ორგანიზაციის კონკრეტულ ოპერაციებში აღმოჩენილი რისკების შესამცირებლად;

b) ორგანიზაცია უჩვენებს სასერტიფიკაციო ორგანოს, რომ კონტროლის ალტერნატიული ღონისძიებები საკმარისია რისკების შესამცირებლად და FSC-ის მიერ აკრედიტებული მასერტიფიცირებელი ორგანო დაამტკიცებს კონტროლის ალტერნატიულ ღონისძიებებს; და

c) ორგანიზაცია, მასერტიფიცირებელი ორგანოს მიერ დამტკიცების შემდეგ, გადაუგზავნის კონტროლის ალტერნატიული ღონისძიებების აღწერილობას და მათი გამოყენების დასაბუთებას NRA-ს წარმოებაზე პასუხისმგებელ ორგანოს (როგორც განსაზღვრულია NRA-ში).

მასალის გამოყენება

4.14 ორგანიზაციამ შესაძლოა გამოიყენოს მასალა, როგორც კონტროლირებადი მასალა ან გაყიდოს იგი FSC-ის კონტროლირებადი მერქნის სტატუსით კონტროლის ღონისძიებების განხორციელების შემდეგ.

ნაწილი II ხარისხის მართვის სისტემა

5. კომპეტენცია, დოკუმენტაცია და ჩანაწერები

5.1 ორგანიზაციამ უნდა დანიშნოს მენეჯმენტის წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ორგანიზაციის მიერ ამ სტანდარტის მოქმედი მოთხოვნების შესრულებაზე.

5.2 შესაბამისმა პერსონალმა უნდა გამოავლინოს ორგანიზაციის პროცედურების ცოდნა და ამ სტანდარტის მოქმედი მოთხოვნების განხორციელების კომპეტენცია.

5.3 ორგანიზაციამ უნდა განახორციელოს დოკუმენტირებული პროცედურები, რომლებიც მოიცავს ამ სტანდარტის ყველა მოქმედ მოთხოვნას.

5.4 ორგანიზაციამ უნდა აწარმოოს ჩანაწერები და დოკუმენტაცია, რომელიც ახდენს ამ სტანდარტთან მისი შესაბამისობის დემონსტრირებას, და უზრუნველყოს მათი შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა მასერტიფიცირებელი ორგანოსთვის.

5.5 ორგანიზაციამ შესაბამისი ჩანაწერები უნდა შეინახოს მინიმუმ 5 (ხუთი) წლის განმავლობაში.

6. საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია

6.1 ორგანიზაციამ უნდა მიაწოდოს მასერტიფიცირებელ ორგანოს საკუთარი DDS-ის წერილობითი რეზიუმე. აღნიშნული რეზიუმე უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

a) მოწოდების ტერიტორი(ებ)ის აღწერილობა და შესაბამისი რისკების მინიჭება;

შენიშვნა: აღწერა უნდა იძლეოდეს ერთგვაროვანი რისკების მინიჭების არეალის იდენტიფიცირების საშუალებას შესაბამისი რისკების შეფასებაში კონტროლირებადი მერქნის ყოველი კატეგორიისთვის.

b) მითითება შესაბამის FSC რისკების შეფასებაზე;

c) ორგანიზაციის საკუთარი რისკების შეფასება (გარდა კონფიდენციალური ინფორმაციისა);

d) საჩივრების მიღება-დამუშავების პროცედურა; და

e) საჩივრების დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია.

შენიშვნა 1: ეს ინფორმაცია შეტანილი უნდა იყოს მასერტიფიცირებელი ორგანოს სერტიფიკაციის ანგარიშის საჯარო რეზიუმეში, FSC მონაცემთა ბაზაში.

შენიშვნა 2: არ არის აუცილებელი, რომ DDS-ის რეზიუმე იყოს FSC -ის ოფიციალურ ენაზე.

6.2 იმ ტერიტორიიდან მოწოდებული მასალისთვის, რომელსაც არა აქვს მინიჭებული დაბალი რისკი მასალის წარმოშობისთვის, DDS-ის წერილობითი რეზიუმე ასევე უნდა შეიცავდეს შემდეგს:

a) ორგანიზაციის მიერ გატარებული კონტროლის ღონისძიებები, რისკების შეფასების ინდიკატორების მიხედვით[8];

b) ორგანიზაციის რეზიუმე „B“ დანათის მიხედვით ჩატარებული კონსულტაციების პროცესის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში;

c) კონტროლის ღონისძიებების შემუშავებაში ერთი ან მეტი ექსპერტის მონაწილეობის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში;

შენიშვნა: ინდივიდუალურ ექსპერტებთან მიმართებაში ეს მოიცავს ექსპერტების სახელსა და გვარს, მათ კვალიფიკაციას, მისი ლიცენზიის/ რეგისტრაციის ნომერს (თუ მიესადაგება), და მათი მომსახურების სფეროს. საჯაროდ ხელმისაწვდომი ექსპერტების შემთხვევაში მითითებული უნდა იყოს ინფორმაციის კონკრეტული წყარო.

d) ორგანიზაციის მიერ კონტროლის ღონისძიების სახით განხორციელებული საველე შემოწმების შედეგები, საჭიროების შემთხვევაში, და აღმოჩენილი დარღვევების (ასეთის შემთხვევაში) აღმოსაფხვრელად მიღებული ზომები, თუ კონფიდენციალური არ არის. ორგანიზაციამ უნდა მიუთითოს კონფიდენციალური ინფორმაციის არ-შეტანის დასაბუთება.

შენიშვნა: ინფორმაციის კონფიდენციალურობის განსაზღვრა შესაძლებელია კანონმდებლობით, რომლის მიხედვითაც მოქმედებს ორგანიზაცია. კომერციულად მოწყვლადი ინფორმაცია და მიწის მესაკუთრეების გვარები მიჩნეულ უნდა იქნას კონფიდენციალურ ინფორმაციად.

7. დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა და საჩივრები

7.1 ორგანიზაციამ უნდა შეიმუშავოს და გამოიყენოს დოკუმენტირებული პროცედურა, რათა დაამუშავოს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული DDS-სთან დაკავშირებული კომენტარები და საჩივრები.

---

[8] მოცემულია დოკუმენტში *FSC-PRO-60-002a FSC რისკების ეროვნული შეფასების ჩარჩოები* (NRA-ებისთვის ან რისკების საფუძვლიანი შეფასებისთვის) ან „ა“ დანართში (ძველი NRA-ებისთვის ან რისკების გამარტივებული შეფასებისთვის).

შენიშვნა: პროცედურა შეიძლება შედგებოდეს შესაბამისი არსებული ორგანიზაციული პოლიტიკისგან, მექანიზმებისგან და ა.შ.

7.2 პროცედურა უნდა მოიცავდეს მექანიზმებს (თუ სხვა რამ არ არის მითითებული მოქმედ NRA-ში) შემდეგის განსახორციელებლად:

a) საჩივრის მიღების დადასტურება;

b) დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირება საჩივართან დაკავშირებული პროცედურის შესახებ და საჩივრებზე საწყისი პასუხის გაცემა 2 (ორი) კვირის ვადაში;

c) პასუხისმგებელი ორგანოსთვის შესაბამისი FSC რისკების მინიჭებასთან დაკავშირებული საჩივრების გადაგზავნა (NRA-სთვის, როგორც მითითებულია NRA-ში, CNRA-სთვის, FSC);

შენიშვნა: როდესაც საჩივარი გადაეგზავნება პასუხისმგებელ ორგანოს, მუხლები 7.2. d) - k) აღარ მიესადაგება.

d) წინასწარი შეფასების ჩატარება იმის დასადგენად, არის თუ არა საჩივარში მოყვანილი მტკიცებულება არსებითი, მიუღებელი წყაროებიდან წარმოშობილი მასალის გამოყენების რისკებთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეფასების გზით;

e) დიალოგი მომჩივანებთან, რომლის მიზანია „არსებითად“ შეფასებული საჩივრების მოგვარება მანამდე, სანამ გატარდება შემდგომი ღონისძიებები;

f) მნიშვნელოვანი საჩივრების გადაგზავნა მასერტიფიცირებელი ორგანოსთვის და FSC-ის შესაბამის ეროვნულ ოფისში საჩივრის მიღებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში. საჩივარს თან უნდა ახლდეს ინფორმაცია ორგანიზაციის მიერ საჩივრის მოსაგვარებლად მისაღები ზომების შესახებ, ასევე იმის შესახებ, თუ როგორ იქნება გამოყენებული ფრთხილი მიდგომა.

g) ფრთხილი მიდგომის გამოყენება შესაბამისი მასალის შემდგომი მოწოდებისას, სანამ საჩივარი წარმოებაშია;

შენიშვნა: ეს მოიცავს იმის აღწერას, თუ როგორ იყენებს ორგანიზაცია ფრთხილ მიდგომას, როდესაც საჩივარი აქტიურია.

შენიშვნა: საჩივარი წარმოებაშია, თუ იგი მიჩნეულ იქნა არსებითად (7.2 d მუხლის შესაბამისად) და ეფექტური მაკორექტირებელი ქმედება (7.2 h-k მუხლის მიხედვით) ჯერ არ განხორციელებულა.

h) გადამოწმების პროცესის განხორციელება (მაგ. საველე გადამოწმება და/ ან გადამოწმება სამუშაო ადგილიდან) იმ საჩივართან მიმართებაში, რომელიც ორგანიზაციის მიერ შეფასდა, როგორც „არსებითი“, მისი მიღებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში;

i) იმ მაკორექტირებელი ქმედების განსაზღვრა, რომელიც უნდა განხორციელდეს მომწოდებლების მიერ და მისი შესრულების უზრუნველყოფის მეთოდი, თუ საჩივარი შეფასდა და გადამოწმდა, როგორც „არსებითი“. თუ შეუძლებელია მაკორექტირებელი ქმედების განხორციელება და/ან შესრულების უზრუნველყოფა, შესაბამისი მასალა და/ან მომწოდებლები უნდა გამოირიცხონ ორგანიზაციის მიერ;

j) იმის გადამოწმება, გაატარეს თუ არა მომწოდებლებმა მაკორექტირებელი ქმედებები და ეფექტურია ისინი თუ არა;

k) თუ არ გატარებულა მაკორექტირებელი ქმედება - შესაბამისი მასალისა და მომწოდებლების გამორიცხვა;

l) მომჩივანის, მასერტიფიცირებელი ორგანოსა და FSC-ის შესაბამისი ეროვნული ოფისის ინფორმირება საჩივრის შედეგებისა და მის მოსაგვარებლად გატარებული მაკორექტირებელი ქმედებების შესახებ, და შესაბამისი მიწერ-მოწერის წარმოება; და

m) ყველა მიღებული საჩივრისა და გატარებული ქმედების რეგისტრაცია და შენახვა.

დანართი „A“ რისკების შეფასება ორგანიზაციის მიერ

1 ზოგადი დებულებები

1.1 ორგანიზაციამ შესაძლოა ჩაატაროს რისკების შემდეგი სახის შეფასებები შეფასების გარეშე დარჩენილი ტერიტორიებისთვის (ნახ. 5):

a) რისკის გამარტივებული შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც დაგეგმილია FSC რისკების ეროვნული შეფასება კონტროლირებადი მერქნის ხუთივე კატეგორიისთვის, ამ სტანდარტის გამოქვეყნების თარიღიდან,[9] და თუ აღნიშნული რისკების გამარტივებული შეფასება უნდა დამტკიცდეს 2017 წლის 31 დეკემბრამდე. რისკების გამარტივებული შეფასება არ უნდა იქნას გამოყენებული 2017 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, ამ სტანდარტის პ. 3.2-ის თანახმად; ან

b) რისკების საფუძვლიანი შეფასება - ქვემოთ მე-2 თავის შესამაბისად, მიუხედავად იმისა, დაგეგმილია თუ არა FSC რისკების შეფასება.[9]

1.2 მერქნის თანა-პროდუქტებისთვის ორგანიზაციას, რომელიც მდებარეობს ევროკავშირში, შეუძლია მიანიჭოს ევროკავშირის მეორე ქვეყანას დაბალი რისკი, საკუთარი რისკების შეფასებაში, კონტროლირებადი მერქნის 1-ლი კატეგორიისთვის, თუ კმაყოფილდება შემდეგი პირობები:

a) მორები, რომელთაგან წარმოიშობა თანა-პროდუქტები, მოპოვებულ იქნა ევროკავშირში;

b) თანა-პროდუქტების წარმოება და მოწოდება ხდება მომწოდებლის მიერ, რომელიც მდებარეობს ევროკავშირში;

c) თანა-პროდუქტების მომწოდებელი წარმოადგენს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება ევროკავშირის მერქნის რეგულაციით (EU Timber Regulation, EUTR)-ით და ამ სტანდარტის მე-2 თავით; და

d) ორგანიზაცია, რომელიც იღებს თანა-პროდუქტებს და იყენებს ამ მოთხოვნებს, წერილობით თანხმობას აცხადებს FSC-ის მერქნის ბოჭკოს ტესტირების პროგრამაში მონაწილეობაზე. შეთანხმებები უნდა გაიგზავნოს FSC-ის ხარისხის უზრუნველყოფის დანაყოფში. ამ მოთხოვნის შესრულებისას შესაძლოა გამოყენებულ იქნას დანართი „F“.

1.3 ორგანიზაციამ რისკების შეფასების განხორციელება შეიძლება დაავალოს სხვა მხარეს, რომელსაც გააჩნია შესაფასებელი კონტროლირებადი მერქნის კატეგორიებთან დაკავშირებული ცოდნა-გამოცდილება, მასერტიფიცირებელი ორგანოს გამოკლებით. რისკების საფუძვლიანი შეფასებისთვის, მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები ექსპერტების მიმართ მოცემულის „C“ დანართში.

1.4 ორგანიზაციამ რისკების შეფასება უნდა წარუდგინოს მასერტიფიცირებელ ორგანოს დასამტკიცებლად.

1.5 ორგანიზაციამ უნდა გადახედოს რისკების შეფასებას სულ ცოტა წელიწადში ერთხელ, რათა დარწმუნდეს რისკების მინიჭების სისწორესა და რელევანტურობაში, და საჭიროებისამებრ უნდა ჩაატაროს მისი რევიზია.

1.5.1 გადახედვა და რევიზია უნდა ჩატარდეს მასერტიფიცირებელი ორგანოს მიერ წლიური კონტროლის ჩატარებამდე.

---

[9] როგორც მითითებულია FSC-ის ვებ-გვერდზე http://ic.fsc.org/centralized-national-risk-assessment.700.htm.[10] სერტიფიკაცია *FSC-STD-01-001* სტანდარტის შესაბამისად.

შენიშვნა: რისკების ერთობლივი საფუძვლიანი შეფასებები (იხ. 2.2) უნდა გადაიხედოს სულ ცოტა წელიწადში ერთხელ.

1.5.2 ორგანიზაციამ უნდა გადახედოს საკუთარ რისკების შეფასებას და მოახდინოს მისი რევიზია, როდესაც აშკარა ხდება რისკების საგრძნობი ცვლილებები შეფასების გარეშე დარჩენილ ტერიგორიებზე (მაგ. ცვლილებები კანონმდებლობაში, ან კანონის უზენაესობის დარღვევა სამოქალაქო არეულობის გამო, შემუშავების პროცესში მყოფი FSC-ის რისკების შეფასების ხელისაწვდომობა).

1.5.3 თუ დაბალი რისკის ზონაში მდებარე FSC-ის მიერ სერტიფიცირებული[10] მართვის ერთეულები დაკარგავენ სერტიფიცირებულის სტატუსს მისი შეჩერების გამო, ორგანიზაციამ ასეთი შეჩერების შესაგებ შეტყობინების მიღებისას დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს ასეთი მართვის ერთეულებისგან მასალების შესყიდვა და გამოყენება, როგორც კონტროლირებადი მასალისა, ან მისი გაყიდვა FSC კონტროლირებადი მერქნის სტატუსით.

1.5.4 ორგანიზაციამ შესაძლოა განაგრძოს მასალის, როგორც კონტროლირებადი მასალის გამოყენება და მისი გაყიდვა FSC კონტროლირებადი მერქნის სტატუსით მას შემდეგ, რაც ასეთი შეჩერება მოიხსნება ან მას შემდეგ, რაც ორგანიზაცია ჩაატარებს შეჩერებული მართვის ერთეულის რისკების შეფასებას „A“ დანართის შესაბამისად, და DDS-ის საშუალებით დაადასტურებს, რომ მასალა შესაბამისობაშია ამ სტანდარტის მოთხოვნებთან.

2 რისკების საფუძვლიანი შეფასება

2.1 რისკების საფუძვლიანი შეფასება უნდა ჩატარდეს რისკების შეფასების მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც მოცემულია დოკუმენტში: *FSC-PRO-60-002a FSC რისკების შეფასების ეროვნული ჩარჩოები.* ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

a) *FSC-PRO-60-002a*-ში მოცემული და/ან აღწერილი ინფორმაციის ყველა წყარო რელევანტური უნდა იყოს შესაფასებელი ტერიტორიისთვის. თუ ორგანიზაციას ხელი მიუწვდება ქვეყნის/რეგიონის კონკრეტულ წყაროებზე, ისინი გამოყენებულ უნდა იქნას;

b) FSC რისკების შეფასებები, რომლებიც შემუშავების პროცესშია; და

c) მისი მოწოდების ტერიტორი(ებ)ისთვის რელევანტური ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მიღებულია დაინტერესებული მხარეებისგან. რისკების საფუძვლიანმა შეფასებამ უნდა შეაჯამოს ასეთი ინფორმაცია და განმარტოს, თუ როგორ მიხდა მისი მხედველობაში მიღება.

შენიშვნა: რისკების საფუძვლიანი შეფასების შედეგების წარმოსადგენად რეკომენდებულია „G“ დანართში მოცემული შაბლონის გამოყენება.

2.2 ორგანიზაციამ რისკების საფუძვლიანი შეფასება შესაძლოა ჩაატაროს ერთობლივად ერთ ან რამდენიმე ორგანიზაციასთან, რომლებიც მარაგდებიან შეფასების გარეშე დარჩენილი იგივე ტერიტორიიდან. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება შემდეგი დებულებები:

a) რისკების საფუძვლიანი შეფასების შედეგად მოხდება რისკების მინიჭება მოწოდების ყველა ტერიტორიისათვის, სადაც ოპერირებენ მოცემული ორგანიზაციები;

b) რისკების საფუძვლიან შეფასებაში მოცემული იქნება ყველა იმ ორგანიზაციის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია, რომლებიც იყენებენ მას;

c) ორგანიზაციებმა, რომლებიც იყენებენ რისკების საფუძვლიან შეფასებას, უნდა გამოყონ ამ სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, ასევე დაინტერესებული მხარეებისთვის, მოსარგებლე ორგანიზაციებისთვის და მათი შემფასებელი სასერტიფიკაციო ორგანოებისთვის რისკების საფუძვლიანი შეფასების მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირი.

3 რისკების გამარტივებული შეფასება

3.1 ორგანიზაციამ უნდა შეაფასოს რისკი (ტერიტორიებზე, სადაც რისკების შეფასება არ ჩატარებულა) როგორც დაბალი ან დაუზუსტებელი, ამ თავის მოთხოვნების შესაბამისად და რისკების შეფასების ყოველი ინდიკატორისათვის.

3.2 ორგანიზაციამ უნდა ჩათვალოს ტერიტორიები სადაც რისკების შეფასება არ ჩატარებულა, როგორც დაუზუსტებელი რისკის მქონე, სანამ შესაძლებელი არ გახდება დაბალი რისკის დადგენა ამ თავის მოთხოვნების შესაბამისად.

3.3 რისკების გამარტივებული შეფასება უნდა დაიწყოს ყველაზე ფართო შესაბამისი მასშტაბით (რომელიც მიესადაგება მოწოდების ტერიტორიას), რომელიც შემდეგ უნდა შემცირდეს, თუ პირობები არ არის საკმარისად ერთგვაროვანი იმისთვის, რომ დადასტურდეს მთელი ტერიტორიისთვის დაბალი რისკის მინიჭება.

a) კონტროლირებადი მერქნის 1-ლი, მე-2, მე-4 და მე-5 კატეგორიების შეფასებისათვის შესაძლო ყველაზე ფართო მასშტაბი უნდა იყოს ეროვნული დონე;

b) კონტროლირებადი მერქნის მე-3 კატეგორიისთვის, რისკების შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას HCV-ების ნუსხაში შეტანილი ეკორეგიონების არსებობა (მაგ. *ბიომრავალფეროვნების ცხელი წერტილები, გლობალური 200 ეკორეგიონი, განადგურების მაღალი ტემპების ზონაში მყოფი, ე.წ. „მოსაზღვრე“ ტყე (frontier forest), ხელუხლებელი ტყის ლანდშაფტები).*

   შენიშვნა: რისკების შეფასებები შესაძლოა შემოიფარგლოს მკაფიოდ განსაზღვრული მოწოდების ტერიტორიის ფარგლებში, როგორიცაა ტყის ტიპი (მაგ. პლანტაციები) ან მასშტაბი (მაგ. მცირე ფართობის ან დაბალი ინტენსიურობით ექსპლუატირებული ტყეები). ასეთ შემთხვევაში შეზღუდული ტერიტორიები მკაფიოდ უნდა აისახოს რისკების შეფასებაში.

3.4 ორგანიზაციამ რისკების შეფასებაში უნდა შეიტანოს ინფორმაციის სულ ცოტა შემდეგი წყაროები:

a) FSC-ის გლობალურ სატყეო რეესტრში მითითებული რისკების კატეგორიები, როგორც რისკების შეფასების საფუძველი. შემდგომ ოგანიზაციამ შესაძლოა გადაამოწმოს რისკების მინიჭება საკუთარი მოწოდების ტერიტორიისთვის, ამ თავის მოთხოვნების შესაბამისად;

b) ინფორმაციის ცნობილი და ხელმისაწვდომი წყაროები, გარდა ამ თავში მითითებულისა;

c) FSC ქსელის პარტნიორის ან რეგიონალური ოფისის მიერ მოწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია.

კონტროლირებადი მერქნის კატეგორია 1 - უკანონოდ დამზადებული მერქანი

3.5 ძირითადი მოთხოვნები რისკების შეფასებისთვის:

a) როდესაც ხე-ტყის უკანონო დამზადება წარმოადგენს საფრთხეს ტყის, ადამიანების ან დასახლებებისთვის, ტერიტორია უნდა ჩაითვალოს დაუზუსტებელი რისკის მქონედ.

მცირე დარღვევები და პრობლემები, როგორიცაა მცირედი გეოგრაფიული გადახრები ხე-ტყის დამზადების ტერიტორიიდან, დოკუმენტაციის დაგვიანებით წარდგენა ან ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული მცირედი დარღვევები, არ არის აუცილებელი, რომ განაპირობებდეს დაუზუსტებელი რისკის მინიჭებას.

b) ხე-ტყის უკანონო დამზადების რისკების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს სულ მცირე შემდეგს:

- სატყეო საქმიანობასთან დაკავშირებული კორუფციის სავარაუდო დონე;
- იმ ინფორმაციის გამჭვირვალობის ხარისხი, რომელმაც შეიძლება გამოავლინოს ან შეამციროს ხე-ტყის უკანონო დამზადების მოცულობა გასაჯაროების შემთხვევაში;
- რა ხარისხით არსებობს ხე-ტყის უკანონო დამზადებასთან დაკავშირებული ძირითადი მონაცემები და დოკუმენტები და არის თუ არა ისინი დამაკმაყოფილებელი; და
- დამოუკიდებელი ანგარიშები ხე-ტყის უკანონო დამზადებასთან დაკავშირებით.

3.6 რისკის შეფასების ინდიკატორები:

რისკების შეფასების ინდიკატორები	ინფორმაციის წყაროების მაგალითები
1. მოწოდების ტერიტორია შეიძლება ჩაითვალოს დაბალი რისკის მატარებლად ხე-ტყის უკანონო დამზადებასთან მიმართებაში, თუ კმაყოფილდება ტყის მართვასთან დაკავშირებული შემდეგი ინდიკატორები.	
1.1 მოწოდების ტერიტორიაზე ხე-ტყის მოპოვებასთან დაკავშირებული კანონების შესრულების უზრუნველყოფის მტკიცებულება. a) ორგანიზაციამ უნდა გამოიყენოს „მოქმედი კანონების, რეგულაციებისა და ეროვნულ დონეზე რატიფიცირებული საერთაშორისო შეთანხმებების, კონვენციებისა და ხელშეკრულებების მინიმალური ჩამონათვალი (ქვემოთ, ცხრილი „ა“), რათა მოახდინოს შესაფასებელ მოწოდების ტერიტორიაზე ხე-ტყის დამზადებასთან დაკავშირებული კანონების იდენტიფიცირება. b) ორგანიზაციამ შესაძლოა გამოიყენოს ეროვნული სიები FSC-ის მიერ დამტკიცებული “ეროვნული ტყეებიდან“	- FSC ქსელის პარტნიორები და რეგიონალური ოფისები (კონტაქტები: ic.fsc.org) - საგარეო საქმეთა სამეფო ინსტიტუტი (www.illegal-logging.info) - გარემოსდაცვითი გამოძიების სააგენტო (www.eia-international.org) - გლობალური მოწმე (www.globalwitness.org)
ტყის მართვის სტანდარტები და სხვა ავტორიტეტული წყაროები, რათა შეადგინოს სია. თუ FSC-ის გლობალური სატყეო რეესტრი მოიცავს FSC-ის მიერ დამტკიცებულ კანონების ჩამონათვალს მოცემული ქვეყნისთვის, ასეთი ჩამონათვალის გამოყენება სავალდებულია.	- ტელეპაკი (ინდონეზიისთვის - www.telapak.org) - გაერთიანებული სამეფოს მთავრობის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი DFID) - EU FLEGT პროცესი (http://www.euflegt.efi.int/home) - საერთაშორისო გამჭვირვალობის კორუფციის
1.2 მოწოდების ტერიტორიაზე არსებობს მტკიცებულება, რომელიც ახდენს ხე-ტყის დამზადების და მერქნის შესყიდვების კანონიერების დემონსტრირებას, მათ შორის ლიცენზიებისა და ხე-ტყის დამზადების ნებართვების გაცემის გამართული და ეფექტიანი სისტემა.	

1.3 არ მოიპოვება მოწოდების ტერიტორიაზე ხე-ტყის უკანონო დამზადებასთან დაკავშირებული ფაქტები (ანგარიშები), ან ასეთები ძალიან მცირეა	ინდექსები (www.transparency.org) - WWF (wwf.panda.org) - ELDIS რეგიონალური და ქვეყნების პროფილები (www.eldis.org) - CITES (www.cites.org) - არასამთავრობო ორგანიზაციები და მონაწილე დაინტერესებული მხარეები
1.4 კორუფციის დაბალი მოლოდინია ხე-ტყის დამზადების ნებართვების გაცემასთან დაკავშირებულ პროცედურებთან და ხე-ტყის დამზადებასა და მერქნით ვაჭრობასთან დაკავშირებული კანონების აღსერულების სხვა სფეროებთან მიმართებაში. გამოყენებულ უნდა იქნას საერთაშორისო გამჭვირვალობის მიერ ყოველწლიურად გამოქვეყნებული *კორუფციის მოლოდინის ინდექსი* (CPI). 50-ზე ნაკლები ქულის მქონე ქვეყნები უნდა ჩაითვალოს დაუზუსტებელი რისკის მქონედ, თუ არ არსებობს კონკრეტული დამოუკიდებელი და სანდო ინფორმაცია უფრო დაბალ დონეზე (მაგ. ხე-ტყის თვალყურის დევნების სისტემების გამოყენება), რომელიც ახდენს საწინააღმდეგოს დემონსტრირებას.	

ცხრილი „ა“. მოქმედი კანონების, რეგულაციების და ეროვნულ დონეზე რატიფიცირებული შეთანხმებების, კონვენციებისა და ხელშეკრულებების მინიმალური ჩამონათვალი

1. ხე-ტყის დამზადების კანონიერი უფლებები	
1.1 მიწათსარგებლო-ბისა და მართვის უფლებები	კანონმდებლობა, რომელიც მოიცავს მიწათსარგებლობის უფლებების, მათ შორის ტრადიციულ უფლებებს და ასევე მართვის უფლებებს, მათ შორის კანონიერი მეთოდების გამოყენებას მიწათსარგებლობის უფლებების და მართვის უფლებების მოსაპოვებლად. იგი ასევე მოიცავს კანონიერი ბიზნესის რეგისტრაციას და საგადასახადო რეგისტრაციას, კანონით მოთხოვნილი ლიცენზიების ჩათვლით.
1.2 კონცესიის ლიცენზიები	კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ტყის კონცესიის ლიცენზიების გაცემას, მათ შორის კანონიერ უფლებებს კონცესიის ლიცენზიების მოსაპოვებლად. მექრთამეობა, კორუფცია და ნეპოტიზმი კარგად ცნობილი პრობლემებია, რომლებიც დაკავშირებულია კონცესიის ლიცენზიებთან.
1.3 მართვისა და ხე-ტყის დამზადების დაგეგმვა	ნებისმიერი ეროვნული ან ქვე-ეროვნული საკანონმდებლო მოთხოვნა მართვის დაგეგმვასთან, მათ შორის ტყის ინვენტარიზაციასთან, ტყის მართვის გეგმის ქონასთან და შესაბამის დაგეგმვასა და მართვასთან, ზემოქმედების შეფასებასთან, სხვა ერთეულებთან კონსულტაციებთან, ასევე კანონიერად კომპეტენტური ორგანოების მიერ მათ დამტკიცებასთან მიმართებაში.
1.4 [ხე-ტყის] დამზადების ნებართვები	ეროვნული და ქვე-ეროვნული კანონები და რეგულაციები, რომლებიც არეგულირებს ხე-ტყის დამზადების ნებართვების, ლიცენზიების და კონკრეტული დამზადების ოპერაციებისთვის საჭირო სხვა კანონიერ დოკუმენტებს. ეს მოიცავს კანონიერი მეთოდების გამოყენებას ნებართვების მისაღებად. ხე-ტყის დამზადების ნებართვების გაცემასთან დაკავშირებული ფართოდ გავრცელებული პრობლემაა კორუფცია.
2. გადასახადები და მოსაკრებლები	
2.1 როიალტისა და დამზადების მოსაკრებლების გადახდა	კანონმდებლობა, რომელიც ტყის დამზადებასთან დაკავშირებული მოსაკრებლების გადახდას, როგორიცაა როიალტი, მერქნის მოპოვების მოსაკრებელი და სხვა, მოცულობაზე დაფუძნებული, მოსაკრებლები. ეს მოიცავს მოსაკრებლების გადახდას რაოდენობის, ხარისხის და სახეობების სწორი

	კლასიფიკაციის საფუძველზე. ტყის პროდუქტების არასწორი კლასიფიკაცია კარგად ცნობილი პრობლემაა, რომელიც ხშირად გვხვდება კლასიფიკაციის კონტროლზე პასუხისმგებელი მოხელეების მექრთამეობასთან კომბინაციაში.

2.2 დღგ-ბი და სხვა გადასახადები გაყიდვაზე	კანონმდებლობა, რომელიც შეეხება სავაჭრო მოსაკრებლების სხვადასხვა ტიპებს, რომლებიც მიესადაგება გაყიდული მასალის ტიპს, მათ შორის ზეზეური მერქნის გაყიდვას.
2.3 საშემოსავლო და მოგების გადასახადები	კანონმდებლობა, რომელიც შეეხება გადასახადებს შემოსავალსა და მოგებაზე, რომლებიც მიიღება ტყის პროდუქტების გაყიდვისა და დამზადების საქმიანობისგან. ეს კატეგორია ასევე უკავშირდება ხე-ტყის გაყიდვით მიღებულ შემოსავალს და არ მოიცავს სხვა გადასახადებს, რომლებიც ზოგადად მიესადაგება კომპანიებს და არ არის დაკავშირებული სახელფასო გადახდებთან.
3. ხე-ტყის დამზადება	
3.1 რეგულაციები ხე-ტყის დამზადების სფეროში	კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი მოთხოვნა ხე-ტყის დამზადების მეთოდებსა და ტექნოლოგიასთან, მათ შორის ამორჩევით და თანდათანობით ჭრებთან, პირწმინდა ჭრასთან, მორთრევასთან, სეზონურ შეზღუდვებთან და ა.შ. მიმართებაში. ის ჩვეულებრივ მოიცავს რეგულაციებს ტყეკაფის ფართობთან, ჭრის მინიმალურ ხნოვანებასთან და/ან დიამეტრთან და იმ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომლებიც დაცულ უნდა იქნას ჭრის პროცესში და ა.შ. ასევე უნდა განიხილებოდეს მორსათრევი და გადასაზიდი ბილიკები, გზების მშენებლობა, სადრენაჟო სისტემები და ხიდები და ა.შ., აგრეთვე ხე-ტყის დამზადების დაგეგმვისა და მონიტორინგის ღონისძიებები. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ხე-ტყის დამზადების პრაქტიკასთან დაკავშირებული ნებისმიერი კანონიერად სავალდებულო ნორმა.
3.2 დაცული ტერიტორიები და სახეობები	საერთაშორისო, ეროვნული, ქვე-ეროვნული (რეგიონული) შეთანხმებები, კანონები და რეგულაციები, რომლებიც ეხება დაცულ ტერიტორიებს, ტყით ნებადართულ სარგებლობას და აქტივობას და/ან იშვიათ, საფრთხის და გადაშენების რისკის ქვეშ მდგარ სახეობებს, მათი ჰაბიტატებისა და პოტენციური ჰაბიტატების ჩათვლით.
3.3 გარემოსდაცვითი მოთხოვნები	ეროვნული და სუბ-ეროვნული კანონები და რეგულაციები, რომლებიც დაკავშირებულია გარემოსდაცვითი ღირებულებების იდენტიფიცირებასა და დაცვასთან, მათ შორის, და არა მხოლოდ, რომლებიც დაკავშირებულია ან რომელზეც ზემოქმედებას ახდენს ხე-ტყის დამზადება, ნიადაგის დაზიანების მისაღები დონესთან, ბუფერული ზონების დაწესებასთან (მაგ. წყლის ობიექტების გასწვრივ, ღია ადგილებში და სანერგეების ტერიტორიაზე), ტყეკაფში შენარჩუნებული ხეების მოვლასთან, დამზადების დროის სეზონურ შეზღუდვებთან, გარემოსდაცვით მოთხოვნებთან სატყეო მანქანა- მექანიზმებთან მიმართებაში, პესტიციდებისა და სხვა ქიმიკატების გამოყენებასთან, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასთან, ჰაერის ხარისხთან, წყლის ხარისხის დაცვასა და აღდგენა-გაუმჯობესებასთან, სარეკრეაციო ტექნიკის ექსპლუატაციასთან, არასატყეო ინფრასტრუქტურის განვითარებასთან, მინერალური ნედლეულის დაზვერვასთან და მოპოვებასთან და ა.შ.

3.4 ჯანდაცვა და უსაფრთხოება	კანონით მოთხოვნილი პერსონალური დამცავი აღჭურვილობა დამზადების სამუშაოებში მონაწილე პირებისთვის, უსაფრთხო ჭრისა და ტრანსპორტირების პრაქტიკის განხორციელება, ხე-ტყის დამზადების უბნების ირგვლივ დამცავი ზონების დაწესება, უსაფრთხოების მოთხოვნები მანქანა-მექანიზმებთან მიმართებაში და კანონით გათვალისწინებული უსაფრთხოების მოთხოვნები ქიმიკატების გამოყენებასთან მიმართებაში. ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მოთხოვნები სატყეო ოპერაციებისათვის (არ მოიცავს საოფისე სამუშაოს ან სხვა სამუშაოს რომელიც უშუალოდ ტყეში არ ტარდება).
3.5 კანონიერი დასაქმება	კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები ხე-ტყის დამზადებაში მონაწილე პერსონალის მიმართ, მათ შორის მოთხოვნები ხელშეკრულებებისა და სამუშაო ნებართვების მიმართ, სავალდებულო დაზღვევის მოთხოვნა, კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატების მოთხოვნა და ტრენინგთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები და დამსაქმებლის მიერ სოციალური და საშემოსავლო გადასახადის გადახდა. ასევე მოიცავს მინიმალური სამუშაო ასაკის და საფრთხის შემცველ სამუშაოში მონაწილე პერსონალის მინიმალური ასაკის დაცვას, კანონმდებლობას იძულებითი და ძალდატანებითი შრომის და დისკრიმინაციის წინააღმდეგ და შეკრების თავისუფლებას.
4. მესამე მხარეთა უფლებები	
4.1 ტრადიციული უფლებები	კანონმდებლობა, რომელიც ეხება ხე-ტყის დამზადებასთან დაკავშირებულ ტრადიციულ (წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებულ) უფლებებს, სარგებლის გაზიარებასა და მკვიდრი ხალხების უფლებებთან დაკავშირებული მოთხოვნების ჩათვლით.
4.2 თავისუფალი, წინასწარი და ინფორმირებული თანხმობა	კანონმდებლობა, რომელიც შეეხება თავისუფალ, წინასწარ და ინფორმირებულ თანხმობას ხე-ტყის დამზადების ოპერაციებზე პასუხისმგებელი ორგანიზაციისთვის ტყის მართვის უფლებების და ტრადიციული უფლებების გადაცემასთან დაკავშირებით.
4.3 მკვიდრი ხალხების უფლებები	კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს მკვიდრი ხალხების უფლებებს, რაც შეეხება სატყეო საქმიანობას. შესაძლო გასათვალისწინებელი ასპექტებია მიწათსარგებლობა და ტყესთან დაკავშირებული რესურსებით სარგებლობის და ტრადიციული პრაქტიკის განხორციელების უფლებები, რომლებიც შესაძლოა მოიცავდეს ტყის სავარგულებს.
5. ვაჭრობა და ტრანსპორტი შენიშვნა: ამ ნაწილში მოცემულია მოთხოვნები ტყის მათვის ოპერაციებთან, ასევე ხე-ტყის გადამუშავებასა და ვაჭრობასთან მიმართებაში.	
5.1 სახეობების, რაოდენობის, ხარისხის კლასიფიკაცია	კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს იმას, თუ როგორ ხდება დამზადებული მასალების კლასიფიცირება სახეობების, მოცულობების და ხარისხის მიხედვით, ვაჭრობასა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით. დამზადებული მასალების არასწორი კლასიფიკაცია კანონით გათვალისწინებული გადასახადებისა და მოსაკრებლების შემცირების ან თავიდან აცილების კარგად ცნობილი მეთოდია.
5.2 ვაჭრობა და ტრანსპორტი	უნდა არსებობდეს ყველა საჭირო სავაჭრო და სატრანსპორტო ნებართვა, ასევე კანონით მოთხოვნილი სატრანსპორტო დოკუმენტები, რომლებიც თან ახლავს მერქნის ტრანსპორტირებას სატყეო ოპერაციების ადგილიდან.

5.2 ოფშორული ვაჭრობა და ერთმანეთთან იურიდიულად დაკავშირებულ (მაგალითად სათაო ოფისსა და ფილიალს შორის) კომპანიათა შორის გადარიცხვები (transfer pricing)	კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ოფშორულ ვაჭრობას. ოფშორული ვაჭრობა ერთმანეთთან იურიდიულად მჭირდოდ დაკავშირებულ კომპანიებს შორის, რომლებიც „ფისკალურ ოაზისში“ მდებარეობენ, გადარიცხვის ხელოვნურ ფასებთან (transfer pricing) კომბინაციაში, კარგად ცნობილი მეთოდია კანონით გათვალისწინებული გადასახადებისა და მოსაკრებლების იმ ქვეყნისთვის გადახდის თავის არიდებისა, სადაც მოხდა ხე-ტყის დამზადება და შეიძლება გახდეს იმ ფინანსური სახსრების მნიშვნელოვან წყაროდ, რომლებიც გამოიყენება სატყეო ოპერაციებში მონაწილე პერსონალისთვის ქრთამის გადახდისთვის. მრავალ ქვეყანას გააჩნია კანონმდებლობა, რომელიც მოიცავს ოფშორულ ვაჭრობას. თუმცა, ეს ინდიკატორი არ განიხილება იმ ქვეყანაში, სადაც არ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც მკაფიოდ დაარეგულირებდა (აკრძალავდა) transfer pricing-ს და ოფშორული ვაჭრობას.
5.4 საბაჟო რეგულაციები	საბაჟო კანონმდებლობა, რომელიც მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა საექსპორტო/ საიმპორტო ლიცენზიები და პროდუქტების კლასიფიკაცია (კოდები, რაოდენობა, ხარისხი და სახეობები).
5.5 CITES	CITES ნებართვები (კონვენცია ველური ფაუნისა და ფლორის გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ, ასევე ცნობილია, როგორც ვაშინგტონის კონვენცია).
6. სათანადო სიფრთხილისა და ზრუნვის პროცედურები	
6.1 სათანადო სიფრთხილისა და ზრუნვის პროცედურები	კანონმდებლობა, რომელიც მოითხოვს სათანადო სიფრთხილისა და ზრუნვის პროცედურების, მათ შორის გადამოწმების სისტემების არსებობას; დეკლარირების ვალდებულებები, და/ ან სავაჭრო დოკუმენტების შენახვა და ა.შ.

კოტროლირებადი მერქნის კატეგორია 2 - ტრადიციული და ადამიანის უფლებების დარღვევით დამზადებული მერქანი

შენიშვნა: ტრადიციული უფლებები შესაძლოა მოიცავდეს უფლებებს, რომლებიც გამომდინარეობს გრძელვადიანი ჩვევითი და ჩვეულებითი მუდმივად განმეორებადი ქმედებებისგან, რომლებმაც, ასეთი განმეორებადობისა და უწყვეტი თანმიმდევრობის წყალობით შეიძინეს კანონის ძალა მოცემულ გეოგრაფიულ ან სოციოლოგიურ ერთეულში. ტყესთან დაკავშირებული ტრადიციული უფლების მაგალითია ადგილობრივი თემებისთვის ტყის სავარგულების ხელმისაწვდომობა წმინდა ან რიტუალური ადგილებზე მისასვლელად.

3.7 რისკების შეფასების ინდიკატორები:

რისკების შეფასების ინდიკატორები	ინფორმაციის წყაროების მაგალითები
2. მერქნის მოწოდების ტერიტორია შესაძლოა ჩაითვალოს დაბალის რისკის მქონედ ტრადიციული და ადამიანის იფლებებთან მიმართებაში, თუ კმაყოფილდება შემდეგი ინდიკატორები:	
2.1 არ არის გაეროს უშიშროების საბჭოს აკრძალვა შესაბამისი ქვეყნიდან ხე-ტყის ექსპორტზე.	- გლობალური მოწმე (www.globalwitness.org)

2.2 ქვეყანას ან მოწოდების ტერიტორიას არა აქვს მინიჭებული კონფლიქტური ხე-ტყის წყაროს სტატუსი (მაგ. USAID 1-ლი ტიპის კონფლიქტური ხე-ტყე).	- ექსპერტთა საბჭოს დასკვნითი ანგარიში კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ბუნებრივი რესურსებისა და სიმდიდრის სხვა ფორმების უკანონო ექსპლუატაციის შესახებ, 2002, დანართები I და III (S/2002/1146) - კონფლიქტური ხე-ტყე: პრობლემის მასშტაბები აზიასა და აფრიკაში. ტომი I. სინთეზური ანგარიში. 2003 წ. ივნისი
2.3 არ არსებობს სატყეო ოპერაციებში ბავშვთა შრომის ან ILO-ს ფუნდამენტური პრინციპების დარღვევის მტკიცებულება შესაბამისი მოწოდების ადგილიდან.	- FSC ქსელის პარტნიორები და რეგიონალური ოფისები (საკონტაქტო ინფორმაცია:ic.fsc.org) - ILO ქვეყნების ოფისები
2.4 ტრადიციულ უფლებებთან, მათ შორის სარგებლობის უფლებასთან, კულტურულ ინტერესებთან და ტრადიციულ კულტურულ იდენტობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მასშტაბის კონფლიქტების მოსაგვარებლად არსებობს აღიარებული და თანასწორი პროცესები[10] შესაბამისი მოწოდების ტერიტორიაზე[11].	- FSC ქსელის პარტნიორები და რეგიონალური ოფისები (საკონტაქტო ინფორმაცია: ic.fsc.org) - მკვიდრი ხალხების ორგანიზაციები - ადგილობრივი თემების ასოციაციები - ეროვნული წყაროები (მაგ მიწასთან დაკავშირებული მიმდინარე ან დასრულებული მოლაპარაკებების ჩანაწერები, სასამართლოს გადაწყვეტილებების შეჯამებები)
2.5 არ არსებობს მტკიცებულება, რომ შესაბამისი მოწოდების ადგილებში ხდება მკვიდრი ხალხების შესახებ ILO-ს 169-ე კონვენციის დარღვევა. ეს სტანდარტი არ მიუთითებს ILO 169-ის რატიფიკაციაზე და რისკის შეფასება უნდა მოიცავდეს ILO-ს მოთხოვნების დარღვევის მტკიცებულებათა შეფასებას, მიუხედავად იმისა, რატიფიცირებულია თუ არა ისინი ქვეყანაში, სადაც ტარდება რისკების შეფასება.	- FSC ქსელის პარტნიორები და რეგიონალური ოფისები (საკონტაქტო ინფორმაცია:ic.fsc.org) - ILO ქვეყნების ოფისები

[10] კონფლიქტების მოგვარების ქმედითი მექანიზმი ან პროცესი, რომლისთვისაც არ არის დამახასიათებელი სტრუქტურული დისბალანსი ან უსამართლობა. პროცესების მაგალითები მოიცავს მოლაპარაკებებს მიწასთან დაკავშირებულ საჩივრებზე, იურიდიულ პროცედურებს და მოლაპარაკებებს შეთანხმებებთან დაკავშირებით.

[11] მკვიდრი ხალხები, მშრომელები, თემები და მთავრობა მოწოდების ტერიტორიის ფარგლებში იღებს და ამტკიცებს ამ პრობლემების მოგვარების და გადაჭრის სტრუქტურას; თემები და/ ან მკვიდრი ხალხები აღიარებენ საფრთხეების შერბილების მექანიზმებს კანონიერი სისტემებით ან სხვა უფლებამოსილებით.

კონტროლირებადი მერქნის მე-3 კატეგორია - იმ ტყეებში დამზადებული მერქანი, სადაც მართვის ღონისძიებები საფრთხეს უქმნის მაღალი კონსერვაციული ღირებულებებს

შენიშვნა 1: ამ სტანდარტის კონტექსტში საფრთხე ნიშნავს HCV-ების გადარჩენის ან ხანგრძლივვადიანი არსებობის გაურკვეველი შანსის ქონას ეკორეგიონალურ დონეზე. ეს სტანდარტი მოითხოვს HCV-ების მიმართ ტყის მართვის ღონისძიებებით გამოწვეული საფრთხეების იდენტიფიცირებას.

შენიშვნა 2: არ არის განსხვავება HCV-ების და მათი კატეგორიების განსაზღვრების კუთხით FSC პრინციპებისა და კრიტერიუმების (*FSC-STD-01-001*) დოკუმენტსა და ამ სტანდარტს შორის. განსხვავება დაკავშირებულია ორივე სტანდარტის მიზნებთან. FSC-ს პრინციპები და კრიტერიუმები მოითხოვს HCV-ების შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას ტყის მართვის ერთეულის დონეზე, ხოლო ეს სტანდარტი მოითხოვს, რომ ორგანიზაციამ თავი შეიკავოს ხე-ტყის მოპოვებიდან იმ ტყეებში, სადაც HCV-ებს საფრთხე ემუქრება.

რისკების შეფასების ზოგადი მოთხოვნები 3.8:

a) HCV-ები, რომლებიც უზრუნველყოფს ძირითადი ეკოსისტემური სერვისების მოწოდებას კრიტიკულ სიტუაციებში და ფუნდამენტური მნიშვნელობა გააჩნიათ ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებაში, უნდა ჩაითვალოს დაბალი რისკის მქონედ, თუ კმაყოფილდება ინდიკატორები 2.4 და 3.1 და/ ან 3.2. ასევე, არსებობს აღიარებული და თანასწორობაზე დაფუძნებული პროცესები, რათა მოგვარდეს მნიშვნელოვანი მასშტაბის კონფლიქტები, რომლებიც დაკავშირებულია ტრადიციულ უფლებებთან, მათ შორის სარგებლობის უფლებასთან, კულტურულ ინტერესებთან და ტრადიციულ კულტურულ იდენტურობასთან მერქნის მოწოდების ტერიტორიაზე.

3.9 რისკების შეფასების ინდიკატორები:

რისკების შეფასების ინდიკატორები	ინფორმაციის წყაროების მაგალითები
3. მოწოდების ტერიტორია უნდა ჩაითვალოს დაბალი რისკის მქონედ HCV-ებთან მიმართებაში, თუ: a) კმაყოფილდება ინდიკატორი 3.1; ან b) ინდიკატორი 3.2 აღმოფხვრის (ან ძლიერ შეარბილებს) მოწოდების ადგილზე არსებულ საფრთხეს, რაც წარმოქმნილია 3.1 ინდიკატორის მოთხოვნების შეუსრულებლობით.	

3.1 ტყის მართვის ღონისძიებები შესაბამის (ეკორეგიონალურ, ქვე-ეკორეგიონალურ, ადგილობრივ) დონეზე არ უქმნის საფრთხეს HCV-ებს. ორგანიზაციამ თავდაპირველად უნდა შეაფასოს ემუქრება თუ არა საფრთხე HCV-ებს ეკორეგიონალურ დონეზე. თუ ეკორეგიონალურ დონეზე რომელიმე HCV-ს საფრთხე ემუქრება, ორგანიზაციამ უნდა შეაფასოს თუ როგორ კავშირშია ტყის მართვის ღონისძიებები ამ HCV-ებთან. ამ კატეგორიისთვის რისკების შეფასებისთვის საჭიროა ეკორეგიონალურად მნიშვნელოვანი HCV-ების იდენტიფიცირება, რაც, პრაქტიკული თვალსაზრისით, გულისხმობს, რომ რისკების შეფასების ამ ეტაპზე ყურადღება არ მახვილდება ადგილობრივად რელევანტრ ღირებულებებზე. საფრთხის ქვეშ მყოფი ეკორეგიონების იდენტიფიცირება შეიძლება დამხმარე ინფორმაციით, მაგ. *ბიომრავალფეროვნების ცხელი წერტილები, გლობალური 200 ეკორეგიონი, მოწყვლადი ტყე, ხელუხლებელი ტყის ლანდშაფტები.*	- FSC-ის დოკუმენტაცია HCV-ებთან დაკავშირებით (ic.fsc.org) - ეკორეგიონის განსაზღვრა და ინფორმაცია (www.worldwildlife.org/biomes) - ორგანიზაცია „საერთაშორისო კონსერვაციის“ მიერ ბიომრავალფეროვნების ცხელ წერტილებად იდენტიფიცირებული რეგიონები, ან ეკოსისტემები და თემები, რომლებიც მკაფიოდ განისაზღვრა „საერთაშორისო კონსერვაციის“ მიერ, როგორც *ბიომრავალფეროვნების ცხელი წერტილის* უმთავრესი კომპონენტი. - ტყეები, ტყიანი ადგილები, ეკორეგიონები, რომლებიც იდენტიფიცირებულია ბუნების დაცვის მსოფლიოს ფონდის (WWF) მიერ, როგორც „გლობალური 200“ ეკორეგიონი და შეფასებულია WWF-ის მიერ, როგორც *გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი* ან *კრიტიკული* კონსერვაციის სტატუსის მქონე. თუ მოცემული ეკორეგიონი შეადგენს ერთზე მეტ სახმელეთო ეკორეგიონს, ეს ეკორეგიონი შეიძლება ჩაითვალოს დაბალი რისკის მქონედ, თუ ქვე-ეკორეგიონს არ აქვს კონსერვაციის სტატუსი „კრიტიკული“ ან გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი“. (www.worldwildlife.org/science/wildfinder)
3.2 არსებობს დაცვის ძლიერი სისტემა (ეფექტიანი დაცული ტერიტორიები და კანონმდებლობა), რაც უზრუნველყოფს ეკორეგიონში HCV-ების გადარჩენას. დაბალი რისკის დემონსტრირება ამ ინდიკატორისთვის უნდა მოხდეს შემდეგნაირად: a) არსებობს HCV-ების დაცვის ძლიერი სისტემა. ძლიერის განმარტება უნდა ეფუძნებოდეს ქვეყანაში სამართალდაცვის ეფექტიანობას. ამის შემონსტრირება შეიძლება მაღალი რეიტინგით (≥ 75%) მსოფლიო ბანკის „კანონის უზენაესობის“ ინდექსებში (www.govindicators.org), *და* b) მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ეროვნული. რეგიონალური დაინტერესებული მხარეების მხრიდან შეფასებული მოწოდების ტერიტორიიდან, ან c) ტყის მმართველი დაეთანხმა ეროვნულ/ რეგიონალურ გარემოსდაცვით დაინტერესებულ მხარეებს HCV მოწოდებელი	- FSC-ის ქსელის პარტნიორები და რეგიონალური ოფისები (საკონტაქტო ინფორმაცია: ic.fsc.org) - მოცემული ქვეყანა შეერთებულია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციას და დემონსტრირებულია წინსვლა დაცული ტერიტორიების ქსელის შექმნაში; მაგ. ტყის ეკოსისტემების თაობაზე ქვეყნის უახლესი თემატური ანგარიში, რომელიც მოიცავს პოზიტიურ ანალიზს (www.cbd.int)

ერთეულის დონეზე დაცვის მიდგომასთან დაკავშირებით, რომელიც რელევანტურია შეფასებული მოწოდების ტერიტორისთვის. d) 3.2 ინდიკატორის დაკმაყოფილება შეუძლებელია, თუ HCV კატეგორიისთვის დაბალი რისკის მინიჭებასთან მიმართებაში არსებობს არსებითი წინააღმდეგობა შესაბამისი ეროვნული ან რეგიონალური დაინტერესებული მხარეებისგან	

კონტროლირებადი მერქნის კატეგორია 4 – მერქანი, დამზადებული ბუნებრივ ტყეებში, რომლებიც პირწმინდა ჭრის (ან ტყის განადგურების სხვა მეთოდების გამოყენების) შედეგად გადავიდა სხვა კატეგორიაში (მაგ. პლანტაციები ან სასოფლო-სამეურნეო სავარგულები)

შენიშვნა: ამ კატეგორიის შეფასების მიზანია რისკების გამოვლენა იმ რეგიონებში, სადაც ადგილი აქვს ბუნებრივი ტყეების განადგურებას მნიშვნელოვან ფართობებზე. ორგანიზაციებს რეკომენდაცია ეძლევა, რომ მათ ქვეყნებსა და რეგიონებში ტყის საფარის „შემცირების მნიშვნელოვანი დონის“ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით მიმართონ FSC ქსელის პარტნიორებს და რეგიონალურ ოფისებს.

3.10 რისკების შეფასების ინდიკატორები:

რისკების შეფასების ინდიკატორები	ინფორმაციის წყაროების მაგალითები
4. მოწოდების ტერიტორია შეიძლება ჩაითვალოს დაბალი რისკის მქონედ ტყის კატეგორიის შეცვლასთან მიმართებაში - ბუნებრივი ტყეების გადაყვანა პლანტაციების ან არა-სატყეო კატეგორიაში, როდესაც ადგილზეა შემდეგი ინდიკატორი: შენიშვნა: სატყეო პლანტაციიდან მიწათსარგებლობის სხვა (არასატყეო) სახის კატეგორიაზე გადასვლა არ ითვლება ტყის საფარის არასატყეო კატეგორიაში გადაყვანად.	

4.1 შესაბამის ეკო-რეგიონში არ ხდება ბუნებრივი ტყეების ან სხვა ბუნებრივად ტყიანი ეკოსისტემების - როგორიცაა სავანა - სუფთა კარგვა ან კარგვა მნიშვნელოვან დონეზე (> 0.5% წელიწადში[12]).	- FAO GOFC-GOLD ტყეებისა და მიწის საფარის დინამიკაზე გლობალური დაკვირვება[13] - FAO გლობალური ტყის რესურსების შეფასება[14] - საერთაშორისო კონსერვაციის რეგიონალური ანალიზის პროგრამა - მერილენდის უნივერსიტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტი - UNEP/GRID – ადრეული გაფრთხილებისა და შეფასების განყოფილება - SERVIR – მეზოამერიკის რეგიონალური მონიტორინგისა და ვიზუალიზაციის სისტემა - კონგოს აუზის ტყის პარტნიორობა და CARPE - CEC ერთობლივი კვლევითი ცენტრი - INPE-PRODES – კოსმოსური კვლევის ბრაზილიის ეროვნული ინსტიტუტი - ჰანსენი, მ., დეფრიე, რ., ტაუნსჰენდი, ჯ.რ., კეროლი, მ., დიმიჩელი, კ., ზოლბერგი, რ., 2003 წ. 500 მ MODIS მცენარეული საფარის უწყვეტი ველები. კოლეჯის პარკი, მერილენდი: მიწის საფარის გლობალური ფონდი - მონაცემთა ეროვნული წყაროები - FSC ქსელის პარტნიორები და რეგიონალური ოფისები (საკონტაქტო ინფორმაცია:ic.fsc.org)

კონტროლირებადი მერქნის კატეგორია 5 – მერქანი იმ ტყეებიდან, სადაც დარგულია გენეტიკურად მოდიფიცირებული ხეები

3.11 რისკების შეფასების ინდიკატორები:

რისკების შეფასების ინდიკატორები	ინფორმაციის წყაროების მაგალითები

[12] დონე (i.e. > 0.5%) უნდა დაზუსტდეს, როდესაც მოცემულ რეგიონში ხელმისაწვდომი გახდება დამატებითი ინფორმაცია.

[13] შენიშვნა: ტყის საფართან მიმართებაში FAO-ს სტატისტიკური ანალიზის მიხედვით ბუნებრივი ტყის საფარის სატყეო პლანტაციით ჩანაცვლება შესაძლოა არ ჩაითვალოს ტყის საფარის კარგვად. ამგვარად, ტერიტორიაზე, სადაც ინტენსიურად მოხდა ბუნებრივი ტყის კატეგორიის შეცვლა პლანტაციებად, მონაცემები შეიძლება არ აჩვენებდეს ტყის კარგვის მნიშვნელოვან დონეს და ამგვარად, შეიძლება მიუღებელი იყოს ამ სტანდარტის კონტექსტში.

5. მოწოდების ტერიტორია შესაძლოა ჩაითვალოს დაბალი რისკის მქონედ გენეტიკურად მოდიფიცირებული ხეებიდან წარმოშობილ მერქანთან მიმართებაში, თუ კმაყოფილდება შემდეგი ინდიკატორები:	- FAO, 2004 წ. მეტყევეობაში ბიოტექნოლოგიის, მათ შორის გენეტიკური მოდიფიკაციის წინასწარი განხილვა. ტყის გენეტიკური რესურსების სამუშაო დოკუმენტი FGR/59E. ტყე
a) მოწოდებული სახეობების გენეტიკურად მოდიფიცირებული ხეების კომერციული გამოყენება არ ხდება; ან b) გენეტიკურად მოდიფიცირებული ხეების გამოყენებისთვის საჭიროა ლიცენზიები და მოწოდებული სახეობების კომერციულ გამოყენებაზე არ არის გაცემული ლიცენზიები; ან c) მოცემულ ქვეყანაში აკრძალულია გენეტიკურად მოდიფიციებული ხეების კომერციული გამოყენება.	რესურსების განვითარების სამსახური, ტყის რესურსების განყოფილება, რომი, იტალია (http://www.fao.org/docrep/008/ae574e/AE574E00.HTM) - ეროვნული და რეგიონალური მონაცემების წყაროები



სურ 5. რისკების შეფასება და შესაბამისი ნაბიჯები (მიესადაგება კონტროლირებადი მერქნის ხუთივე კატეგორიას). **CNRA-ს შემთხვევაში, იგი დამტკიცებული უნდა იყოს კონტროლირებადი მერქნის ხუთივე კატეგორიისთვის. **სქემა მიესადაგება ცალკ-ცალკე FSC რისკების სხვადასხვა შეფასებაში მოცულ მოწოდების ტერიტორიების ნაწილებს და შეფასების გარეშე დარჩენილ ტერიტორიებს.*

დანართი „B“ მინიმალური მოთხოვნები დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებისადმი

1 კონსულტაციის პროცესის ჩატარების შემთხვევაში ის უნდა განხორციელდეს ირგანიზაციის საქმიანობის მასშტაბების შესაბამისად, შემდეგის საფუძველზე:

1.1 დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება: ორგანიზაციამ უნდა დაადგინოს დაინტერესებული მხარეები მისი მომწოდებლების ტყის მართვის ღონისძიებებთან და განსაზღვრულ რისკთან მიმართებაში, ქვემოთ მითითებული დაინტერესებული მხარეების ჯგუფების ჩათვლით (თავი 3).

1.2 დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირება: დადგენილი დაინტერესებული მხარეები მოწვეულ უნდა იქნან კონსულტაციებში მონაწილეობისთვის სულ ცოტა 6 (ექვსი) კვირით ადრე მართვის იმ ღონისძიების დაწყებამდე, რომელიც წარმოადგენს კონსულტაციის საგანს. ორგანიზაციამ ეფექტური საშუალებები უნდა გამოიყენოს დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებისთვის, უნდა გამოიყენოს კონსულტაციის შესაფერისი მეთოდები და ენა, რომელზეც საუბრობენ დაინტერესებული მხარეები. ასევე უნდა იქნას ინფორმირებული FSC ქსელის პარტნიორი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შენიშვნა: მეთოდები შესაძლოა მოიცავდეს: პირისპირ შეხვედრას, პირად კონტაქტებს ტელეფონით, ელ-ფოსტით, ან წერილით, ადგილობრივ პრესაში და შესაბამის ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებული შეტყობინებით, ადგილობრივი რადიო-განცხადებებით, ან ადგილობრივი ჩვეულებითი საინფორმაციო დაფის საშუალებით.

1.3 კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან: ყველა დადგენილ დაინტერესებულ მხარეს უნდა მიეცეს იმ ინფორმაციის წვდომის საშუალებას, რომელიც რელევანტურია კონსულტაციის თემასთან მიმართებაში, არაუგვიანეს 6 (ექვსი) კვირისა მართვის იმ ღონისძიებათა დაწყებამდე, რომლებიც წარმოადგენს კონსულტაციის საგანს. ორგანიზაციამ უნდა გამორიცხოს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც ითვლება კონფიდენციალურად [14] . დაინტერესებულ მხარეებს უნდა სთხოვონ თანხმობის მიცემა მათი კომენტარების გამოქვეყნებაზე.

შენიშვნა: კონსულტაციის მეთოდები მოიცავს: ინდივიდუალური ან ჯგუფური შეხვედრების მოწყობა, სტრუქტურირებული გასაუბრება ტელეფონით, ფოსტით ან ელ-ფოსტით დაკავშირება თხოვნით, რომ წარმოადგინონ წერილობითი კომენტარები წინასწარ განსაზღვრულ კონკრეტულ კითხვებზე.

1.4 დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია: კონსულტაციების პერიოდის დასასრულიდან სამოცი (60) დღის განმავლობაში ორგანიზაციამ უნდა უპასუხოს ყველა დაინტერესებულ მხარეს, რომელიც მონაწილეობდა კონსულტაციების პროცესში, რათა აუხსნას, თუ როგორ იქნა გათვალისწინებული მათი კომენტარები.

1.5 კონსულტაციების ჩანაწერები: ორგანიზაციამ უნდა აწარმოოს კონსულტაციების პროცესის თაობაზე ჩანაწერები, მათ შორის იმ დაინტერესებულ მხარეთა სია, რომლებთანაც გავლილ იქნა კონსულტაციები და მათი კომენტარები, და მტკიცებულებამ, რომ კონსულტაციები ჩატარდა ამ სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

2 ორგანიზაციამ უნდა მოამზადოს კონსულტაციების პროცესის რეზიუმე, რომელიც უნდა მოიცავდეს:

[14] ინფორმაციის კონფიდენციალური ხასიათის დასაბუთება უნდა წარედგინოს FSC-ის მიერ აკრედიტებულ შესაბამის სასერტიფიკაციო ორგანოს.

a) ტერიტორიებს, რომლებთან მიმართებაშიც ჩატარდა კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან (მაგ. გეო-საკოორდინატო მონაცემები, შტატი, პროვინცია, მომწოდებელი ერთეული);

b) კონსულტაციაში მონაწილეობის მისაღებად ორგანიზაციის მიერ მოწვეული დაინტერესებული მხარეები;

c) დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული კომენტარების რეზიუმე. კომენტარების გამოქვეყნება შეიძლება მხოლოდ შესაბამისი დაინტერესებული მხარის წინასწარის თანხმობის მიღების შემთხვევაში და არ უნდა იყოს დაკავშირებული დაინტერესებულ მხარეთა გვარებთან;

d) იმის აღწერა, თუ როგორ გაითვალისწინა ორგანიზაციამ დაინტერესებულ მხარეთა კომენტარები;

e) ორგანიზაციის მიერ დასკვნის დასაბუთება, რომ ამ ტერიტორიებიდან მოწოდებული მასალა შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც კონტროლირებადი მასალა ან გაიყიდოს FSC კონტროლირებადი მერქნის განაცხადით.

შენიშვნა: კონსულტაციების პროცესის რეზიუმე შედის სერტიფიკაციის პროცესის საჯარო რეზიუმეში, ამ სტანდარტის მე-6 თვის შესაბამისად.

3 დაინტერესებულ მხარეები, რომლებიც წარმოადგენენ ქვემოთ მითითებულ ინტერესებს, რომლებიც რელევანტურია და შეესაბამება დადგენილ რისკს, იდენტიფიცირებულ და ინფორმირებულ უნდა იქნან კონსულტაციების პროცესის განმავლობაში. ყოველი მითითებული ჯგუფი შესაძლოა წარმოდგენილ იყოს წარმომადგენლების შეუზღუდავი რაოდენობით, კონსულტაციების პროცესში მიღებული მოსაზრებების დაბალანსებულად გათვალისწინების პირობით. ჩამონათვალი არ არის ყოვლისმომცველი და იდენტიფიცირებულ და ინფორმირებულ უნდა იქას სერტიფიკაციის პროცესთან მიმართებაში რელევანტური ყველა სხვა დაინტერესებული მხარე.

3.1 ეკონომიკური ინტერესები

a) ტყის მესაკუთრეები და/ ან მმართველები დიდ, საშუალო და პატარა ფართობების მქონე ტყეებში და მაღალი, საშუალო და დაბალი ინტენსივობით მართულ ტყეებში;

b) ტყის კონტრაქტორები (მათ შორის ხე-ტყის დამამზადებლები ტყეში);

c) სატყეო სფეროს წარმომადგენლები;

d) სერტიფიკატების მფლობელები.

3.2 სოციალური ინტერესები

a) მონაწილე, ან ტყის მართვის და მასთან დაკავშირებული ოპერაციების სოციალურ ასპექტებით დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციები;

b) ტყის მუშაკები;

c) საერთაშორისო, ეროვნული და ადგილობრივი პროფესიული/ შრომითი კავშირები;

d) ადგილობრივი თემების წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობენ ან ინტერესი გააჩნიაში ტყის მართვაში, მათ შორის მე-5 და მე-6 HCV-ებისთვის რელევანტური;

e) მკვიდრი ხალხებისა და ტრადიციული ხალხების წარმომადგენლები (თუ არსებობენ და/ან დააჩნიათ ინტერესი), მათ შორის მე-5 და მე-6 HCV-ებისთვის რელევანტური;

f) სარეკრეაციო ინტერესების წარმომადგენლები.

3.3 გარემოსდაცვითი ინტერესები

a) ტყის მართვის გარემოსდაცვით ასპექტებში მონაწილე ან ინტერესის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციები. კონსულტაციები გამიზნული უნდა იყოს ინტერესისა და ცოდნა-გამოცდილების შემდეგ არეებზე:

- ბიოლოგიური მრავალფეროვნება
- წყალი და ნიადაგი
- HCV-ები 1-4

b) ადგილობრივი თემებისა და მკვიდრი ხალხების წარმომადგენლები (HCV-ები 5 და 6).

3.4 FSC-ის მიერ აკრედიტებული ქვეყანაში მოქმედი სასერტიფიკაციო ორგანოები

3.5 ეროვნული და შტატის სატყეო სააგენტოები

3.6 კონტროლირებადი მერქნის კატეგორიების მცოდნე ექსპერტები

3.7 კვლევითი ინსტიტუტები და უნივერსიტეტები

3.8 FSC-ის რეგიონალური ოფისები, FSC ქსელის პარტნიორები, რეგისტრირებული სტანდარტული განვითარების ჯგუფები და NRA სამუშაო ჯგუფები რეგიონში[15].

დანართი „C“ მინიმალური მოთხოვნები ექსპერტების კვალიფიკაციასთან მიმართებაში

1 ექსპერტები (მათ შორის ექსპერტთა ჯგუფები) რომლელთა ცოდნა-გამოცდილება გამოიყენება რისკების შეფასების პროცესში და/ან კონტროლის ღონისძიებების შესამუშავებლად, უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მინიმალური მოთხოვნებს:

1.1 კონტროლირებადი მერქნის კატეგორია 1 (უკანონოდ დამზადებული ხე-ტყე)

a) ექსპერტული ცოდნა კანონიერებასთან დაკავშირებით ტყის სექტორში და ეროვნულ/ რეგიონალურ დონეზე (იხ. დანართი „ა“, ცხრილი „ა“), რომელიც ფასდება დემონსტრირებული გამოცდილების და/ ან განათლების და/ ან შესაბამის სფეროში ლიცენზიების საფუძველზე.

შენიშვნა: ექსპერტებს, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა ერთ სფეროში (მაგ. კანონის ერთ ქვე-კატეგორიაში) შეუძლიათ რისკების შეფასების პროცესში და/ ან კონტროლის ღონისიებების შემუშავებაში დახმარების გაწევა მხოლოდ ამ სფეროში (მაგ. კანონის შესაბამის ქვე-კატეგორიებთან დაკავშირებით).

[15] აფრიკა, აზია და წყნარი ოკეანის რეგიონი, ევროპა, ევროპა და რუსეთი (დსთ), ლათინური ამერიკა და ჩრდილოეთი ამერიკა (2015 წ. მდგომარეობით).

1.2 კონტროლირებადი მერქნის კატეგორია 2 (ტრადიციული და ადამიანის უფლებების დარღვევით მოპოვებული მერქანი)

a) ექსპერტული ცოდნა მკვიდრი ხალხებისა და/ ან ტრადიციული ხალხების არსებობასა და უფლებებზე მოწოდების ტერიტორიაზე, რომელიც ფასდება შესაბამის სფეროში დადასტურებული გამოცდილების და/ ან განათლების და/ ან ლიცენზიების ქონის საფუძველზე;

b) ცოდნა (ინფორმირებულობის ჩათვლით) მკვიდრი ხალხებისა და ტრადიციული ხალხების უფლებებთან დაკავშირებული კონფლიქტების შესახებ;

c) მკვიდრი ხალხებსა და ტრადიციულ ხალხებთან კონსულტაციების/ დადასტურებული გამოცდილება;

1.3 კონტროლირებადი მერქნის კატეგორია 3 (მერქანი ისეთი ტყეებიდან, სადაც მაღალ კონსერვაციულ ღირებულებებს საფრთხეს უქმნის მართვის ღონისძიებები)

a) ექსპერტული ცოდნა შესაფასებელ ტერიტორიაზე გარემოსდაცვითი ღირებულებების არსებობის, განლაგების და/ ან საფრთხეების შესახებ (ტყის ეკოსისტემებზე ფოკუსირებით), დადასტურებული კონსერვაციის გამოცდილებით და განათლებით და/ ან შესაბამისი ლიცენზიებით; და

b) ექსპერტული ცოდნა შესაფასებელ ტერიტორიაზე ტყის მართვის პრაქტიკის შესახებ, რომელიც ფასდება დადასტურებული გამოცდილებით და/ ან განათლებით და/ ან ლიცენზიით შესაბამის სფეროში.

1.4 კონტროლირებადი მერქანის კატეგორია 4 (მერქანი ისეთი ტყეებიდან, რომელთა კატეგორია შეიცვალა პლანტაციებად ან არა-სატყეო სარგებლობის ტყეებად)

a) ექსპერტული ცოდნა შესაფასებელ ტერიტორიაზე ტყის მართვის პრაქტიკასთან დაკავშირებით, შესაბამის სფეროში დადასტურებული გამოცდილების და/ ან განათლების და/ ან ლიცენზიების საფუძველზე;

1.5 კონტროლირებადი მერქნის კატეგორია 5 (მერქანი ისეთი ტყეებიდან, სადაც დარგულია გენეტიკურად მოდიფიცირებული ხეები)

a) სპეციფიური ექსპერტული ცოდნა საჭირო არ არის.

დანარი „D“ კონტროლირებადი მერქნის შეფასების პროცესის რეზიუმე (მხოლოდ ინფორმაციისთვის)

ამ სტანდარტში კონტროლირებადი მერქნის შეფასებისთვის დადგენილი ღონისძიებების რეზიუმე:

1. შეასრულეთ FSC მიწოდების ჯაჭვის მოთხოვნები *FSC-STD-40-004*-ის შესაბამისად.
2. შეიმუშავეთ წერილობითი პროცედურები, რომლებიც მოიცავს ყველა გამოსაყენებელ ელემენტს სტანდარტისა *FSC-STD-40-005 V3-0 მოთხოვნები FSC-ის კონტროლირებადი მერქნის მოწოდების მიმართ.*
3. შეიმუშავეთ DDS (თავი 1).
4. მიიღეთ მინფორმაცია მასალის შესახებ (თავი 2, CITES-ის ჩათვლით).

5. შეაფასეთ მოწოდების ტერიტორიებსა და გადამუშავების ჯაჭვებთან დაკავშირებული რისკები (თავი 3). ეს მოიცავს FSC-ის რისკების შეფასებას და/ან ორგანიზაციის მიერ მისი საკუთარი რისკების შეფასების შემუშავებას (დანართი „ა“, ნახ. 5).
6. დაბალი რისკის მქონე ტერიტორიებისთვის და იქ, სადაც მიწოდების ჯაჭვში შერევის არავითარი რისკი არ არსებობს, დამატებითი ქმედებები საჭირო არ არის. მასალა შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც კონტროლირებადი ან გაიყიდოს FSC-ის კონტროლირებადი მერქნის სტატუსით. საჭიროა დოკუმენტაციის წარმოება და შიდა მონიტორინგის ჩატარება.
7. რისკების შემთხვევაში:
   - გაატარეთ კონტროლის ღონისძიებები
   - შეამოწმეთ ეფექტიანობა შიდა აუდიტების მეშვეობით

ზემოთ აღწერილი ნაბიჯები ილუსტრირებულია შემდეგ გვერდზე მოყვანილი სქემით (ნახ. 6).



სურ 6. კონტროლირებადი მერქნის შეფასების პროცესი

დანართი „E“ შემუშავების მითითებები და კონტროლის ღონისძიებების მაგალითები (მხოლოდ ინფორმაციისთვის)

1 კონტროლის ღონისძიებები უნდა შემუშავდეს იმის საფუძველზე, თუ როგორ განსაზღვრავს ორგანიზაცია რისკებს საკუთარი ოპერაციების ფარგლებში, და კონკრეტულ პირობებში, სადაც ორგანიზაცია ფუნქციონირებს, რისკების მისაღები დონის (მოთხოვნების შესაბამისად) საფუძველზე.

2 საკუთრების სხვადასხვა სტრუქტურებისთვის, მომწოდებელთა სხვადასხვა ჯგუფებისთვის, სერტიფიკატების მფლობელების სხვადასხვა ტიპებისთვის (მაგ. პირველადი და მეორადი მწარმოებლები, ცელულოზა და მერქანი), და ა.შ. შეიძლება კონტროლის სხვადასხვა ღონისძიებების დაწესება[16].

3 განხორციელებული კონტროლის ღონისძიებები დამოკიდებულია პოტენციური რისკის ტიპზე. ზოგიერთი რისკის შემცირება მოითხოვს გადამოწმებას ხე-ტყის დამზადების ადგილზე საველე ვიზიტის, დოკუმენტების კონტროლის, ან ორივეს საშუალებით.

4 კონტროლის ღონისძიებებს შესაძლოა თან ახლდეს გადამოწმების საშუალებები, რომლებიც ახდენს მათი ადექვატურობის და/ ან ეფექტიანობის დემონსტრირებას (მაგ. ჩანაწერები, დოკუმენტები, რუქები, ადგილზე ვიზიტები, გასაუბრებები და ა.შ.).

5 რეკომენდებულია, რომ კონტროლის ღონისძიებები შეესაბამებოდეს SMART კონცეფციას (კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, რელევანტური და ხელშესახები), შესაძლებლობისამებრ:

კონკრეტული: კონტროლის ღონისძიებები უნდა აღწერდნენ ქმედებას ან ქმედებებს, რომლებიც საჭიროა რისკების შემცირებისთვის;

გაზომვადი: კონტროლის ღონისძიებებში მითითებული უნდა იყოს სამუშაოთა შესრულების შედეგები ან დონეები (ანუ ზღვრები), რომლებიც გაზომვადია შეფასების პროცესში. სამუშაოთა შესრულების მოთხოვნილი დონე მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული (შეადარეთ *FSC-STD-40-005 V3-0 მოთხოვნები FSC კონტროლირებადი მერქნის მოწოდების მიმართ,* მუხლი 4.2);
მიღწევადი: კონტროლის ღონისძიებები არ უნდა შეიცავდეს ელემენტებს, რომელთა შესრულება შეუძლებელია ორგანიზაციის სისტემაში;

რელევანტური: კონტროლის ღონისძიებები უნდა შეიცავდეს მხოლოდ ისეთ ელემენტების, რომლებიც ხელს უწყობს [რისკების] შემცირებას;

ხელშესახები: კონტროლის ღონისძიებები უნდა ეწეროს მკაფიო და თანმიმდევრული ენით, რომელშიც არ იქნება სუბიექტური ელემენტები. თავი უნდა ავარიდოთ ისეთი ფრაზების გამოყენებას, როგორიცაა „არსებითი“, „შესაფერისი“, „მინიმუმამდე დაყვანა“, „შესაძლებლობის შემთვევაში“, „ღრმა“, „საუკეთესო ხელმისაწვდომი“.

6 კონტროლის ღონისძიების შედეგი უნდა მიუთითებდეს, თუ როგორ ამცირებს კონტროლის ღონისძიება რისკს ან იძლეოდეს იმის დამტკიცების საშუალებას, რომ რისკი შემცირდა. ზოგიერთ შემთხვევაში სასურველი შედეგი ნაგულისხმებია თავად კონტროლის ღონისძიებაში (იხ. ცხრილი „ბ“). ზოგ შემთხვევებში იგი შეიძლება ცალკე იქნას მითითებული. კონკრეტული მაგალითები იხ. მე-4 ჩარჩოში.

---

[16] იხ. რისკების შეფასების ფუნქციური შკალა დოკუმენტში *FSC-PRO-60-002a FSC რისკების შეფასების ეროვნული ჩარჩოები.*

7 ქვემოთ მოცემულია იმ ქმედებების ზოგადი მაგალითები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც კონტროლის ღონისძიებები. რისკების შეფასების ყოველი ინდიკატორისთვის კონტროლის ღონისძიებების მაგალითები იხ. ცხრილ „ბ“-ში.

a) კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან;

b) ექსპერტების ჩართვა;

c) დოკუმენტების შემოწმება

d) მიწოდების ჯაჭვის აუდიტი;

e) საველე გადამოწმება მომწოდებელი ერთეულის დონეზე ან მომწოდებლის ტერიტორიაზე;

f) გადამოწმება მესამე მხარის მიერ, მათ შორის, საჭირო მხარეების და გადამოწმების მისაღები/ სამაგალითო მეთოდების მითითება;

g) ტესტები სახეობების და/ ან წარმოშობის დასადასტურებლად, როგორიცაა დნმ ანალიზები, იზოტოპური ანალიზები და მერქნის ბოჭკოს ანალიზები (მაგ. დადასტურდეს CITES -ში შეტანილი სახეობების წარმოშობა);

h) კანონიერად მავალდებულებელი ხელშეკრულებები, რომლებიც დაკავშირებულია რისკების შემცირებასთან (მაგ. პროცედურების შესრულების ვალდებულებების აღება, ნებისმიერ დროს აუდიის ჩატარების უფლება, ინფორმაციის კონკრეტულ ვადებში მიწოდების ვალდებულებები) მომწოდებლებთან ან სუბ-მომწოდებლებთან მიმართებაში;

i) მომწოდებლებისა და სუბ-მომწოდებლების ტრენინგი რისკების შემცირებაში და მათი შესაძლებლობების განვითარება;

j) მიუღებელი მომწოდებლების გამორიცხვა.

ჩარჩო 4: კონტროლის ღონისძიებების დაწესება (მაგალითი)

ინდიკატორი შეფასებულია, როგორც სპეციფიური რისკის მქონე (*რისკების შეფასებაში)*	2.2 შრომის უფლებები დაცულია, როგორც მიითებულია ILO-ს ფუნდამენტურ პრინციპებსა და უფლებებში სამუშაო ადგილზე (*FSC-PRO-60-002a FSC-ის რისკების შეფასების ეროვნული ჩარჩოები).*
რისკის მითითება (*რისკების შეფასებაში)*	ქალების დისკრიმინაცია დასაქმების პრაქტიკაში ერთსა და იმავე თანამდებობაზე ქალებისა და მამაკაცების დოკუმენტირებულ ხელფასებს შორის არსებული სხვაობის კუთხით
საჭირო ადექვატური ქმედება	კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან
კონტროლის ღონისძიება სასურველი შედეგით	დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები ადასტურებს, რომ ადგილი არა აქვს ქალთა ფინანსურ დისკრიმინაციას მომწოდებლების მიერ (შენიშვნა: თუ შეუძლებელია იმის დამტკიცება, რომ დისკრიმიაციას ადგილი არა აქვს, უნდა დაწესდეს ან განხორციელდეს კონტროლის სხვა ღონისძიება ან ღონისძიებები).

ცხრილი „ბ“. კონტროლის ღონისძიებების მაგალითები „სპეციფიური რისკებისთვის“, სპეციფიური რისკების ინდიკატორებისთვის (RAI – რისკების შეფასების შეფასების ინდიკატორები *FSC-PRO-60-002a-ს - FSC-ის რისკების შეფასების ეროვნული ჩარჩოების - მიხედვით).*

RAI	კონტროლის ღონისძიებების მაგალითები
1.1	მიწის რეესტრმა უნდა დაადასტუროს საკუთრება და ქონებრივი აქტის კანონიერ ძალაში ყოფნა. საგადასახადო როგანოებმა უნდა დაადასტურონ საგადასახადო რეგისტრაციის კანონიერ ძალაში ყოფნა. ბიზნეს-რეესტრში მოცემულია ბიზნეს- ლიცენზიების მოქმედების კანონიერების მტკიცებულება. მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული კონფლიქტის მქონე რაიონებში კონსულტაციები მეზობლებთან, ადგილობრივ თემებთან და სხვებთან იძლევა მტკიცებულებას, რომ მიწათსარგებლობის უფლებები მოწესრიგებულია. კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან იძლევა მტკიცებულებას, რომ ტყის მართვის საწარმოს რეგისტრაცია მოხდა კანონით გათვალისწინებული პროცესების შედეგად. კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან იძლევა მტკიცებულებას, რომ ოპერირების კანონიერ სტატუსთან, ან დაწესებული საქმიანობის განხორციელების უფლებებთან მიმართებაში არ არსებობს სასამართლოს ორდერები ან სხვა კანონით დადგენილი გადაწყვეტილებები ოპერირების შეწყვეტის შესახებ. მართვის ხელშეკრულება ან სხვა ხელშეკრულებები მფლობელთან მიუთითებს მართვის მოწესრიგებულ უფლებებზე. უნდა არსებობდეს კანონიერ ძალაში მყოფი სარეგისტრაციო დოკუმენტები. კანონიერი უფლებებისა და რეგისტრაციის [დოკუმენტის] გაცემა, მოწოდებელი ერთეულების ფარგლებში ნებისმიერი საქმიანობის დაწყებამდე, უნდა დაექვემდებაროს საჯაროდ გამოქვეყნებას.

1.2	კონცესიის ლიცენზიების მისაღებად უნდა შესრულდეს სათანადო კანონით გათვალისწინებული პროცედურები. უნდა არსებობდეს კონცესიის ლიცენზიის კანონიერ ძალაში მყოფი ხელშეკრულება. კონცესიის ლიცენზიების მიღების პროცესი უნდა განხორციელდეს გამჭვირვალედ, მკაფიოდ ჩამოყალიბებული კრიტერიუმების საფუძველზე და უნდა შემოიფარგლებლოდეს შესაფერისი ორგანიზაციებით. კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან წარმოადგენს მტკიცებულებას, რომ კონცესიის ლიცენზიების მისაღებად განხორციელდა კანონით გათვალისწინებული პროცედურები. ხე-ტყის დამზადების ადგილების ინსპექტირებამ უნდა დაადასტუროს, რომ ხე-ტყის დამზადება (მათ შორის ჭრა, ტრანსპორტირება და მორების დაწყობა) ხდება ქონების საზღვრებში.
1.3	მოწოდების იმ ერთეულისთვის, სადაც ხორციელდება ხე-ტყის დამზადება, უნდა არსებობდეს ტყის მართვის დამტკიცებული გეგმები. ტყის მართვის გეგმები უნდა შეიცავდეს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციასა და პროცედურებს. ოპერირებისა და ხე-ტყის დამზადების წლიური გეგმები უნდა შეიცავდეს ინფორმაციასა და პროცედურებს, კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნის შესაბამისად. ოპერირებისა და ხე-ტყის დამზადების გეგმების შინაარსი შესაბამისობაში უნდა იყოს ტყის მართვის დამტკიცებულ გეგმებთან. ხე-ტყის დამზადების ოპერაციების განხორციელების გეგმები, ოპერაციების დაწყებამდე უნდა დაექვემდებაროს გასაჯაროებას და საჭიროების შემთხვევაში გასაჩივრებას, თუ ამას მოთხოვს კანონი. ხე-ტყის დამზადების შეზღუდვები უნდა განისაზღვროს მართვის გეგმებსა და რუქებზე, თუ ამას მოითხოვს კანონი. ხე-ტყის დამზადების ინვენტარიზაცია უნდა ჩატარდეს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. საველე გადამოწმებებმა უნდა აჩვენოს, რომ ხე-ტყის დამზადების გეგმები ხორციელდება ველზე. კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან იძლევა მტკიცებულებას, რომ ტყის მართვის გეგმა დამტკიცებულია კანონით გათვალისწინებული პროცესების შესაბამისად. მართვის გეგმის შინაარსი ტექნიკურად გამართული და თანმიმდევრული უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან მიმართებაში.

1.4	უნდა არსებობდეს ხე-ტყის დამზადების ნებართვები (ლიცენზიები ან ანალოგიური კანონიერი დოკუმენტები, რომლებიც მართავს ტყის რესურსების მოპოვებას). ხე-ტყის დამზადების საზღვრები მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული რუქებისა და რაოდენობების მიხედვით. კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან იძლევა მტკიცებულებას, რომ ხე-ტყის დამზადების ნებართვები გაცემულ იქნა შესაბამისი კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად, კანონით განსაზღვრული კომპეტენტური ორგანოს მიერ. საველე ინსპექტირებამ უნდა დაადასტუროს, რომ ხე-ტყის დამზადება ხორციელდება ხე-ტყის დამზადების ლიცენზიაში მითითებული საზღვრების ფარგლებში. საველე ინსპექტირებამ უნდა დაადასტუროს, რომ ტერიტორიასთან, სახეობებთან, მოცულობასთან დაკავშირებული ინფორმაცია და სხვა ინფორმაცია ხე-ტყის დამზადების ნებართვაში სწორია და კანონით გათვალისწინებულ ფარგლებშია. საველე ინსპექტირებამ უნდა დაადასტუროს, რომ დაცულია დამზადების ნებართვაში მითითებული ხე-ტყის დამზადების შეზღუდვები როგორიცაა ბუფერული ზონები, დაცული ხეები, მორსათრევი ბილიკების განთავსება და ა.შ.
1.5	უნდა არსებობსდეს გადახდის ქვითრები (დამზადებასთან დაკავშირებული ბეგარები, შესაბამისი გადასახადები, დამზადების მოსაკრებლები და სხვა გადასახადები). ყიდვა- გაყიდვისა და სატრანსპორტო დოკუმენტებში მითითებული მოცულობები, სახეობები და რაოდენობები უნდა ემთხვეოდეს გადახდილ მოსაკრებლებს. სახეობების, მოცულობებისა და რაოდენობების კლასიფიკაცია უნდა ემთხვეოდეს გადახდილ ბეგარასა და მოსაკრებლებს. ორგანოებმა უნდა დაადასტურონ, რომ ოპერირებისას გადახდილ იქნა მოქმედი მოსაკრებლები.
1.6	ყიდვა- გაყიდვის დოკუმენტები უნდა შეიცავდეს შესაბამის გადასახადებს გაყიდვაზე. უნდა არსებობდეს გაყიდვის გადასახადების გადახდის ქვითრები. ყიდვა- გაყიდვისა და სატრანსპორტო დოკუმენტებში მითითებული მოცულობები, სახეობები და ხარისხი უნდა ემთხვეოდეს გადახდილ მოსაკრებლებს. გაყიდვის ფასები უნდა შეესაბამებოდეს საბაზრო ფასებს. დამზადებული სახეობები, მოცულობები და ხარისხი უნდა ემთხვეოდეს ყიდვა-გაყიდვის დოკუმენტებს. ორგანოებმა უნდა დაადასტურონ, რომ ოპერირება თანადროულია გაყიდვის შესაბამისი გადასახადების გადახდასთან მიმართებაში.
1.7	ყიდვა- გაყიდვისა და სატრანსპორტო დოკუმენტებში მითითებული მოცულობები, სახეობები და ხარისხი უნდა ემთხვეოდეს გადახდილ მოსაკრებლებს. სახეობების, მოცულობების და ხარისხის კლასიფიკაცია უნდა ემთხვეოდეს გადახდილ ბეგარებსა და მოსაკრებლებს. ორგანოებმა უნდა დაადასტურონ, რომ ოპერირება თანადროულია გაყიდვის შესაბამისი გადასახადების გადახდასთან მიმართებაში. ხე-ტყის დამზადება უნდა განხორციელდეს მომწოდებელი ერთეულის ავტორიზებული საზღვრების ფარგლებში. ხე-ტყის დამზადება არ უნდა მოხდეს იმ ადგილებში, სადაც დამზადება კანონით აკრძალულია. მომწოდებელი ერთეულში არსებული ხეების სახეობები და შერჩეული ხეები, რომლებს მოჭრაც აკრძალულია, ჩამოთვლილი უნდა იყოს ოპერატიულ გეგმებში. ველზე დაცულ უნდა იყოს ხე-ტყის დამზადების შეზღუდვები. მომწოდებელი ერთეულში არსებული ხეების სახეობები და შერჩეული ხეები, რომლებს მოჭრაც აკრძალულია, მარკირებული უნდა იყოს ველზე. კანონით დაცული ყველა ტერიტორია (სახეობების ჰაბიტატების ჩათვლით) შეტანილი უნდა იყოს მართვის გეგმაში ან შესაბამის დოკუმენტში, თუ ამას მოითხოვს კანონმდელობა. უნდა სრულდებოდეს მომწოდებელი ერთეულის ფარგლებში არსებული გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი და საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების მოკვლევის, მართვისა და დაცვის კანონით დაწესებული პროცედურები.

	უნდა მოქმედებდეს ბუნების დაცვის რეგულაციები, როგორიცაა დაცულ ტერიტორიებთან, სპეციალურად გამოყოფილ ხელუხლებელ ტერიტორიებთან, დაცულ სახეობებთან და ნადირობასთან დაკავშირებული რეგულაციები.

1.8	ხე-ტყის დამზადება უნდა ხდებოდეს მომწოდებელი ერთეულის ავტორიზებულ საზღვრებში. ხე-ტყის დამზადება არ უნდა ხდებოდეს ისეთ ტერიტორიებზე, სადაც დამზადება კანონით აკრძალულია. ხეების ჯიშები ან შერჩეული ხეები მომწოდებელი ერთეულის ფარგლებში, რომელთა მოჭრა აკრძალულია, ჩამოთვლილი უნდა იყოს ოპერატიულ გეგმებში. ველზე დაცული უნდა იყოს ხე-ტყის დამზადების შეზღუდვები. მომწოდებელი ერთეულში არსებული ხეების სახეობები და შერჩეული ხეები, რომლებს მოჭრაც აკრძალულია, მარკირებული უნდა იყოს ველზე.
1.9	კანონით აკრძალული ყველა ტერიტორია (მათ შორის სახეობების ჰაბიტატები) შეტანილი უნდა იყოს მართვის გეგმაში ან შესაბამის დოკუმენტში, თუ ამას მოითხოვს კანონმდებლობა. უნდა სრულდებოდეს მომწოდებელი ერთეულის ფარგლებში არსებული გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი და საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების მოკვლევის, მართვისა და დაცვის კანონით დაწესებული პროცედურები. უნდა მოქმედებდეს ბუნების დაცვის რეგულაციები, როგორიცაა დაცულ ტერიტორიებთან, სპეციალურად გამოყოფილ ხელუხლებელ ტერიტორიებთან, დაცულ სახეობებთან და ნადირობასთან დაკავშირებული რეგულაციები.
1.10	უნდა არსებობდეს გარემოზე და/ ან სოციალური ზემოქმედების შეფასებები და დამტკიცებული უნდა იყოს კომპეტენტური ორგანოს მიერ, თუ ამას მოითხოვს კანონმდებლობა. დაკმაყოფილებული უნდა იყოს გარემოსდაცვითი მონიტორინგის მოთხოვნები. საველე პირობებში დაცული უნდა იყოს გარემოსდაცვითი შეზღუდვები, როგორიცაა ნიადაგის დაზიანებასთან, ბუფერულ ზონებთან, შესანარჩუნებელ ხეებთან, სეზონურ შეზღუდვებთან და ა.შ. დაკავშირებული მოთხოვნები.
1.11	პროფესიული ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მოთხოვნები დაცული უნდა იყოს ხე-ტყის დამზადებაში ჩართული პერსონალის მიერ. პერსონალთან და კონტრაქტორებთან გასაუბრებამ უნდა დაადასტუროს, რომ ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილია/ მოწოდებულია კანონით მოთხოვნილი დამცავი აღჭურვილობა.
1.12	ხე-ტყის დამზადებაში ჩართული პირების დასაქმება უნდა მოხდეს ოფიციალური ხელშეკრულებით, თუ ამას მოითხოვს კანონი. ხე-ტყის დამზადებაში ჩართულ პირებს უნდა გააჩნდეთ სავალდებულო დაზღვევა. ხე-ტყის დამზადებაში ჩართულ პირებს უნდა მოსთხოვონ კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატების ქონა მათი სამუშაო ფუნქციისთვის. კანონით დადგენილი მინიმალური ხელფასი უნდა იყოს ხე-ტყის დამზადებაში ჩართული პერსონალისთვის გადახდილი მინიმალური თანხა. ხელფასების გადახდა უნდა ხდებოდეს ოფიციალურად და დეკლარირებული უნდა იყოს დამსაქმებლის მიერ ხე-ტყის დამზადებაში ჩართული პერსონალისადმი მოთხოვნების შესაბამისად. ხე-ტყის დამზადებაში ჩართულ პერსონალთან მიმართებაში დაცული უნდა იყოს მინიმალური ასაკი. სახიფათო სამუშაოში ჩართულ პერსონალთან მიმართებაში დაცული უნდა იყოს მინიმალური ასაკი. დაინტერესებული მხარეები წარმოადგენენ მტკიცებულებას, რომ ხე-ტყის დამზადებისას არ გამოიყენება იძულებითი ან ძალდატანებითი შრომა.
1.13	დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია იძლევა მტკიცებულებას, რომ ხე-ტყის დამზადების სამუშაოებისას დაცულია ტრადიციული უფლებები და ადათ-წესები. ექსპერტების ჩართულობა ადგენს ტრადიციულ და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული კონკრეტულ სამართლებრივ ვალდებულებებს და უზრუნველყოფს, რომ კონსულტაციისთვის გამოყენებული კანონმდებლობა თანადროული იყოს (ითვალისწინებდეს უკანასკნელ შესწორებებს) და ითვალისწინებდეს სამართლებრივი ვალდებულებების ინტერპრეტაციისთვის რელევანტურ სასამართლო გადაწყვეტილებებს.
1.14	დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია იძლევა მტკიცებულებას, რომ FPIC-თან დაკავშირებული სამართლებრივი მოთხოვნები დაცულია ტყის მართვის უფლებებთან მიმართებაში. ექსპერტების ჩართულობა ადგენს ტრადიციულ და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული კონკრეტულ სამართლებრივ ვალდებულებებს და უზრუნველსყოფს, რომ კონსულტაციისთვის გამოყენებული კანონმდებლობა თანადროული იყოს (ითვალისწინებდეს უკანასკნელ შესწორებებს) და ითვალისწინებდეს სამართლებრივი ვალდებულებების ინტერპრეტაციისთვის რელევანტურ სასამართლო გადაწყვეტილებებს.

1.15	დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია იძლევა მტკიცებულებას, რომ მკვიდრი ხალდებისა და ტრადიციული ხალხების კანონით დაწესებული უფლებები არ ირღვევა. ექსპერტების ჩართულობა ადგენს ტრადიციულ და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული კონკრეტულ სამართლებრივ ვალდებულებებს და უზრუნველსყოფს, რომ კონსულტაციისთვის გამოყენებული კანონმდებლობა თანადროული იყოს (ითვალისწინებდეს უკანასკნელ შესწორებებს) და ითვალისწინებდეს სამართლებრივი ვალდებულებების ინტერპრეტაციისთვის რელევანტურ სასამართლო გადაწყვეტილებებს.
1.16	პროდუქტები სწორად უნდა იყოს კლასიფიცირებული (სახეობები, აოდენობა, ხარისხის და ა.შ.) ყიდვა-გაყიდვის დოკუმენტებში, საბაჟო დეკლარაციებში და კანონით მოთხოვნილ სხვა დოკუმენტებში.
1.17	სახეობებითა და პროდუქტის ტიპებით ვაჭრობა უნდა ხორციელდებოდეს კანონიერად. უნდა არსებობდეს და დოკუმენტირებული უნდა იყოს საჭირო სავაჭრო ნებართვები. უნდა არსებობდეს და ინახებოდეს ყველა საჭირო სატრანსპორტო დოკუმენტები. მოცულობა, სახეობები და ხარისხი კლასიფიცირებული უნდა იყოს სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად. ტრანსპორტირებასთან, ვაჭრობასთან და ექსპორტთან დაკავშირებული დოკუმენტები მკაფიოდ უნდა იყოს დაკავშირებული კონკრეტულ მასალასთან. სავაჭრო დოკუმენტები უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ მოხდეს მასალის უკუ-მიკვლევა მის წარმოშობამდე. კანონიერების გადასამოწმებლად გამოყენებულ უნდა იქნას FLEGT ლიცენზიები.
1.18	თუ ეს უკანონოა მომწოდებლის ან სუბ-მომწოდებლის ქვეყანაში, პროდუქტებით ვაჭრობა არ უნდა მოხდეს „საგადასახადო ოაზისად“ ცნობილი ქვეყნების გავლით. გადარიცხვებთან დაკავშირებით არ უნდა არსებობდეს არაკანონიერი მანიპულაცია.

1.19	კონტროლირებადი მერქნით მომარაგება უნდა ხორციელდებოდეს ამ ტერიტორიისთვის დადგენილი კანონიერების ჩარჩოების შესაბამისად. პროდუქტები სწორად უნდა იყოს კლასიფიცირებული (ტიპი, საბაჟო კოდი, სახეობები, რაოდენობა, ხარისხი და ა.შ.). უნდა არსებობდეს საჭირო საიმპორტო და საექსპორტო ნებართვები.
1.20	CITES-ში ჩამოთვლილი სახეობებით ვაჭრობა უცხოეთის ქვეყნებთან უნდა იყოს დოკუმენტირებული და თან უნდა ახლდეს საჭირო საექსპორტო, საიმპორტო და რე-ექსპორტის სერტიფიკატები, გაცეული კომპეტენტური ორგანოების მიერ (CITES მართვის ორგანოები).
2.1	ორგანიზაცია არ არის ჩართული კონფლიქტური ხე-ტყით ვაჭრობაში. წარმოშობის დოკუმენტაცია უნდა ადასტურებდეს, რომ ტყის პროდუქტები არ არის წარმოშობილი კონფლიქტური ხე-ტყის ტერიტორიებიდან.
2.2	საველე გადამოწმებები კონტროლირებადი მერქნის მე-2 კატეგორიისადმი *FSC-STD-30-010* სტანდარტის შესაბამისად. გასაუბრებები მენეჯმენტთან და თანამშრომლებთან შრომის კანონების ცოდნის და რეგულაციების შესრულების შესაფასებლად.
2.3	დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია იძლევა მტკიცებულებას, რომ ხე-ტყის დამზადება ხდება სოციალური უფლებების გათვალისწინებით. ეს მოიცავს ტყეზე დამოკიდებულ თემებს და სამოქალაქო საზოგადოებას, ასევე ეროვნულ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ განსახილველ ტერიტორიაზე სოციალური უფლებების სტატუსის მონიტორინგს. [დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების მაგალითები: აქტიური კონსულტაციის მეთოდები, მაგ. რომლებიც გამოიყენებოდა სანტა კატარინას ბუნებრივი რესურსების მართვისა და სოფლად სიღარიბის შემცირეის პროექტში (ბრაზილია)[17]: ეს პროექტი იყენებდა კონსულტაციის ინოვაციურ მეთოდებს იმ ექსპერტების მიერ ფასილიტაციის საფუძველზე, რომლებიც იცნობდნენ თემებს, რომლებთანაც ტარდებოდა კონსულტაციები.] საველე გადამოწმება კონტროლირებადი მერქნის მე-2 კატეგორიის მიმართ *FSC-STD-30-010*

[17] მსოფლიო ბანკი. 2002 წ. ბრაზილია - ბუნებრივი რესურსების მართვისა და სოფლად სიღარიბის შემცირების პროექტი - სანტა კატარინა. ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი: მსოფლიო ბანკი. http://documents.worldbank.org/curated/en/2002/03/1752396/brazil-natural-resource-managementrural-poverty-reduction-project-santa-catarina.

	სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. წერილობითი ხელშეკრულება (მათ შორის სათემო ოქმები[18]) და/ ან დემონსტრირების სხვა საშუალება უნდა ადასტურებდეს, რომ FPIC მოცემულია. სათემო ოქმები (მაგ. რომლებიც ადასტურებენ, რომ FPIC მოცემული იყო) ხორციელდება [სათემო ოქმების განხორციელების მაგალითები: „ბუნებასთან მიმართებაში სამართლიანობა“ (იურისტები თემებისა და გარემოსთვის) იყო პიონერი ამ კონცეფციის შემოტანაში და დაეხმარა თემებს ოქმების შემუშავებაში, რათა უზრუნველყოფილ ყოფილიყო საკვებისა და სოფლის მეურნეობისთვის მცენარეთა გენეტიკურ რესურსებთან დაკავშირებული სიკეთეების გაზიარება (პერუ); მკვირდი ტერიტორიების დაცვაში (პანამა); და წმინდა ბუნებრივი ადგილების დაცვაში (აფრიკა). ეს კონცეფცია შეტანილ იქნა ნაგოიას პროტოკოლში წვდომისა და სიკეთეების გაზიარების შესახებ, ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის ფარგლებში.] ხელმოწერილია სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეკრულებები (SRA-ები) სადაც ჩამოყალიბებულია ორგანიზაციის (სერტიფიცირებული ორგანიზაციების, ტყის მმართველების) შეთანხმებული ვალდებულებები მკვიდრი ხალხების, ტრადიციული ხალხების და/ ან ტრადიციული უფლებების მქონე ადგილობრივი თემების მიმართ. [გამოყენების მაგალითები: IIED-მ შეიმუშავა ანგარიში, სადაც დოკუმენტირებულია SRA-ების გამოყენება განაში, და ხაზგასმულია მიღებული გამოცდილება[19].] დოკუმენტების გადამოწმება ადასტურებს სოციალური უფლებების, მათ შორის ქალებისა და ბავშვების სოციალური უფლებების დაცვა- შესრულებას. დოკუმენტების გადამოწმება ადასტურებს, რომ მკვიდრი ხალხების, ტრადიციული ხალხებისა და/ ან ადგილობრივი თემების უფლებები გათვალისწინებული და დაცულია. იმ დოკუმენტების გადამოწმება, სადაც ჩამოყალიბებულია სამართლებრივი საკუთრებისა და მიწათსარგებლობის უფლებები (მაგ. ქონებრივი აქტი, მენეჯმენტის ხელშეკრუოლებები ან სხვა ხელშეკრულებები). გასაუბრებები IP/TP/ ადგილობრივი თემების წარმომადგენლებთან მათი უფლებების შესახებ ინფორმირებულობის და იმის შესაფასებლად, რომ ისინი გათვალისწინებულია.
3.0	კონტროლის ღონისძიებების არარსებობა (ინდიკატორი გამოიყენება მხოლოდ შეფასების მიზნებისთვის).
3.1-3.6	კონსულტაციები ექსპერტებთან (რომლებიც აკმაყოფილებენ ამ დოკუმენტის „C“ დანართში მითითებულ მოთხოვნებს) ადასტურებს, რომ მასალა მოწოდებულია ისეთი ტერიტორიიდან, სადაც HCV-ს საფრთხე არ ექმნება მართვის ღონისძიებების მხრიდან ან ექსპერტებთან კონსულტაციების შედეგად გატარდება მართვის ღონისძიებები, რომლებიც ამცირებს საფრთხის რისკს HCV-ებთან მიმართბაში.
3.1	ხე-ტყის დამზადება არ ხდება იქ, სადაც სავარაუდოდ კონცენტრირებულია სახეობები. არ ხდება HCV 1-ლი კატეგორიით დაცული ხის ჯიშების დამზადება. კონსულტაციები ექსპერტებთან (რომლებიც აკმაყოფილებენ ამ დოკუმენტის „C“ დანართში მითითებულ მოთხოვნებს) ადასტურებს მოწოდების ტერიტორიაზე სახეობების კონცენტრაციის არარსებობას.
	ტყის მართვის გეგმები არსებობს და მოიცავს საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების პროფესიონალურ საინვენტარიზაციო უწყისს და მართვის სათანადო ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფს სახეობების გადარჩენასთან მიმართებაში მართვის ღონისძიებების მხრიდან საფრთხის რისკის შემცირებას (მაგ. განსაზღვრულია სპეციალურად გამოყოფილი დაცული ტერიტორიები). HCV-ები აღიარებულია და დაცულია მართვის ღონისძიებების პროცესში. ხე-ტყის ჭრის ადგილებში საველე ნიმუშების აღება. ხე-ტყის თვალყურის დევნების სისტემა.

[18] სათემო ოქმები არის თემის მიერ მომზადებული დოკუმენტები, რომლებშიც ჩამოყალიბებულია, თუ როგორ ელის თემი მის ჩართვას სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ, მათი ჩვეულებითი უფლებების გათვალისწინების საფუძველზე. ამ კონცეფციის ინიციატორი იყო „ბუნებასთან მიმართებაში სამართლიანობა“. შემდგომი ინფორმაცია იხ. http://naturaljustice.org.

[19] აინი, დ. 2008 წ. სამართლებრივი ინსტრუმენტების შემუშავება მოქალაქეების უფლებებისა და შესაძლებლობების გასაძლიერებლად: სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეკრულებები განას სატყეო სექტორში. IIED. http://pubs.iied.org/pdfs/12549IIED.pdf

3.2	HCV-ბის მოქმედი კანონიერი დაცვა ძალაშია მოწოდების ტერიტორიაზე. მართვის გეგმების ინსპექტირება. ტყის მართვის ღონისძიებები არ იწვევს დიდი ლანდშაფტის ტყეების ფრაგმენტაციას.
3.3	კონსულტაციები ექსპერტებთან (რომლებიც აკმაყოფილებენ ამ დოკუმენტის „C“ დანართში მითითებულ მოთხოვნებს) ადასტურებს საფრთხის ქვეშ მყოფი ეკოსისტემების დაცვას მოწოდების ტერიტორიაზე. ადგილობრივ ექსპერტებთან კონსულტაციები ადასტურებს რომ მოწოდების ტერიტორიაზე განხორციელებული ტყის მართვის პრაქტიკა საფრთხეს არ უქმნის HCV-ბს. ტყის მართვის გეგმები არსებობს და მოიცავს გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი ეკოსისტემების პროფესიონალურ მიმოხილვას მართვის იმ სათანადო ღონისძიებებთან ერთად, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ მართვის ღონისძიებები არ უქმნის საფრთხეს სახეობათა გადარჩენას (მაგ. განსაზღვრულია დასაცავად გამოყოფილი ტერიტორიები, დაგეგმილია ადაპტაციური მართვა, როგორიცაა შერჩევითი ჭრა). მოწოდება ისეთი ტყეებიდან, სადაც კონტროლირებადი მერქნის მომწოდებლებს შესწევთ უნარი, რომ დაადგინონ ამ ღირებულებების რუქაზე არ-დატანილი ადგილები და დაიცვან ეს ღირებულებები საფრთხეებისგან. მომწოდებელ ერთეულებში და მეზობელ უბნებში მერქნის დამზადების წინ ტარდება HCV ინვენტარიზაცია და დასტურდება, რომ მართვის დაგეგმილი ღონისძიებები არ უქმნის საფრთხეს HCV-ბს. HCV-ბი აღიარებული და დაცულია მართვის ღონისძიებების პროცესში. ხე-ტყის ჭრის ადგილების საველე ნიმუშების აღება. ხე-ტყის თვალყურის დევნების სისტემა. ადგილმდებარეობის ჩანაწერების გადამოწმება (GPS მეთოდები ტექნიკა, დამზადების ადგილების გეო-კოორდინატები).
3.4	ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც ადგილობრივი თემები დამოკიდებულნი არიან წყალზე ტყით დაფარული ტერიტორიებიდან და არ არსებობს კანონმდებლობა სასმელი წყლის წვდომის დასაცავად, NRA-ების მიერ შესაძლოა მოთხოვნილ იქნას კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და FPIC. გამოიყენება რესურსების დაზიანებისგან და გაღარიბებისგან დაცვის მეთოდები. ბუფერული ზონების დაწესებს, მანქანა-მექანიზმების გამორიცხვა, გზების მშენებლობის გაუმჯობესება, მათ შორის ნაკადულებზე გადასასვლელების მოწყობა, ხე-ტყის დამზადება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ნიადაგი იყინება. გამოიყენება შერჩევითი ჭრის სისტემები.
3.4-3.6	კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან იძლევა მტკიცებულებას, რომ მკვიდრი ხალხების, ტრადიციული ხალხების და/ ან ადგილობრივი თემების მიერ მოცემულია FPIC მოწოდების ტერიტორიაზე სატყეო ოპერაციებში ტრადიციული უფლებებით.
4.1	მომწოდებლებთან მავალდებულებელი ხელშეკრულებები უნდა ამცირებდეს იმის რისკს, რომ მოწოდებული მასალა არ იყოს წარმოშობილი ტყეებიდან, რომელთა კატეგორია შეიცვალა პლანტაციებად ან არა-სატყეო სარგებლობად, ან ზოგიერთ შემთხვევაში, კატეგორიის შეცვლის მისაღები წყაროდან (მაგ. კატეგორიის შეცვლა, რომელსაც შედეგად მოჰყვება კონსერვაციის სიკეთეები, ურბანულ ტერიტორიებზე ზონირების საზოგადოების მიერ მოწოდებული ცვლილებები). სათანადო ორგანოების მიერ ხე-ტყის დასამზადებლად გაცემული ნებართვების გადამოწმება, რომლებიც მიუთითებს, რომ კატეგორიის შეცვლა არ მომხდარა, ან მოხდა კატეგორიის მხოლოდ მისაღები შეცვლა. კატეგორიის შეცვლასთან დაკავშირებული ხელშეკრულებებისა და პროცედურების შესრულების უზრუნველყოფის გადამოწმება. ორგანიზაციის მომარაგების პოლიტიკა ითვალისწინებს ვადვებულებას, რომ არ მოხდეს მომარაგება ბუნებრივი ტყეებიდან პლანტაციებზე ან არა-სატყეო სარგებლობაზე შეცვლილი კატეგორიის წყაროდან და მომწოდებლები ინფორმირებულნი არიან ამის თაობაზე. დოკუმენტების გადამოწმება. მომწოდებლების ტრენინგი. გასაუბრებები ტყის მმართველებთან. საველე ვიზიტები ხე-ტყის დამზადების ადგილებზე. კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან იძლევა მტკიცებულებას, რომ მომწოდებლები არ არიან ჩართულნი ტყის კატეგორიის შეცვლაში. მოწოდებული სახეობები არ იზრდება ტყეებში, რომლებსაც ემუქრება კატეგორიის შეცვლის საფრთხე მოწოდების ტერიგორიაზე.

5.1	პოტენციურ გენმოდიფიცირებულ ხის „სახეობებად“ იდენტიფიცირებული სახეობები გამორიცხულია მოწოდებიდან მიწოდების ჯაჭვში. მომწოდებელი ერთეულები, რომლებიც შეიცავენ გენმოდიფიცირებულ ხეებს, გამორიცხულია მომწოდებელთა სიიდან. მიმღებ პუნქტში ხორციელდება მერქნის ტესტირება GMO-ზე. საველე გადამოწმება ადასტურებს, რომ მოწოდებულ სახეობებს შორის არ არის GMO. ნერგების წარმოშობის დოკუმენტების გადამოწმება. დოკუმენტების სინამდვილის და ხარისხის გადამოწმება.

დანართი „F“ მონაწილეობა FSC მერქნის ბოჭკოს ტესტირების პროგრამაში (მხოლოდ ინფორმაციისთვის)

FSC მერქნის ბოჭკოს ტესტირების პროგრამაში მონაწილეობა მოიცავს შემდეგს:

1 მონაწილეობის დადასტურება

1.1 ორგანიზაცია სასერტიფიკაციო ორგანოს წერილობით, ქვემოთ მოყვანილი შაბლონის გამოყენებით ატყობინებს FSC მერქნის ბოჭკოს ტესტირების პროგრამაში მონაწილეობაზე თანხმობის შესახებ.

1.2 სასერტიფიკაციო ორგანო ატყობინებს FSC მიწოდების ჯაჭვის მენეჯერს (fibertesting@fsc.org) ორგანიზაციის მონაწილეობის შესახებ ხელმოწერილი ფორმის ასლის გადაგზავნის გზით.

1.3 FSC მიწოდების ჯაჭვის მენეჯერი ადასტურებს მონაწილეობას და ატყობინებს ორგანიზაციას ქვემოთ აღწერილი მონაწილეობის პროცესის შესახებ.

2 ინსტრუქციები ნიმუშების წარდგენასთან დაკავშირებით

2.1 FSC მიწოდების ჯაჭვის მენეჯერი ითხოვს ორგანიზაციისგან პროდუქტის თითოეული ჯგუფის წარმომადგენლობითი ნიმუშის გაგზავნას აშშ ტყის პროდუქტების ლაბორატორიაში და აცნობებს სასერტიფიკაციო ორგანოს ამ თხოვნის შესახებ.

2.2 თუ ნიმუში არის მერქნის ბოჭკოს პროდუქტი, ნიმუშის ზომა უნდა იყოს სულ ცოტა 15 X 21 სმ (მაგ. A5 ზომის ფურცელი); უმჯობესია 2-3 ფურცელი. თუ მყარი მერქნის პროდუქტი არის მერქნის ბოჭკოვანი ფილა, ნიმუშის ზომა უნდა იყოს დაახლოებით 10 x 7 x 3 სმ (მაგ. ფილების დასტა) ან უფრო დიდი.

2.3 ორგანიზაცია შეავსებს ნიმუშის წარდგენის ფორმას, რომელიც ქვემოთ არის მოყვანილი, და წარუდგენს მას უშუალოდ ტყის პროდუქტების ლაბორატორიას ნიმუშთან ერთად, ხოლო ფორმის ასლს გადააგზავნის ელ-ფოსტით fiber-testing@fsc.org.

3 შედეგები

3.1 FSC მიწოდების ჯაჭვის მენეჯერი შედეგებს შეიტანს ცენტრალურ მონაცემთა ბაზაში, რომელსაც მართავს FSC International-ი.

3.2 FSC მიწოდების ჯაჭვის მენეჯერი შედეგებს გაუზიარებს ორგანიზაციას და სასერტიფიკაციო ორგანოს.

FSC მერქნის ბოჭკოს ტესტირების პროგრამაში მონაწილეობის ხელშეკრულების შაბლონი

ეს ფორმა უნდა შეავსოს ორგანიზაციამ, რომელსაც სურს *FSC-STD-40-005 V3-0 მოთხოვნები FSC კონტროლირებადი მერქნის მომარაგების მიმართ* (დანართი „ა“, მუხლი 1.2) მოთხოვნების შესრულება, და წარადგინოს სასერტიფიკაციო ორგანოს PDF ფორმატში. სასერტიფიკაციო ორგანო პასუხისმგებელია

დოკუმენტის წარდგენაზე FSC International-ისთვის და მისი გაგზავნის ქვითრის შენახვაზე. დოკუმენტი უნდა გადაიგზავნოს ელ-ფოსტით მისამართზე: fiber-testing@fsc.org.

ორგანიზაციის დასახელება (როგორც მითითებულია FSC სერტიფიკატში):	
ორგანიზაციის FSC წარმომადგენლის გვარი და ელ-ფოსტის მისამართი:	
მისამართი (ქუჩის ნომერი, საფოსტო ინდექსი, ქალაქი, სადაც მდებარეობს მავარი ოფისი):	
CW კოდი:	
შუალედური პროდუქტების ჩამონათვალი:	
შუალედური პროდუქტის წარმოშობის ქვეყანა/ ქვეყნები:	
სახეობები:	

მე წინამდებარე დოკუმენტით ვაცხადებ, რომ …… (ორგანიზაციის დასახელება) სურს მონაწილეობა მიიღოს შუალედური პროდუქტების FSC მერქნის ბოჭკოს ტექსტირებაში FSC-ის მიერ ორგანიზაციის სერტიფიცირებული მასალების ნიმუშის ავტორიზაციის გზით, იმ შემთხვევაში თუ ნიმუშების აღების პროცესში შერჩეულ იქნება ორგანიზაციის ნიმუშებიდან ერთერთი.

ორგანიზაციამ იცის, რომ FSC-ს მიერ აღებული ნიმუშების პირველი ტესტირება უფასოა. შემდგომი ტესტები უფასოა იმ შემთხვევაში, თუ წინა შედეგები არ მიუთითებს მიუღებელი კომპონენტების არსებობაზე. თუ მითითებულია მიუღებელი კომპონენტების არსებობა ორგანიზაციის მასალიდან აღებულ ნიმუშში, ორგანიზაციამ უნდა გადაიხადოს ორგანიზაციის სანიმუშო მასალის მერქნის ბოჭკოს ტესტირების საფასური.

FSC-სგან მიღებული მერქნის ბოჭკოს ტესტირების შედეგებს ორგანიზაცია ხელმისაწვდომს გახდის სასერტიფიკაციო ორგანოსთვის შეფასების პროცესში.

…… ……...

ორგანიზაციის FSC წარმომადგენლის ხელმოწერა ადგილი, თარიღი

ნიმუშის წარდგენის ფორმა

ინფორმაცია ყოველი ნიმუშის შესახებ მიაწოდეთ FSC-ს და ტყის პროდუქტების ლაბორატორიას:

მწარმოებელი	
FSC ლიცენზიის ნომერი	
FSC COC კოდი	
დასაწყობების ერთეული (SKU) #	
FSC პროდუქტის იარლიყის განაცხადზე (თუ მარკირებულია)	
სახეობების განაცხადი	

FSC ინვოისის განაცხადი (მაგ.: FSC-მიქს კრედიტი, FSC-მიქს x%, FSC-100%/სუფთა, FSC- რეციკლირებული კრედიტი, FSC-რეციკლირებული x%, FSC-კონტროლირებადი მერქანი)	
წარმოშობის ქვეყანა (თუ მოთხოვნილია)	
პროდუქტის ფოტო (არასავალდებულოა)	

მისამართი: ტყის პროდუქტების ლაბორატორია; მიმღები: ალექს ვაიდენჰოფტი - FSC პროექტი; გიფორდ პინქოტ დრაივი 1; მედისონი, ვისკონსინის შტატი 53726-2398; აშშ.

დანართი „G“ რისკების საფუძვლიანი შეფასების შაბლონი (მხოლოდ ინფორმაციისთვის)

ამ შაბლონში მოცემულია რისკების შეფასების მაგალითები. დამატებითი მაგალითები გრაფიკული პრეზენტაციით მოცემულია დოკუმენტში *FSC-PRO-60-002a FSC რისკების შეფასების ეროვნული ჩარჩოები.*

კონტროლირებადი მერქნის რისკების საფუძვლიანი შეფასება

შემუშავებულია სტანდარტის საფუძველზე: *FSC-STD-40-005 V3-0 მოთხოვნები FSC კონტროლირებადი მერქნის მოწოდების მიმართ*

მომზადების თარიღი: **უკანასკნელი რევიზიის თარიღი:**	დღე/ თვე/ წელი
ორგანიზაციის დასახელება: ***პასუხისმგებელი თანამშრომელი და ელ-ფოსტის მისამართი:*** **რისკების შეფასების შემმუშავებელი ერთეული** **დასახელება:** ***პასუხისმგებელი თანამშრომელი და ელ-ფოსტის მისამართი:***	
სასერტიფიკაციო ორგანო ***დასახელება:*** ***პასუხისმგებელი თანამშრომელი და ელ-ფოსტის მისამართი:*** ***დამტკიცების უკანასკნელი თარიღი:***	
შესაფასებელი ტერიტორია/ ტერიტორიები:	

რისკების საფუძვლიანი შეფასება, რომელიც ტარდება მოწოდების ტერიტორიებზე ან მათ ნაწილ(ებ)ზე, რომლებიც არ მოიცავა FSC რისკების დამტკიცებულმა შეფასებამ[20]

[20] ეს მოიცავს რისკების დამტკიცებულ ეროვნულ შეფასებას და რისკების ცენტრალიზებულ ეროვნულ შეფასებას.

1. რისკების საფუძვლიანი შეფასება

შესაფასებელი ტერიტორია[21]: (ქვეყნის დასახელება/ რეგიონი სწრაფი იდენტიფიცირებისთვის, *მაგ. გერმანია, ჩრდ. რაინი-ვესტფალია)*

შენიშვნა: შესაფასებელი ტერიტორიების ცალკ-ცალკე აღწერების მოწოდება-არმოწოდება დამოკიდებულია შეფასების მასშტაბებზე (იხ. პ. 2.3, *FSC-PRO-60-002a*)

ქვეყანა: (მაგ. გერმანია)
შეფასების მიერ მოცული გეოგრაფიული არეალი: (მაგ. შტატები, ოლქები, პროვინციები, ბიო-რეგიონები, ეკო-რეგიონები, წყალშემკრებები, წყალგამყოფები და ა.შ.; *მაგ. ჩრდილოეთი რაინი-ვესტფალია)*

წარმოდგენილია თუ არა მოწოდების ტერიტორიის რუქები[22]? ☐ დიახ ☐ არა
მიუთითეთ რუქების მოსაძიებელი: …… (*მაგ. რისკების საფუძვლიანი შეფასების დანართი X, ონ-ლაინ პორტალები, ფაილების მითითება)*

კონტროლირებადი მერქანი, კატეგორია 1: უკანონოდ დამზადებული ხე-ტყე

1. მოქმედი კანონმდებლობის იდენტიფიცირება
   მოქმედი კანონმდებლობა იდენტიფიცირებულია GFR-ში ხელმისაწვდომი მონაცემების საფუძველზე
☐ აღწერეთ, თუ როგორ მოხდა GFR-ში ხელომისაწვდომი ჩამონათვალის განხილვა იმის უზრუნველსაყოფად, რომ იგი სრული და განახლებულია:
……
☐ მოქმედი კანონმდებლობა იდენტიფიცირებულია სხვა წყაროების გამოყენებით
მიუთითეთ ადგილმდებარეობა მოქმედი კანონმდებლობის ჩამონათვალისა, რომელიც შემუშავებულ იქნა *FSC-PRO-60-002a* -ს საფუძველზე და სტრუქტურირებულია *FSC-PRO-60-002a-ში 1-ლი ცხრილის მიხედვით*:
…….
(*მაგ. იხ. რისკების საფუძვლიანი შეფასების დანართი X/ ჩამონათვალის მომცველი ფაილის კატალოგი*)

მიუთითეთ იდენტიფიცირებისთვის გამოყენებული ინფორმაციის წყაროები: ……..
(*მაგ. FSC FM ეროვნული სტანდარტი, შეფასება ექსპერტების მიერ, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ და/ან სამთავრობო ინსტიტუციების მიერ მოწოდებული ჩამონათვალი)*

თუ GFR არ გამოყენებულა, უნდა მიეთითოს სხვა წყაროების გამოყენების მიზეზები:
……

შენიშვნა: მოქმედი კანონმდებლობის იდენტიფიცირებისთვის არ არის საკმარისი სამთავრობო მონაცემთა ბაზების ბმულების მითითება.

2. მოქმედი კანონმდებლობის აღსრულების უზრუნველყოფის შეფასება;
კანონის ერთსა და იმავე ქვე-კატეგორიაში ინდიკატორების შეფასება შეიძლება ერთობლივად იქნეს წარმოდგენილი.

---

[21] შესაფასებელი ტერიტორია არ მოიცავს „დაბალი რისკების“ ტერიტორიებს, რომელიც განსაზღვრულია და რუქებზეა დატანილი FSC-ის მიერ (კონსულტაციისთვის იხ. FSC გლობალური სატყეო რეესტრი რუქაზე დატანილი FSC-ის მიერ შეფასებული „დაბალი რისკების“ ტერიტორიებისთვის).

[22] რუქების წარმოდგენა უშუალოდ რისკების შუალედურ შეფასებასთან ერთად ნიშნავს ორგანიზაციის თანხმობას FSC-ის მიერ მათ კოპირებაზე, რათა შეტანილ იქნას GFR (რუქების შეტანა დამოკიდებულია მათ ფორმატსა და ხარისხზე).

ინდიკატორი (კანონიერების მოქმედი კატეგორიები და ქვე-კატეგორიები (1)	ინფორმაციის წყაროები[23] (2)	რისკების განსაზღვრა და მითითება (თუ დაბალი რისკი არ არის) მიუთითეთ ზღვრული (მინიმალუური) მაჩვენებლები[24], რომლებიც კმაყოფილდება. დააასაბუთეთ შედეგი (ყოველი ზღვრისთვის). (3)	ფუნქციონალური შკალა[25] (4)	კონტროლის ღონისძიებები (5)
მაგალითი 1				
მოპოვების კანონიერი უფლებები				
1.1 მიწათ-სარგებლობისა და მართვის უფლებები	*მსოფლიო ბანკის მმართველობის მსოფლიო ინდიკატორები:* info.worldbank.org/governance/wgi/sc_c ountry.asp; *არასამთავრობო ორგანიზაციის ანგარიში ლიცენზიების გაცემასა და კონტროლთან დაკავშირებით (ხელმისაწვდომია: ..._* *საერთაშორისო გამჭვირვალობა* http://www.transparency.org/policy_research/ surveys_indices/ cpi *საერთაშორისო გამჭვირვალობის იდექსები; მთავრობის ანგარიში მიწის მართვის უფლებებთან დაკავშირებით (არასამთავრობო ორგანიზაცია, ხელმისაწვდომია: ...)*	*დაბალი (1): მიწისა და მართვის უფლებები მკაფიოდაა ჩამოყალიბებული კანონმდებლობაში. წყაროები ადასტურებს ამ კანონების აღსრულების უზრუნველყოფას. (კანონის აღსრულების უზრუნველყოფის ზოგადი შეფასება საერთაშორისო ინდიკატორების საფუძველზე და ამ კანონების დარღვევის მტკიცებულების არარსებობა).*	-	-
1.2 კონცესიის ლიცენზიები		*სპეციფიური (2) არასამთავრობო ორგანიზაციის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია, რომ მიუხედავად იმისა, რომ არ ხდება რეგულაციის დარღვევა დაგეგმვასა და მართვასთან მიმართებაში,*	*საკუთრება: „სპეციფიური რისკი“ - კერძო ტყე; „დაბალი რისკი“ - სხვა ტყეები.*	*კონცესიის არსებობის შემთხვევაში - მოწოდება ტყის იმ სავარგულები-დან, სადაც არსებობს კონცესიის მოქმედი ლიცენზია.*

[23] მოიყვანეთ დასაბუთება, თუ რატომ იქნა გამოყენებული შეფასებაში ინფორმაციის მხოლოდ ეს წყაროები.

[24] იხ. NRAF-ში მოცემული ზღვრის ნომერი.

[25] სივრცობრივი ერთეულები არა-გეოგრაფიული მახასიათებლების საფუძველზე, მაგ. ტყის სავარგულის გამოყენების/ საკუთრების ტიპი, მართვის სფერო, SIR.

		კონცესიის საჭირო ნებართვები ხშირად დაგვიანებით გაიცემა ან ვადაგასულია. თუმცა ეს პრობლემა არსებობს კერძო ტყეების უმრავლესობაში.		
1.3 მართვისა და ხე-ტყის დამზადების დაგეგმვა.		*დაბალი (1): წყაროების ადასტურებს ამ კანონების აღსრულების უზრუნველყოფას (კანონის აღსრულების უზრუნველყოფის ზოგადი შეფასება საერთაშორისო ინდიკატორების საფუძველზე და ამ კანონების დარღვევის მტკიცებულების არარსებობა).*	-	-
1.4 ხე-ტყის დამზადების ნებართვები.		*დაბალი (1): წყაროების ადასტურებს ამ კანონების აღსრულების უზრუნველყოფას (კანონის აღსრულების უზრუნველყოფის ზოგადი შეფასება საერთაშორისო ინდიკატორების საფუძველზე და ამ კანონების დარღვევის მტკიცებულების არარსებობა).*	-	-
მაგალითი 2				
1.14 FPIC *1.15 მკვიდრი ხალხების უფლებები*	*საერთაშორისო ურთიერთობათა სამეფო ინსტიტუტი: www.illegallogging.org (<u>მიუთითეთ შესაბამისი ანგარიშის ადგილმდებარეობა!</u>);*	*სპეციფიური (2) ექსპერტის მიერ ჩატარებული მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ მკვიდრი ხალხების უფლებები არათანმიმდევრულად აღწერილი არსებულ*	*მკვიდრი ხალხების არსებობა: 'დაბალი რისკი" მკვიდრი ხალხებით დაუსახლებელი ტერიტორიისთვის: „სპეციფიური რისკი" ტერიტორიისთვი*	*დოკუმენტაცია ადასტურებს რომ FPIC მოცემული იყო (დაიცავით თანმიმდევრულობა*

		კანონმდებლობაში. ანგარიშები RIIA-ს შესახებ გვიჩვენებს, რომ ტრადიციული უფლებები ირღვევა ტყის წვდომის თვალსაზრისით.	*ს,*	
	ექსპერტის მიერ ტრადიციული უფლებების მარეგულირებელი კანონების მიოხილვა (ანგარიში: ...).		*რომელიც დასახლებული მკვიდრი ხალხებით (დაიცავით თანმიმდევრულობა მე-2 კატეგორიის შეფასებასთან)*	*მე-2 კატეგორიის შეფასებასთან)*

კონტროლირებადი მერქანი, კატეგორია 2 : ტრადიციული და ადამიანის უფლებების დარღვევით დამზადებული ხე-ტყე

1	2	3	4	5
მაგალითი 1				
2.3. მკვიდრი ხალხებისა და ტრადიციული ხალხების უფლებები დაცულია.	*კანონიერების შეფასება (იხ. კონტროლირებადი მერქნის 1-ლი კატეგორია);*	*სპეციფიური (22): იხ. რისკის მითითება ინდიკატორებისთვის 1.14 და 1.15.*	*IP არსებობა: „დაბალი რისკი“ მკვირდი ხალხებით დაუსახლებელი ტერიტორიისთვის; „სპეციფიური რისკი“ მკვირდი ხალხებით დასახლებული ტერიტორიისთვის*	*დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ FPIC მოცემული იყო*
მაგალითი 2				
2.3. მკვიდრი ხალხებისა და ტრადიციული ხალხების უფლებები დაცულია.	*მოქმედი კანონმდებლობა (იხ. კონტროლირებადი მერქნის 1-ლი კატეგორია); არასამთავრობო ორგანიზაციის ანგარიში იმის შესახებ, რომ შესაფასებელი ტერიტორიით მოცულ რეგიონში შედიან მომთაბარე წესით მცხოვრები მოსახლეებ. ILO-ს მონაცემთა ბაზა (…)*	*სპეციფიური (24): არასამთავრობო ორგანიზაციის ანგარიშები ადასტურებს მკვიდრი ხალხების სეზონურ ყოფნას ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში. არ არსებობს არც კანონები, არც რეგულაციები და არც სხვა პრაქტიკა, რომელიც უზრუნველყოფდა ტრადიციული კანონების პატივისცემის უზრუნველყოფას და არასამთავრობო ორგანიზაციის ანგარიში იძლევა ამ კანონების დარღვევის მტკიცებულებას. წყაროებს, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ არასამთავრობო ორგანიზაციის დასკვნებს, არ მოჰყავთ საკმარისი კონტრ-*	*IP არსებობა: „დაბალი რისკი“ მკვირდი ხალხებით დაუსახლებელი ტერიტორიისთვის; „სპეციფიური რისკი“ მკვირდი ხალხებით დასახლებული ტერიტორიისთვის*	*დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ FPIC მოცემული იყო*

		არგუმენტები ანგარიშის შინაარსთან მიმართებაში.		

კონტროლირებადი მერქანი, კატეგორია 3: მერქანი იმ ტყეებიდან, სადაც მაღალ კონსერვაციულ ღირებულებებს სარფთხე ექმნება მართვის ღონისძიებების მხრიდან

HCV კატეგორია	HCV-ის იდენტიფიცირებისთვის გამოყენებული მონაცემები[26]	იდენტიფიცირებული საფრთხეები (მიუთითეთ წყაროები[27])	3	4	5
მაგალითი 1					
HCV 1	*HCV-ებისთვის რელევანტური ცნობილი და ხელმისაწვდომი საინვენტარიზაციო მონაცემები. საფრთხის ქვეშ მოქცეული სახეობების აღდგენის გეგმები/ შესრულების ანგარიშები (…)*	*ჰაბიტატის განადგურება (სატყეო აქტი ….; სახელმწიფო საზოგადოებრივი სატყეო პრაქტიკის კოდექსი XX)*	*სპეციფიური (8): მართვის რეგულაციები არ მოითხოვს ცხოველთა გამრავლების ადგილების (ერთ-ერთი HCV) დაცვას. რადგან ტერიტორიის ფარგლებში XX სახეობები საჭიროებენ სეზონურ დაცვას, ხდება ამ სახეობების ჰაბიტატების განადგურება. ქვეყანა არის CBD-ის ხელმომწერი, მაგრამ ანგარიშები აჩვენებს მცირედ წინსვლას CBD მიზნებთან მიმართებაში. ბუნების დაცვის ტერიტორიებზე (კონკრეტულად: ეროვნულ პარკებსა და ნაკრძალებში) და სახელმწიფო საზოგადოებრივი ტყის მართვის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზ*	*'დაბალი რისკი': სახელმწიფო საზოგადოებრივი ტყე (იდენტირფიცირებული რისკი შერბილებულია პრაქტიკის შიდა კოდექსით და არსებული მტკიცებულება ადასტურებს, რომ კოდექსს იცავენ). „სპეციფიური რისკი": დანარჩენი ტერიტორია.*	*მოწოდება ტერიტორიებიდან, სადაც ჭრა არ ხდება გამრავლების სეზონის განმავლობაში; გადამოწმების საშუალების მაგალითი: ტყის მმართველები, რომლებიც ადასტურებენ CM-ების შესრულებას.*

[26] მოიყვანეთ დასაბუთება, თუ რატომ იქნა გამოყენებული შეფასებაში ინფორმაციის მხოლოდ ეს წყაროები.

			ე პრობლემები არ არის შიდა რეგულაციების წყალობით.		

თუ FSC-ის შესაბამისი ეროვნული ოფისის მიერ შემუშავებულია HCV შეფასების ჩარჩოები, რომელიც აკმაყოფილებს FSC კონტროლირებადი მერქნის მოთხოვნებს HCV არსებობასა და საფრთხეებთან მიმართებაში, იგი გამოყენებულ უნდა იქნას რისკების საფუძვლიან შეფასებაში კონტროლირებადი მერქნის მე-3 კატეგორიისთვის.

კონტროლირებადი მერქანი - კატეგორის 4: მერქანი ტყეებიდან, რომელთა კატეგორია შეიცვალა პლანტაციებად ან არა-სატყეო სავარგულებად გადაყვანის შედეგად

1	2	3	4	5
მაგალითი 1				
4.1 (…)	*კანონიერების შეფასება (იხ. კონტროლირებადი მერქანი, კატეგორია 1);*	*დაბალი (2): კანონმდებლობა იძლევა ტყის ეკოსისტემების განადგურების უფლებას (მათ ხარჯზე პლანტაციების მოწყობის ჩათვლით) მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში სახელმწიფო პრიორიტეტულობის ინვესტიციების მიზნებისთვის (მაღალსიჩქარიანი ავტომაგისტრალის გაყვანა, ხანძარსაწინააღმდეგო და წყალმომადაგების ფუნქციის მქონე წყლის ობიექტების შექმნა). პირწმინდა ჭრები ნებადართულია კანონმდებლობით, მაგრამ მოთხოვნილია გაკაფული ტერიტორიების რეგენერაცია მოკლე დროში, რათა ეკოსისტემური ღირებულებები დაცულ იქნან დეგრადაციისგან. კონტროლირებადი მერქნის 1-ლი კატეგორიის შეფასება ადასტურებს კანონის აღსრულების უზრუნველყოფას.*	-	-
მაგალითი 2				
4.1 (…)	*მომწოდებელი ტყის ტერიტორიის სივრცულ მონაცემთა ბაზა. მიწის კატეგორიების თაობაზე ანგარიშები.*	*დაბალი (1): მონაცემთა ბაზაში არსებული სივრცული მონაცემები ადასტურებს, რომ ინდიკატორში დაცულია სივრცული ზღვარი. გარდა ამისა, მიწის საფარის ცვლილებასთან დაკავშირებული სამთავრობო ანგარიშები (ბოლო 5 წლის) ადასტურებს, რომ კატეგორიის შეცვლა არ აჭარბებს ზღვარს.*	-	-

კონტროლირებადი მერქანი - კატეგორია 5: მერქანი ტყეებიდან, სადაც დარგულია გენეტიკურად მოდიფიცირებული ხეები

1	2	3	4	5
მაგალითი 1				

5.1 გენეტიკურად მოდიფიცირებული ხეები არ გამოიყენება.	*კანონიერების შეფასება (იხ. კონტროლირებადი მერქანი, კატეგორია 1);*	*დაბალი (1) ტყეებში გენმოდიფიცირებული ხეების შეტანა აკრძალულია კანონით. კონტროლირებადი მერქნის 1-ლი კატეგორიის შეფასება ადასტურებს კანონის აღსრულების უზრუნველყოფას.*	-	-

2. რისკების შეფასებაში მონაწილე ექსპერტების ჩამონათვალი და საკონტაქტო ინფორმაცია

კონტროლირებადი მერქანი, კატეგორია 1
1. (*მიუთითეთ საჯაროდ ხელმისაწვდომი ექსპერტების გვარები და საკონტაქტო ინფორმაცია, ან მოიყვანეთ შესაბამისი ინფორმაციის წყარო, როგორიცაა ექსპერტთა მონაცემთა ბაზა*)
შესაფასებელი ტერიტორიები: (*შეიტანეთ შესაფასებელი ტერიტორიები, სადაც მონაწილეობა მიიღო ექსპერტმა*[27])

კონტროლირებადი მერქანი, კატეგორია 2
1. (*მიუთითეთ საჯაროდ ხელმისაწვდომი ექსპერტების გვარები და საკონტაქტო ინფორმაცია, ან მოიყვანეთ მითითება*) (და ა.შ.)

დანართი „H“ ცვლილებების მატრიცა ამ სტანდარტის 2-1 და 3-0 ვერსიებს შორის (მხოლოდ ინფორმაციისთვის)

V2-1	ცვლილებები V3-0-ში
ა. მოქმედების სფერო	შექმნილია როგორც სათანადო სიფრთხილისა და გადამოწმების სისტემა, და ამიტომ შეიცავს რისკების შემცირებას და არა მხოლოდ გადამოწმებას შესაბამისი პროგრამით. შემოიფარგლება FSC განაცხადის გარეშე მოწოდებული მასალებით.
ბ. სტანდარტის ძალაში შესვლის თარიღი	
გ. გამოყენებული ლიტერატურა	მოითხოვს FSC რისკების დამტკიცებული შეფასების, კონტროლირებადი მერქნის დამტკიცებული დოკუმენტების გამოყენებას (ამიტომ მოიცავს FSC -ის მიერ დამტკიცებულ ნებისმიერ ეროვნულ მითითებებს), და ცალკე პროცედურას რისკების საფუძვლიანი შეფასების ჩასატარებლად, საჭიროებისამებრ.
დ. პირობები და განმარტებები	ძირითადი განმარტებების ცვლილებები და განახლებები, მათ შორის თანმიმდევრულობა FSC-ის ნორმატულ დოკუმენტებში.
ნაწ. 1: მოთხოვნები ხარისხის სისტემის მიმართ	

[27] გამოიყენება, როდესაც რისკების საფუძვლიანი შეფასება მოიცავს ერთზე მეტ შესაფასებელ ტერიტორიას.

1. კომპანიის პოლიტიკა	არ არის საჭირო - რევიზირებული სტანდარტი მოითხოვს მისი ყველა მოთხოვნის შესრულებას. მოთხოვნა პოლიტიკასთან მიმართებაში რევიზირებულ იქნა სტანდარტის *FSCSTD-40-004 რევიზიისას*.
2. პროცედურები	მოთხოვნები შეტანილ იქნა მე-5 თავში.
3. ტრენინგი	მოთხოვნები ამოღებილ იქნა, რადგან უკვე მოცულია (ზემდგომი) სტანდარტით *FSC-STD-40-004*. თუმცა შენარჩუნდა მოთხოვნები კომპეტენციის მიმართ.
4. ჩანაწერები	ეს მოთხოვნა შენარჩუნებულ იქნა და დაემატა ინფორმაციის კრებულის საჯაროდ ხელმისაწვდომობის მოთხოვნა. მოთხოვნილია ინფორმაციის სხვადასხვა ნაკრებები, მოწოდების ტერიტორიისთვის მინიჭებული რისკებიდან გამომდინარე.
ნაწილი 2: მოთხოვნები FSC კონტროლირებადი მერქნის მოწოდების მიმართ	ამ თავის მოთხოვნები შეტანილ იქნა DDS მოთხოვნებში და დაკავშირებულია ინფორმაციის მოპოვებასთან.
5. მომწოდებლის იდენტიფიცირება	მომწოდებლებთან დაკავშირებული ინფორმაციის ქონა რჩება მოთხოვნად. დოკუმენტაცის ფოკუსირებულია მასალაზე და არა მომწოდებლებზე. მასალა იდენტიფიცირებულ უნდა იქნას, როგორც დაბალი ან სპეციფიური რისკის მქონე ტერიტორიიდან წარმოშობილი, FSC რისკების შეფასებაში მოცემული რისკების მინიჭების მიხედვით. შეტანილ იქნა მოთხოვნები მიწოდების ჯაჭვების შესახებ ინფორმაციასთან მიმართებაში.
6. FSC-ის მიერ სერტიფიცირებული ნედლეული FSC-ის მიერ სერტიფიცირებული მომწოდებლებისგან	ამოღებულია V3-0-დან. მოთხოვნებიFSC-ის მიერ სერტიფიცირებულ პროდუქტებთან მიმართებაში, ისევე როგორც პროდუქტები *FSC-STD-30-010*-ის მიხედვით სერტიფიცირებულისგან შეტანილია სტანდარტში *FSC-STD-40004*.
7. FSC კონტროლირებადი მერქნის პროდუქტები FSC კონტროლირებადი მერქნის მოწოდებაზე სერტიფიცირებული მომწოდებლებისგან.	ამოღებულია V3-0-დან. მოთხოვნები FSC-ის მიერ სერტიფიცირებულ პროდუქტებთან მიმართებაში, ისევე როგორც პროდუქტები *FSC-STD-30-010*-ის მიხედვით სერტიფიცირებულისგან შეტანილია სტანდარტში *FSC-STD-40004*.

8. FSC კონტროლირებადი მერქნის პროდუქტები FSC-ის მიერ არასერტიფიცირებული მომწოდებლებისგან.	ამ სტანდარტის 3-0 ვერსიაში მოცემულია მოთხოვნები მხოლოდ FSC-ის მიერ არასერტიფიცირებული მომწოდებლებისთვის, იმ მასალის ჩათვლით, რომლებიც ადრე სერტიფიცირებული/ კონტროლირებადი იყო, თუმცა მოწოდებულ იქნა FSC განაცხადის გარეშე.
9. არაკონტროლირებადი მერქნის პროდუქტები	მოთხოვნები შესაბამისობაში იქნა მოყვანილი CoC მოთხოვნებთან - ნებადართული არ არის შერევა არა-შესაფერის პროდუქტებთან. ამის თავიდან აცილება შეიძლება კონტროლის ადექვატური ღონისძიებების საშუალებით.

10. CITES-ში ჩამოთვლილი სახეობები	CITES სახეობებისთვის სერტიფიკატების მოთხოვნა შეტანილ იქნა მოთხოვნებში მასალის შესახებ ინფორმაციის მოპოვებასთან მიმართებაში.
ნაწილი 3: რისკების შეფასებისა და გადამოწმების პროგრამა	
11. რისკების შეფასება	ეს სტანდარტი მოითხოვს FSC რისკების შეფასებებს, სადაც ხელმისაწვდომია. თუ არ არის ხელმისაწვდომი (შეფასების გარეშე დარჩენილ ტერიტორიებზე), სტანდარტი ითვალისწინებს მოთხოვნებს ორგანიზაციის მიერ რისკების შეფასებასთან მიმართებაში (დეტალურად მოცემულია „A“ დანართში), რაც შესაძლოა გულისხმობდეს რისკების გამარტივებულ შეფასებას, ამ სტანდარტის 2-1 ვერსიის მე-2 დანართის საფუძველზე, ან რისკების საფუძვლიან შეფასებას. რისკების საფუძვლიანი შეფასების მოთხოვნა მოითხოვს *FSC-PRO-60002a* -ს გამოყენებას. შეფასებებში უნდა გაფართოვდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის ფარგლები. ტერმინი „რაიონი“ ჩანაცვლებულ იქნა ტერმინით „მოწოდების ტერიტორია“. მასალის წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, რომ მოხდეს მასალის თვალყურის მიდევნება უკუსვლით, ერთგვაროვანი რისკის ტერიტორიამდე მოწოდების ტერიტორიის ფარგლებში და უნდა შეესაბამებოდეს NRA -ის (ან CNRA -ის) მიერ შეფასებულ ტერიტორიებს. წარმოშობის მომწოდებელი ერთეულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია მოთხოვნილია იმ შემთხვევაში, როდესაც კონტროლის ღონისძიების სახით გამოყენებულია საველე გადამოწმება. გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება, რომ შეიცვალა რისკების კატეგორიები.
12. დაბალი რისკების წყაროებიდან წარმოშობილი მერქნის გადამოწმების პროგრამა	შენარჩუნებულ იქნა მოთხოვნები დაბალი რისკების ტერიტორიებიდან მომარაგების თაობაზე და დაემატა მოთხოვნები მიწოდების ჯაჭვებში შერევის რისკების შეფასებასთან მიმართებაში.
13. დაუზუსტებელი რისკების წყაროებიდან წარმოშობილი მერქნის გადამოწმების პროგრამა	დაუზუსტებელი რისკების ტერიტორიებიდან მომავალი მასალის გადამოწმების მოთხოვნები ჩანაცვლდა რისკების შემცირების მოთხოვნით, როდესაც მასალა მოდის სპეციფიური რისკების ტერიტორიებიდან. რისკების შემცირება ეფუძნება რისკების შესაბამის შეფასებაში მოცემული რისკების სპეციფიკაციას. ეს სტანდარტი ასევე არეგულირებს რისკების შემცირებას, თუ რისკების შეფასებაში მინიჭებულია დაუზუსტებელი რისკი. საველე გადამოწმება და კონსულტაციები (ჩატარებული ორგანიზაციის მიერ) დაინტერესებულ მხარეებთან კონტროლის შესაძლო ღონისძიებებია და შესაძლოა ყოველთვის არ იყოს აუცილებელი. კონტროლის ღონისძიებების ფარგლებში შესაძლო ასევე მოხდეს მხოლოდ დოკუმენტაციის გადამოწმება, რათა

	უზრუნველყოფილ იქნას, რომ მასალა გამორიცხულია.

14. საჩივების მექანიზმი	მოთხოვნები შენარჩუნებულ იქნა და გაფართოვდა.
ნაწილი 4: FSC კონტროლირებადი მერქნის გაყიდვა	მოთხოვნები ამოღებულ იქნა, რადგან ისინი მოცულია ზემდგომი სტანდარტით *FSC-STD-40-004*.
15. FSC კონტროლირებადი მერქნის მოწოდება	მოთხოვნები ამოღებულ იქნა, რადგან ისინი მოცულია ზემდგომი სტანდარტით *FSC-STD-40-004*.
დანართები	
დანართი 1 ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი	დანართი ამოღებულ იქნა და შესაბამისი მითითებები მოცემულია ტერმინებისა და განმარტებების თავში.
დანართი 2 რისკების შეფასების კრიტერიუმები	დანართი ამოღებულ იქნა და შესაბამისი მოთხოვნები რევიზირებულ იქნა და შეტანილ იქნა „ა“ დანართში.
დანართი3 მოთხოვნები კომპანიის შემოწმების პროგრამასთან მიმართებაში	მოთხოვნები ჩანაცვლებულ იქნა მოთხოვნებით DDS-სთან მიმართებაში, რაც შესულია სტანდარტის ძირითად ტექსტში.
დანართი 4 დებულებები FSC კონტროლირებად მერქანთან დაკავშირებულ საჩივრებთან მიმართებაში	დანართი ამოღებულ იქნა. მოთხოვნებს შეიცავს არსებული სტანდარტები, რომლებიც მიესადაგება CoC-სერტიფიცირებულ ორგანიზაციებს (*FSC-STD-40-004, FSC-STD50-001*).
შეტყობინება-40-005-01 „რაიონის“ კონცეფცია რისკების შეფასებაში	‘რაიონი’ ჩანაცვლებულ იქნა „მოწოდების ტერიტორიით’. მოთხოვნები შეტანილ იქნა „ა“ დანართში.
შეტყობინება-40-005-02 მომწოდებლების FMU-ებში წინააღმდეგობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული საჩივრები	საჩივრებთან დაკავშირებული მოთხოვნები რევიზირებულ იქნა. ისინი მოიცავს მოთხოვნებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა გააკეთოს ორგანიზაციამ, როდესაც მიიღება დაბალი რისკების მქონე ტერიტორიებთან დაკავშირებული საჩივრები.
შეტყობინება-40-005-03 შეიძლება თუ არა საწარმოო ან სავაჭრო ობიექტი იდენტიფიცირებულ იქნას, როგორც „რაიონი“ რისკების შეფასების მიზნებისთვის?	მოთხოვნები ამოღებულ იქნა, რადგან რევიზირებული სტანდარტი არ საჭიროებს შეტყობინებაში შეტანილ ახსნა-განმარტებას.
შეტყობინება-40-005-04 რა სახის დოკუმენტაცია და კონტროლია საჭირო წარმოშობის გეოგრაფიული რაიონის გადასამოწმებლად?	მოთხოვნები შგაერთიანდა წარმოშობის მტკიცებულებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან.
შეტყობინება-40-005-05 საწარმოო/ სავაჭრო ობიექტების შეტანა კომპანიის კონტროლირებადი მერქნის გადამოწმების პროგრამაში	მოთხოვნები ამოღებულ იქნა, რადგან რევიზირებული სტანდარტი არ საჭიროებს შეტყობინებაში შეტანილ ახსნა-განმარტებას.
შეტყობინება-40-005-06 რისკების შეფასებების საჯარო ხელმისაწვდომობა შეტყობინება-40-005-07 საჯაროდ ხელმისაწვდომი რისკების შეფასებების	მოთხოვნები შეტანილ იქნა ანგარიშგების მოთხოვნებში, და „ა“ დანართში.

შინაარსი და რევიზია	
შეტყობინება-40-005-08 რა უნდა გაკეთდეს ისეთ შემთხვევებში, თუ ორიმა კომპანიამ ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგები მიიღო რაიონის რისკების შეფასებისას?	მოთხოვნა ამოღებულ იქნა,რადგან იგი მიესადაგება სასერტიფიკაციო ორგანოებს და არა ორგანიზაციას. იხ. აკრედიტაციის შესაბამისი სტანდარტი *FSC-STD-20-011*.
შეტყობინება-40-005-09 FSC--ის მიერ აკრედირებული ეროვნული ინიციატივების მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო მითითებებისა და რისკების კლასიფიკაციის გამოყენება	ნებისმიერი დამატებითი ეროვნული მოთხოვნები დამტკიცებულ უნდა იყოს FSC-ის მიერ და შეტანილ უნდა იქნას *FSC-PRO60-002b-ში*. სტანდარტი მიუთითებს ამაზე და აცხადებს, რომ მოქმედი ეროვნული მოთხოვნები სავალდებულოა.

შეტყობინება-40-005-10 როდის უნდა გასცეს სასერტიფიკაციო ორგანომ FSC კონტროლირებადი მერქნის კოდექსი?	მოთხოვნა ამოღებულ იქნა, რადგან იგი მიესადაგება სასერტიფიკაციო ორგანოებს და არა ორგანიზაციას. ის აკრედიტაციის შესაბამისი სტანდარტი *FSC-STD-20-011*.
შეტყობინება-40-005-11 საჭიროა თუ არა სტანდარტის სხვა ნაწილების შესრულება ან შეფასება 'FSC კონტროლირებადი მერქნის' გაყიდვისას?	FSC კონტროლირებადი მერქნის გაყიდვა და შესყიდვა შესაბამისობაშია სტანდარტთან *FSCSTD-40-004*.
შეტყობინება-40-005-12 საერთაშორისო გამჭვირვალობის კორუფციის მოლოდინის საერთაშორისო ინდექსების (CPI) გამოყენება რისკების შეფასებებში. შეტყობინება-40-005-13 არსებობს თუ არა განსხვავება მაღალი კონსერვაციული ღირებულებების ტყეების (HCVF) ინტერპრეტაციაში, რომელიც მოცემულია FSC კონტროლირებადი მერქნის სტანდარტსა და FSC პრინციპებსა და კრიტერიუმებში? შეტყობინება-40-005-14 როგორ შეიძლება დადასტურდეს „დაბალი რისკი" FSC-STD-40005 V2-1-ის მუხლი 1.1 „გ" კატეგორიისთვის?	მოთხოვნები შეტანილ იქნა „A" დანართში.
შეტყობინება-40-005-15 საველე გადამოწმება, აუდიტები, შედეგები, გადაწყვეტილებების მიღება და საჭირო ქმედებები.	დეტალური მოთხოვნები საველე გადამოწმებასთან მიმართებაში ამოღებულ იქნა.
შეტყობინება-40-005-16 როგორია ნიმუშების აღების სიხშირე, რომელიც უნდა გამოიყენონ სასერტიფიკაციო ორგანოებმა დაუზუსტებელი რისკების მქონე წყაროებიდან მოწოდებული მასალების საველე შეფასებისას?	მოთხოვნები შეტანილ იქნა „A" დანართში.

შეტყობინება-40-005-17 დოკუმენტაცია და პროცედურული მოთხოვნები შუალედური პროდუქტების წარმოშობის გეოგრაფიული რაიონის დემონსტრირებისთვის	მოთხოვნები განახლებულ იქნა და შეტანილ იქნა მე-2 თავში.
შეტყობინება-40-005-18 კომპანიის გადამოწმების პროგრამის დამოუკიდებლობა	მოთხოვნები შენარჩუნებულ იქნა და ამ სტანდარტის მოქმედების სფერო, ასევე როგორც მოთხოვნები DDS-სთან მიმართებაში, არ აძლევს სტანდარტს საშუალებას, რომ გამოყენებულ იქნას ორგანიზაციის მიერ იმ ტყეების შესაფასებლად, რომლებსაც თავად ფლობს ან მართავს.
შეტყობინება-40-005-19 კონტროლირებადი მერქნის რისკების შეფასებებისა და გადამოწმების პროგრამებთან დაკავშირებული მოქმედი ეროვნული და ადგილობრივი კანონები და რეგულაციები შეტყობინება-40-005-20 შუალედური პროდუქტებით მომარაგება EU ხე-ტყის რეგულაციების პირობებით	მოთხოვნები შეტანილ იქნა „A“ დანართში.